# ლელო

№070 (12 140)

26 მარტი ორშაბათი 2007

გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი




## შოთა ნაკრებს ამთავრებს

ბოლო მატჩი ფარერებთან?

2

# ნაგებული არწასაგები

2:1

გლაზგოს მატჩის გამოძახილი

2-6





ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

## შუა ხაზს უფრო მეტი ყურადღებით უნდა ეთამაშა

### ტოპმიოლერი შოთას შემცვლელის ძებნას იწყებს

საქართველოს ნაკრები თბილისში გუშინ, სალამოს 10 საათისთვის დაბრუნდა. კლაუს ტოპმიოლერი ჯერ კიდევ აეროპორტში იყო, როცა შევეხმიანეთ და შოტლანდიასთან მატჩზე კომენტარი ვთხოვეთ. დაღლილობის მიუხედავად, ტოპის უარი არ უთქვამს...

- ჰერ ტოპმიოლერ, როგორ ხასიათზე ხართ?

- ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ დამწყვიტა გული ამ წაგებამ. მინიმუმ ფრეს მაინც ვიმსახურებდით. ვერ ვიტყვი, რომ ეს საქართველოს ნაკრების საუკეთესო თამაში იყო, მაგრამ წაგება ნამდვილად არ გვეკუთვნოდა. არც ის მინდა, მარცხი ფორტუნას დავაბრალო, მაგრამ ისეთი თამაში იყო, რომ ოდნავ მეტი იღბალი და გლაზგოდან სამ ქულას წამოვიღებდით. შოტლანდიიდან უქულოდ დაბრუნება ძალიან არ მინდოდა.

3

# 15 რუსისთვის 8 ქართველიც საკმარისია



მოგების შემდეგ. ნახტომში ილია მაისურაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ბესიკ ჯანგავაძე

...მატჩის დაწყებამდე ვიცოდი, თამაში როგორ წარიმართებოდა. საქართველოს ნაკრებს კარგად ვიცნობ და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ჩემი გუნდის დამარცხებას მორკინალთა ზეწოლით შეეცდებოდა, - თქვა მატჩის შემდეგ რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა. მისი მოლოდინი გამართლდა და საქართველოს ნაკრების შერკინებამ მეტოქე 31:12 დაამარცხა. დიახ, მხოლოდ შერკინებამ...

11

European Nations Cup
Championnat Européen des Nations

31
12

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# ნაგებული არწასაგები

| შოტლანდია-საქართველო | | |
|---|---|---|
| | 2:1 | |
| 24.03.06. გლაზგო. ჰემპდენ პარკი 50 850 მაყურებელი | | |

1:0 ბოიდი (11. ტილის პასით), 1:1 არველაძე (40. დემეტრაძის პასით), 2:1 ბიტი (89. მილერის პასით)

შოტლანდია: გორდონი, ალექსანდერი, ნეისმიტი, უეირი, მაკმანუსი, ფერგიუსონი, ტილი (62. ბრაუნი), ჰარტლი, მაკკალოხი, მილერი (90. მელოუნი), ბოიდი (76. ბიტი).

*სათადარიგოები: მაკგრეგორი, მერტი, დეილი, სევერინი*

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

საქართველო: ლომაია, შაშიაშვილი, ხიზანიშვილი, სალუქვაძე, ელიავა, ბურდული (57. სირაძე), მენთეშაშვილი (46. გოგუა), ცქიტიშვილი (90. მუჯირი), კობიაშვილი, დემეტრაძე, არველაძე.

*სათადარიგოები: რევიშვილი, კვირკველია, იაშვილი, აშვეთია*

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: მენთეშაშვილი (13), სალუქვაძე (63), დემეტრაძე (86), ფერგიუსონი (90)

არბიტრი: ნიკოლაი ვოლკარცი (დანია)

| სტატისტიკა | | |
|---|---|---|
| 12 (7) | დარტყმა | 8 (5) |
| 19 | ჯარიმა | 17 |
| 3 | კუთხური | 9 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 0 | თამაშგარე | 2 |
| 2 | მეკარე/მოგერიება | 5 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შოტლანდია | 5 | 4 | 0 | 1 | 11-4 | 12 |
| 2. საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-2 | 12 |
| 3. უკრაინა | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| 4. იტალია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 5. ლიტვა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 6. საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 10-11 | 3 |
| 7. ფარერები | 5 | 0 | 0 | 5 | 0-20 | 0 |

**მომდევნო ტური**

28 მარტი, ოთხშაბათი

საქართველო-ფარერები

უკრაინა-ლიტვა

იტალია-შოტლანდია



დემეტრაძის რეიდი. დარტყმა ადრევე შეიძლებოდა

ავტორის ფოტო

აქაური გულშემატკივრობის ამბავი მხოლოდ გაგონილი მაქვს და ვფიქრობ, თამაშამდე ქალაქში გავიარო, ჩემი თვალით ვნახო ყოველივე.

- ფრთხილად იყავი, ეგენი ყველანი მთვრალები იქნებიან და რამე შარს არ გადაეყარო – მართხილებს ერთ-ერთი "აქაური" ქართველი.

ნამდვილად ღირდა ქუჩაში გავლა – ვფიქრობ ჩემთვის – ესენი თურმე მთელ რიტუალს ატარებენ თამაშზე წასვლამდე. პაბები გადატენილია, გულშემატკივრები ლუდს სვამენ, შოტლანდიას ადიდებენ და თავისიანებისგან საქართველოს განადგურებას ითხოვენ.

- იუ არ ფრომ ჯორჯია? – შემომესმა უკნიდან.

ისე დავდიოდი, აშკარად მეტყობოდა ადგილობრივი რომ არ ვიყავი, თანაც ფოტოაპარატი მქონდა მომარჯვებული.

პაბში მიმიპატიჟეს, ერთად დავლიოთ და მერე კარგ ფეხბურთს ვუყუროთო. ვხვდები, უარის თქმას აზრი არ აქვს. სანამ ერთი კათხა ჩავცალე, მასპინძლებმა სამი გამოცალეს. მეორეზე თავაზიანს უარს ვეუბნები, ამ უარის თქმაში ორიც ჩაცალეს. წავიდეთო.

ჭრელია ქვეყანა და ჭრელია გლაზგო. ვილაც თავაზიანად გიღიმის, ვილაც კილტს იწევს და... გზა გადაკეტილია, ვფიქრობ, სტადიონზე არ დამაგვიანდეს. ამ ფიქრში ვარ, იქვე სასტუმროდან გამოსული ხალხი რომ არ მეცნო. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები მიდიან სტადიონზე. იგივე ვითარება, ვილაც თავაზიანად იღიმება, ვილაც კილტს იწევს, ვილაც იგინება. გინებაზე ვილაც ქართველი გინებითვე პასუხობს, აბა როგორია ერს რომ ეხებიან და იწყება გაწევ-გამოწევა. პოლიცია დროზე ერევა საქმეში, ბიჭები მთავრობის ნევრებს ეძახიან. მთავრობა სტადიონზე მიდის.

პოლიცია მალევე უშვებს ყველას და ყველანი ერთად მივდივართ სტადიონზე, ქართველები და შოტლანდიელები.

- ყოჩაღები ყოფილხართ უკან რომ არ დაიხიეთ, ეგეთები გვიყვარს – ერთ-ერთი შოტლანდიელი მიუბრუნდა ქართველებს და სათითაოდ ართმევს ყველას ხელს – სხვები ისე მოკურცხლავდნენ, კვალს ვერ მიაგნებდი.

ქალაქში რამდენიმე ადგილას ძალიან გრძელი რიგი მხვდება, თურმე ტაქსიზე ყოფილა, ვისაც თამაშზე ფეხით ან ავტობუსით წასვლა ეზარება, ტაქსით მიდის. გლაზგო თეთრ-ლურჯ ფერებშია, სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან შოტლანდიის დროშა ფრიალებს. ზოგიერთმა სიმღერაც შემოსძახა.

სიმღერა სტადიონზე ნახეთო, მეუბნება შოტლანდიელი.

ძნელია სიტყვებით გადმოსცე ყველაფერი ის, რასაც სტადიონზე გრძნობ. ვცდილობ, მოვძებნო სიტყვები, მაგრამ არ გამომდის. ეს ყველაფერი უნდა ნახო. თვით **რობი ბრაუნის** მიერ შესრულებული ჰიმნიც უნდა ნახო, მარტო მოსმენა ისე მძაფრად ვერ გაგრძნობინებს ყველაფერს.

სტადიონზე საგიჟეთია... გამაყრუებელ ყვირილში გვერდზე მდგომის ლაპარაკიც კი არ მესმის.

*"საქართველოს მეტოქისთვის სიურპრიზის შეთავაზება შეუძლია"* – მახსენდება **კლაუს ტოპმიოლერის** სიტყვები და იქვე მაკლიშის ნათქვამი *"მეტოქეს სწრაფი გოლი უნდა გავუტანოთ და მერე ბოლომდე მოვკუდოთ"*.

ახლა მისი ნათქვამი, ბევრისთვის არცთუ საყვარელმა **კრის ბოიდმა** უკვე მე-11 წუთზე გაგვიტანა თავით. მარჯვენა ფრთიდან დაიწყო შეტევა, **ელიავამ** კარგად ვერ შეუშალა ხელი მეტოქეს, ჩააწოდებინა საჯარიმოში. იქ კი **ხიზანიშვილსა** და **სალუქვაძეს** ბოიდმა აჯობა.

ტრიბუნები არა და არ წყნარდება. "სქოთლანდ, სქოთლანდის" ძახილში არიან. და ამის მიუხედავად გაიგონებთ "საქართველოს". პირველი იარუსის ზედა რიგებში დაახლოებით სამასმა ადამიანმა მოიყარა თავი. ზოგი ირლანდიიდანაც კი ჩამოვიდა ჩვენების საგულშემატკივროდ. გოლმა მასპინძლები ისე გაათამამა, რომ ჩვენს ნახევარს არ სცილდებიან, შეტევა შეტევაზე მიდის. **შოთა არველაძე** თანაგუნდელებს მითითებებს აძლევს, თუ როგორ უნდა ითამაშონ.

ჩვენების ხმა უფრო და უფრო ხმამაღლა ისმის. საქართველოს ნაკრები ნელ-ნელა, მაგრამ ათანაბრებს თამაშს. ტაიმის შუაა, შოთამ კარგი პასი გაუკეთა **ბურდულს**, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერ უსწრებს ბურთს.

და იქვე შოტლანდიელების შეტევა – ორი შეხება და **კენი მილერი** დასარტყამ პოზიციაზე გადის. **ლომაია** იგერიებს ფორვარდის დარტყმულს. ისევ შოთა აქტიურობს, კობიაშვილი უკეთებს გადაცემას მარცხენა ფრთაზე, კაპიტანი საჯარიმოში აწვდის სახიფათოდ... კუთხურიდან მოწოდებული ბურთი თავით გამოაქვთ შოტლანდიელებს, რომელიც საბოლოოდ ბურდულთან მიდის. ლადო კარგად შედის მარჯვნიდან, დარტყმითაც მთავრდება შეტევა და ისევ კუთხური.

იმედი მემატება, ასე თუ გავაგრძელეთ უგოლოდ არ დავტოვებთ მოედანს, ვფიქრობ ჩემთვის. **დემეტრაძემ** და **კობიაშვილმა** გაითამაშეს კედელი, კაპიტანი საჯარიმოში შედის. მცველი ბოლო წამს ასწრებს ფეხის გაწევას და ბურთის მოგერიებას. ხუთ წუთში უკვე სამჯერ შევუტიეთ სახიფათოდ.

ელიავა კარგად გამოიყურება მარცხენა ფრთაზე, შეტევებშიც ერთვება.

ისევ კუთხური შოტლანდიელების კართან და... ხიზანიშვილის თავურის მერე ბურთი ჯერ ვილაცის მხარს შეეხო, მერე კი ხარიხას.

ჩინებულია დემეტრაძე. მანამდეც არაერთხელ ითამაშა კარგად და ახლაც იმავეს აკეთებს. ვარჯიშებზე რასაც ვუყურებდი და რაც ვივარაუდე, ტოპმიოლერმა ზუსტად ის შემადგენლობა დააყენა. ფიქრობდა უთამაშებელი ფეხბურთელები დაეყენებინა თუ არა, დემეტრაძის შემთხვევაში არ შემცდარა. ჯერჯერობით, ერთ-ერთი საუკეთესოა მოედანზე. ნახევარდაცვას მართებს მეტი აქტიურობა, ბევრის უფლებას აძლევენ შოტლანდიელებს.

ისევ დემეტრაძე თამაშობს კარგად, მარცხენა ფრთაზე თავგზა აუბნია **უეირს**, ჩაწოდება და... დაპირებისამებრ შოთამ გოლით გაახსენა თავი შოტლანდიელებს.

- ჩვენთან მოგინდათ თამაში! – შესვენებაზე მეუბნება ერთ-ერთი შოტლანდიელი

- ყველასთან ვცდილობთ, სხვა საქმეა ვისთან რა გამოგვდის-მეთქი, ვუპასუხე.

ხმას არ მცემს, ეტყობა, ფიქრობს საქართველოს ნაკრებს აქამდე ვისთან როგორ უთამაშია.

- ყველა თამაში წაგებული გაქვთ, ჰო?

- ერთის გარდა.

- ჰო, ფარერები. მაგრამ დანარჩენი ხომ წააგეთ და რაღა ჩვენ ვერ უნდა მოგიგოთ?

- მოგვიგეთ თუ შეგიძლიათ.

- მეორე ტაიმში შევუტევთ, სხვა გზა არაა.

ამასობაში სიმღერა დაიწყო და მთელი სტადიონი აჰყვა. რიგებს შორის ადგილი რის საშუალებასაც აძლევს გულშემატკივრებს, შესაბამისად მოძრაობენ, ცეკვავენ, მღერიან.

თამაში შოტლანდიელების შეტევებით ახლდება. როგორც იციან ხოლმე, მასიურად, უკანმოუხედავად გვიტევენ. ლომაია ყოჩაღობს, ბოიდის უძნელეს დარტყმას იგერიებს. აშკარად მოუხდა ამ ბიჭს "კარლ ცაისში" წასვლა, თვითრწმენა დაიბრუნა, კარში თვითდაჯერებული დგას.

სტადიონი კი ისევ გამაყრუებლად ყვირის. გულშემატკივრები არ ჩერდებიან. ისევ ლომაია თამაშობს კარგად, ამჯერად უკვე კენი მილერს აულო ახლოდან დარტყმული, **შაშიაშვილმა** ვერ დაუფარა.

მეტოქე ნელ-ნელა გვაქცევს მარწუხებში. რაც იციან იმას აკეთებენ, ფიზიკურად ხომ დიდებულად არიან მზად, არ ჩერდებიან. შეტევა შეტევაზე მიდის, ხან ცენტრიდან, უმეტესად ფლანგებიდან. ჩვენებიც აძლევენ ამის გაკეთების საშუალებას. შეიძლება ვცდები, მაგრამ ქართველებს დაღლა ეტყობათ. ტრავმიანობამაც იმატა. თითოეული ჩვენიანის წაქცევას ტრიბუნები სტვენით ხვდება, ფეხბურთელს დროულად ადგომას სთხოვენ.

მილერი და ბოიდი არ გვასვენებენ, ამჯერად უკვე ხარიხამ გადაგვარჩინა. ცქიტიშვილი ცდილობს ბურთის დაჭერას, უმეტესად გამოსდის კიდეც, კარგად ფინტაობს და სტადიონს წამიერად ადუმებს. მერე აღარ ვითარდება შეტევა. კობიაშვილმა **გოგუას** გამოსვლით ცენტრში გადმოინაცვლა. ბევრ სამუშაოს ასრულებს, მაგრამ კაპიტნისგან ყველა მეტს ელის. შეტევაში ვერაა ისეთი აქტიური, როგორსაც გულშემატკივარი ელის.

ისევ ბოიდი კარგ პოზიციაში, ამჯერად უკვე ვერ შესწვდა ბურთს.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, ბევრი არაფერი გამოგვდის, მეტოქე გვჯობნის. მაკლიშს უცილობელი მოგება სჭირდება. შეტევას აძლიერებს. საპასუხოდ ტოპმიოლერი მოედანზე **სირაძეს** უშვებს. და სადაა "ფრაიბურგში" შესანიშნავად მოთამაშე **იაშვილი**? ვერ იტყვი რას მოიტანას იაშვილის გამოსვლა, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ბოლო ტურებში ჩინებულად ათამაშდა და გოლი გოლზე გააქვს... მწვრთნელი ასე თვლის საჭიროდ.

მაყურებელი უკვე ფეხზეა, თავისიანებს ამხნევებს, მაგრამ მეტი რაღა უნდა გაამხნევო, როცა დაწყებიდან არ ჩერდება "სქოთლანდ, სქოთლანდის" ძახილი. საჯარიმოში ჩაწოდებების რაოდენობა წუთიდან წუთამდე მატულობს, ერთხელაც იქნება გაისვრის...

სალუქვაძე ვერ სწვდება თავით ბურთს, ხიზანიშვილი ვერ აზღვევს, ელიავამ **ბიტი** დაკარგა და 2:1. ლომაია კი მისწვდა ბურთს, მაგრამ გადაგდება ვერ შეძლო. მეკარე მაინც კარგი გვყავს. ბოლოს სირაძე შედის კარგად მარჯვნიდან, მაგრამ ბოლო პასი გამოსდის ცუდი.

შოტლანდიელები და ქართველები მაისურებს ცვლიან, **ალექს მაკლიში** ჯერ ხიზანიშვილს, მერე შოთას ესალმება თბილად. შესარჩევში ზედიზედ მეოთხედ ვმარცხდებით.

- ასეთ გუნდთან წაგება სირცხვილი ნამდვილად არაა, - აცხადებს ტოპმიოლერი პრესკონფერენციაზე – თამაშს ვაკონტროლებდით, მაგრამ შედეგში ვერ ავსახეთ. ჩვენი ოცნება ჯგუფიდან გასვლაზე საბოლოოდ დასამარდა.

- არადა, იყო იყო ვარიანტი, არ წაგვეგო – სასტუმროში დაიწყო საუბარი მატჩზე.

- ხიზანამ როგორ ვერ წაჰკრა იმ ბურთს ფეხი. ეჰ, რა დროს მიილო ტრავმა.

- აბა, როგორ გაეჭედა ფეხი.

ტოპმიოლერი და **მინგე** სასტუმროს ბარში სხედან, ირლანდია-უელსის თამაშს უყურებენ.

- საწყენია წაგება – გრძელდება საუბარი თამაშზე ამჯერად უკვე მწვრთნელის მონაწილეობით.

- კალაძე გვინდოდა დღეს

- კალა დიდი ძალაა – მოსაზრებას ეთანხმება ტოპი – ეგ და ასათიანი რომ გვყოლოდნენ სულ სხვა თამაში იქნებოდა სხვა შედეგით.

- იაშვილის უთამაშებლობა რით იყო გამოწვეული?

მწვრთნელი არ პასუხობს, შეიძლება არ ესმის კითხვა, ბარში ხმაურია.

**პაატა თოთაძე**
გლაზგო-თბილისი

## შოთა და ნაკრები მორჩა?

შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ **შოთა არველაძემ** იქაურ ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ ფარერებთან 28 მარტის შეხვედრა მისი ბოლო სანაკრებო თამაში იქნებოდა. უკვე მერამდენედ, შოთამ ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ თუკი ადრე ეს გადაწყვეტილება ამდენჯერვე შეცვალა, ახლა, შეიძლება, ეს ასე აღარ მოხდეს. გუშინ, შოთასთან გასაუბრება ვერ მოვახერხეთ, მგზავრობისგან დაღლილი იყო და ისვენებდა. წასვლის მოტივი ასეთი შეიძლება იყოს: მუხლის ტრავმისა და ასაკის (34) გამო, გადაწყვიტა, გზა რომელიმე ახალგაზრდა ფორვარდს დაუთმოს...

სხვათა შორის, შოტლანდიურმა "დეილი რეკორდმა" შოთას სიტყვებს სტატია მოაყოლა და ის ასე დაასათაურა: **"დარჩი იტალიამდე და წაართვი ქულა შოტლანდიისთვის"**.

**კლაუს ტოპმიოლერიც** საქმის კურსშია. ის ამბობს, რომ შოთას წასვლა 100 პროცენტით არაა გადაწყვეტილი და აპირებს, ამ დღეებში ცალკე დაელაპარაკოს...

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა





კლაუს ტოპმიოლერი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე — პაატა თოთაძის ფოტო

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

# ნახევარდაცვას მეტი ყურადღებით უნდა ეთამაშა

## ტოპმიოლერი შოთას შემცვლელის ძებნას იწყებს

*პირველი გვერდიდან*

**- თქვენი შეცვლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ნაკრები ფრეზე თანახმა არ იყო, თუმცა მეორე ტაიმის მეორე ნაწილში ნათლად გამოჩნდა, რომ უფრო ანგარიშის შენარჩუნებაზე კეთდებოდა აქცენტი...**

- არა, ფრეზე თანახმა არ ვიყავით. პირველი ტაიმის მეორე ნახევარმა ნათლად გვიჩვენა, რომ საქართველოს ნაკრებს ამ თამაშის მოგება შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდიელებმა ფიზიკურად გვაჯობეს და გრძელი ჩაწოდებებით მაგრად გვანერვიულებდნენ, ჩანდა, რომ მოგება შეგვეძლო. რაც შეეხება იმას, რომ ბოლო მეოთხედში მეტოქე უფრო აქტიურობდა, ეს არცაა გასაკვირი. ბიჭებისთვის დაცვაში ჩაჯდომა არ დამივალებია, მაგრამ დიდი სიფრთხილე კი გვმართებდა. ბოლო წუთებზე აშკარად დაღლა დაგვეტყო და ამიტომაც იყო სიფრთხილე საჭირო. დასანანი, ძალიან დასანანი გოლი მივიღეთ...

**- ერთი სიტყვით, "ჰემპდენ პარკზე" კიდევ ერთი უიღბლო მატჩი ჩაატარეთ. ყველაზე მეტად რომელი რგოლი სცოდავდა ჩვენს გუნდში?**

- ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე რგოლმა განსაკუთრებით ბევრი შეცდომა დაუშვა. მაგალითად, ლომაიამ ძალიან კარგად ითამაშა და რამდენჯერმე გადაგვარჩინა. გაშვებულ გოლებს მას ნამდვილად ვერ დავაბრალებ. პირველის დროს ბოიდმა დასწრებაზე ითამაშა კარგად, ჩვენ იმ მომენტში პოზიციურად შევცდით. მეორე გოლი კი ჩვენს საჯარიმოში შექმნილ არეულობას მოჰყვა, წესით და რიგით, იმ მომენტში ხელოვნური თამაშგარე უნდა შეგვექმნა, მაგრამ ეს ვერ შევძელით. კონკრეტულად ვერცერთ ფეხბურთელზე აუგს ვერ ვიტყვი, ერთია მხოლოდ, რომ ნახევარდაცვას უფრო ყურადღებით უნდა ეთამაშა. ოთხშაბათის მატჩამდე გლაზგოს დაპირისპირებას დეტალურად გავაანალიზებთ და ფეხბურთელებს შეცდომებზე დაწვრილებით მივუთითებთ. საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ. ვერ წარმოიდგენთ, რამდენჯერ ვინატრე ასათიანი - დაცვაში თუ ნახევარდაცვაში, მალხაზი თავის სიტყვას აუცილებლად იტყოდა.

**- ჯავრს ოთხშაბათს ამოიყრით?**

- ფეხბურთელები გულდაწყვეტილები არიან. ახლა ყველას ერთი სურვილი გვამოძრავებს: გულშემატკივრებს ოდნავ მაინც უნდა გამოვუკეთოთ ხასიათი. ჯავრს რაც შეეხება, ის შოტლანდიაზევე უნდა ვიყაროთ, როცა თბილისში ჩამოვა. ფარერებთან კი ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ. იმედია, სტადიონი გაივსება.

**- გავრცელდა ინფორმაცია, რომ შოთა არველაძემ სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა და ფარერებთან ეროვნული გუნდის მაისურას უკანასკნელად მოირგებს...**

- დიახ, შოთამ მართლაც მოისურვა ნაკრების დატოვება, მაგრამ ჯერ 100 პროცენტით არ არის გადაწყვეტილი. მას ამ დღეებში დაველაპარაკები და ერთად მოვიფიქრებთ, როგორ მოვიქცეთ.

**- თქვენ როგორ გირჩევნიათ?**

- ერთი მხრივ, ყველაფერი გასაგები და მისაღებია - არველაძეს მუხლი ძალიან აწუხებს, თანაც, მომდევნო ციკლიდან ის მაინც ველარ დაეხმარება ნაკრებს და ალბათ, უპრიანი იქნება, უკვე ვეძებოთ მისი შემცვლელი და სხვებს მივცეთ შესაძლებლობების დამტკიცების შანსი. თუმცა შოთა ძალიან გვჭირდება. გლაზგოშიც გამოჩნდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ფიგურაა ის ჩვენი გუნდისთვის... მოკლედ, ყველაფერი მალე გაირკვევა. დავსხდებით და დავილაპარაკებთ. ახლა კი მომიტევეთ, მეჩქარება, თან ძალიან დაღლილი ვარ. დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

**გოტფრიდ ლენცი**

რევაზ ძოძუაშვილი:

# შოტლანდიას არ მოუგია, ჩვენ წავაგეთ

**ეროვნული ნაკრების ყოფილ თავკაც რევაზ ძოძუაშვილს შოტლანდიასთან მატჩამდე გავესაუბრეთ. პარასკევს, მან დეტალურად ისაუბრა იმაზე, თუ როგორი ტაქტიკა-სტრატეგიის არჩევა იქნებოდა მართებული, რა კოზირები უნდა გამოგვეყენებინა და როგორ აგვეცილებინა შოტლანდიური საფრთხე. ამჯერად, ძოძუაშვილი უკვე განვილი მატჩის ანალიზს გვთავაზობს...**

- ჯერ კიდევ მატჩამდე ვთქვი, რომ უპრიანი იქნებოდა, სამი ცენტრალური მცველის დაყენება. ასე რომ გვეთამაშა, იმ გოლებს არ გავუშვებდით. ამ ვარიანტით ცენტრალურ ზონას გადავკეტავდით და ჩვენი კარი უფრო საიმედოდ იქნებოდა დაცული. როგორც გითხარით, თამაში ინდივიდუალიზმსა და შოთა არველაძეზე გაგვეკეთებინა აქცენტი. ამას გარდა, ურიგო არ იქნებოდა, დაცვიდან აგვეგო თამაში. ჩვენი ბიჭები კონტრშეტევაზე სათამაშოდ გაცილებით უკეთ არიან მომზადებულები. ხომ ნახეთ, პირველი გოლი რომ გავუშვით, თამაშის გადარჩენაზე გადავერთეთ, გოლის გატანა ვცადეთ და შოტლანდიას ძალიან გაუჭირდა. მერე გოლიც გავიტანეთ, მაგრამ ჩემი აზრით, სწორედ ამის შემდეგ დავუშვით შეცდომა, რამაც საბოლოოდ ჩვენი მარცხი განაპირობა.

**- მაინც, რა იყო ეს შეცდომა?**

- დაცვაში ჩავჯექით და ანგარიშის შენარჩუნებაზე დავიწყეთ ზრუნვა. ამით, მასპინძლებს ხელ-ფეხი გაეხსნათ და ბოლოს შტურმიც მოგვიწყვეს. არადა, ყრუ დაცვაზე რომ არ გადავსულიყავით და კონტრშეტევაზე გაგვეკეთებინა აქცენტი, მინიმუმ არ წავაგებდით და შეიძლებოდა, მოგვეგო კიდეც. თუ დააკვირდით, მეტოქეც ბევრს სცოდავდა და საერთოდ, მე რომ მკითხოთ, შოტლანდია ნამდვილად არაა ის გუნდი, ჩვენთან გამარჯვებას და ზოგადად, ჯგუფში პირველ ადგილს რომ იმსახურებდეს. მე ასე ვიტყოდი - შოტლანდიას არ მოუგია, ჩვენ წავაგეთ. როგორც მატჩამდე ვივარაუდე, ამ მატჩში მთავარი როლი არველაძემ, დემეტრაძემ და ლომაიამ შეასრულეს. ლომაიას საიმედო თამაში რომ არა, შოტლანდიელები კიდევ გაგვიტანდნენ ერთ-ორ ბურთს.

**- მატჩამდე ისიც თქვით, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ფორმაში იქნება თავად ტოპმიოლერიო...**

- დიახ, ვთქვი და ამ მომენტს მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ტოპმიოლერმა პირველ ტაიმში ჩინებულად ათამაშა გუნდი - დაცვაში, შეტევასა თუ კონტრიერიშებში ჰარმონია და ბალანსი აშკარად იგრძნობოდა. თუმცა მეორე ტაიმში კი შეცდა. მან შედეგზე, ანგარიშის შენარჩუნებაზე გააკეთა აქცენტი, რამაც, როგორც ნახეთ, საბოლოოდ არ გაამართლა. არადა, სწრაფ კონტრშეტევებზე რომ აგვეგო თამაში, შოტლანდიას მეორესაც გავუტანდით. ეს ნამდვილად გატეხდა ალექს მაკლიშის გუნდს.



რევაზ ძოძუაშვილი

**- რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?**

- პირველ რიგში, არველაძესა და დემეტრაძეს, ასევე ლომაიას, კარგი იყო ელიავაც, შაშიაშვილიც... ცქიტიშვილმა და კობიაშვილმაც დიდი სამუშაო გასწიეს... ხიზანიშვილის გამორჩევაც შეიძლება...

**- ხომ არ დაასახელებდით ფეხბურთელს, რომელიც ჩვენს ნაკრებს გააძლიერებდა?**

- ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: კარგი იქნებოდა, თუკი ნაკრებში, რომელიმე ამხანაგურ მატჩში, დავით გამეზარდაშვილსაც გამოცდიან. ქუთაისის "ტორპედოდან" წასვლის შემდეგ, გამეზარდაშვილი "სკონტოს" ძირითადში სტაბილურად თამაშობს. ელიავაც "სკონტოშია" წამყვანი ფიგურა და კარგი იქნებოდა, გამეზარდაშვილიც ენახათ. მაშინ, როცა დაცვაში ამდენი ფეხბურთელი გვაკლია, გამეზარდაშვილი საჭირო ფეხბურთელად მესახება.

**დავით ცაბაძე**



**შოტლანდიაში განცდილი დასანანი მარცხის ირგვლივ მსჯელობა, ალბათ, ფარერების შემდეგაც გაგრძელდება. საინტერესოა, როგორ აფასებს შაბათის მატჩს თბილისის "დინამოს მთავარი მწვრთნელი დუშან უჰრინი. ამ მოკლე ანალიზის გაცნობისას, მიაქციეთ ყურადღება ერთ გარემოებას: საქართველოს ნაკრების ხსენებისას, უჰრინი ამბობს - "ჩვენი გუნდი". როცა ამაზე ვკითხე, ჩაიცინა და ასე მიპასუხა: "თავს უკვე ქართული ფეხბურთის ნაწილად ვთვლი და ბუნებრივია, საქართველოს ნაკრები ჩემი გუნდიცაა". ახლა კი უშუალოდ მატჩზე.**

დუშან უჰრინი:

# მარცხის მიზეზი? უფრო ფსიქოლოგია

- ჩვენმა გუნდმა პირველ ტაიმში ძალიან კარგად ითამაშა, როგორც ტაქტიკა-სტრატეგიის მხრივ, ისე პოზიციურად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შოტლანდიას თითქმის ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. თუნდაც სტატისტიკური მაჩვენებელი. შეიძლებოდა, პირველი 45 წუთი 2:1 მოგვეგო კიდეც...

**- ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?**

- ძალიან კარგად ითამაშა გიორგი დემეტრაძემ, ძალიან მომეწონა ლევან კობიაშვილი, აღარაფერს ვამბობ, შოთა არველაძეზე. მას ერთადერთი შანსი ჰქონდა და როგორც მაღალი კლასის ფორვარდს შეეფერება, გამოიყენა კიდეც. არ შემიძლია, არ ვთქვა გიორგი ლომაიაზე. პირველად ვნახე ასე დამაჯერებლად, საიმედოდ და პოზიციურად სწორად მოთამაშე ქართველი მეკარე. ასევე გამოვარჩევდი გიორგი შაშიაშვილის თამაშს. მან საიმედოდ, ასევე პოზიციურად ზუსტად და გააზრებულად ითამაშა. მთელი 90 წუთის განმავლობაში შაშიაშვილის ფლანგიდან ჩვენი გუნდის კართან განსაკუთრებული ხიფათი არ შექმნილა.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ წააგო საქართველოს ნაკრებმა?**

- შოტლანდიელები, ძირითადად, სტანდარტული სიტუაციების იმედად იყვნენ. განსაკუთრებით, ეს პირველ ტაიმზე ითქმის. როცა ვცდილობ, ახსნა მოვუძებნო წაგებას, მეორე ტაიმში ჩვენი ნაკრების შედარებით სუსტს თამაშს, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ყველაფერი მაინც ფსიქოლოგიის ბრალია. მასპინძლებს მეორე ნახევარში უფრო მეტი გასაქანი ჰქონდათ. ბოლო წუთებზე საერთოდ შტურმიც მოგვიწყვეს და დასანანი გოლიც გაგვიტანეს. რა თქმა უნდა, ძალიან დამწყდა გული, ჩინებულად ნათამაშები პირველი ტაიმის შემდეგ, ჩვენს ნაკრებს უქულოდ მოუწია გლაზგოდან დაბრუნება. სამწუხაროა...

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN ტელეფონის დადგმა;
CDN კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ონ. აბაშიძის 14
ტელ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

# სერგო კუტივაძე: ნახევარდაცვა არ გვყავდა!

**სერგო კუტივაძის მატჩისწინა კომენტარიც საინტერესო იყო და მის შემდგომაც ერთობ დამაფიქრებელი საუბარი გამოგვივიდა. ბატონი სერგოს ნააზრევს ტრაფარეტული კითხვების გარეშე, მონოლოგის სახით გთავაზობთ...**

- შთამბეჭდავი მატჩი ნამდვილად არ ყოფილა. გაცილებით მაღალი დონის ფეხბურთს ველოდი შოტლანდიელებისგანაც და ჩვენი გუნდისგანაც, შესაძლებლობათა ასი პროცენტი არც ერთს გამოუვლენია და არც მეორეს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შოტლანდიამ მოედნის ცენტრი მოგვიგო. გვაჯობა სწორ მოძრაობაში, ბურთისთვის ბრძოლაში, ცარიელი სივრცეების ათვისებაში... ვერ ვიტყვი, რომ მასპინძლებმა საგრძნობლად დაგვჩაგრეს, მათი გამარჯვება უპირველეს ყოვლისა, ზუსტი და კარგად დამუშავებული გეგმის შედეგია. მეტოქემ ჩვენი სისუსტეები უკეთ შეისწავლა და შეცდომები არ გვაპატია.

## სუსტი რგოლი

- შეცდომები კი იცოცხლე, მრავლად დავუშვით. უპირველეს ყოვლისა, დაცვაში. ორივე გოლი უკანახაზელების უხეირო ქმედების გამო მივიღეთ. პირველად ცენტრალური ზონა ჩავარდა, მეორედ კი ელიავას დაასწრეს. თუმცა, ჯოხს მხოლოდ მცველებზე ნუ გადავტეხთ, წაგებაში უფრო მეტი ბრალი შუა ხაზს მიუძღვის, რომელიც, ფაქტობრივად, არ გვყავდა. როცა ნახევარდაცვა საშინლად ირჯება, დაცვას საქმე უათმაგდება და შესაბამისად, შეცდომების რაოდენობაც საგრძნობლად იზრდება. ნახევარმცველებიდან **კობიაშვილი** და **ცქიტიშვილი** შედარებით ნორმალურები იყვნენ, **მენთეშაშვილმა** და **ბურდულმა** კი თამაში ჩააგდეს, მათი ძირითადში დაყენებით ტოპმიოლერმა უდიდესი შეცდომა დაუშვა. საერთო ჯამში კი, ვიმეორებ, მთელმა შუა ხაზმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. ზოგადად, 4-4-2 დაცვითი ტაქტიკა არაა. **ტოპმიოლერმა** საკმაოდ გაბედული სქემით ითამაშა, ალბათ იმ იმედით, რომ მისი ფეხბურთელები შეტევაში ფხას გამოიჩენდნენ. 1:1-ზე ორი ხელსაყრელი მომენტი გავანიავეთ, თამაში ისეთი შინაარსისა იყო, ჩვენც გვქონდა გამარჯვების შანსი. გადამწყვეტი გოლის გასატანად კლასი არ გვეყო, ანგარიში კი იმიტომ ვერ შევინარჩუნეთ, შოტლანდიელებს ცენტრი საბოლოოდ და მყარად რომ გადავულოცეთ. მანამდე კი იმედი მქონდა, რომ კონტრიერიშებს უკეთ განვავითარებდით, მაგრამ ისევ და ისევ ნახევარმცველების გადამკიდე, ვერც ამ კომპონენტში ვივარგეთ. ბოლო წუთებში მეტოქემ ფიზიკურად დაგვჯაბნა, ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, ამ დროს მოედანზე ორი თავდამსხმელი აღარ გვყოლოდა.

**თამაშის ბედი მწვრთნელთა სქემებს ნამდვილად არ გადაუწყვეტია. ვერავინ იტყვის, რომ მაკლიში ტოპმიოლერზე ძლიერი სპეციალისტია, უბრალოდ, ბოლო სიტყვა მაინც მოთამაშეებზეა**



## გამორჩეულები

- ჩვენი გუნდიდან საუკეთესო **არველაძე** იყო. იგი უმაღლესი კლასის ფორვარდის შესაფერისად მოქმედებდა. მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი საგოლე შანსი მიეცა, რაც გოლად აქცია. მეტი მომენტი რომ არ შეჰქმნია, ეს შოთას ბრალი ნაკლებადაა, მას მეტი პასი სჭირდებოდა, რისი შესრულებაც მისმა თანაგუნდელებმა ერთის მეტი ვერ შეძლეს. კარგი იყო **დემეტრაძეც**, ბევრს მოძრაობდა, მოწინააღმდეგის დაცვას ხშირად უბნევდა თავ-გზას და თავადაც შეეძლო გატანა. მოკლედ, თავდასხმაში საქმე არცთუ ურიგოდ გვქონდა, მაგრამ რად გინდა, წინ ბურთის აზრიანად ამტანი შაბათს ვერავინ დავინახე.

## მეკარე

- **ლომაიას** რაც შეეხება, მან შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარა, მაგრამ არც სასწაულები ჩაუდენია. მეკარე იმისთვისაა, ბავშვური ბურთი არ გაუშვას, რასაც, მადლობა ღმერთს, ამჯერად ადგილი არ ჰქონია. ვიმედოვნებ, საქართველოს ნაკრებს გოლკიპერის პრობლემა აღარ ექნება და მეკარის დამაჯერებელ თამაშს სასწაულად აღარ გამოვაცხადებთ. დანარჩენი ფეხბურთელების სათითაოდ შეფასებას აღარ შევუდგები, არა მგონია, მწვრთნელი მათი თამაშით კმაყოფილი იყოს.

## კლასმა გადაწყვიტა

- თამაშის ბედი მწვრთნელთა სქემებს ნამდვილად არ გადაუწყვეტია. ვერავინ იტყვის, რომ **მაკლიში** ტოპმიოლერზე ძლიერი სპეციალისტია, უბრალოდ, ბოლო სიტყვა მაინც ფეხბურთელებზეა. ილუზიების ტყვეობიდან ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვიდეთ და უნდა შევიგნოთ, რომ მაღალი კლასის მოთამაშეები ფაქტობრივად, არ გვყავს. შოტლანდიელები კი როგორც ნათლად გამოჩნდა, ამ თვალსაზრისითაც გვჯობიან. რა უნდა ქნას ტოპმიოლერმა, როცა თავისი ჩანაფიქრის შემსრულებლები არ ჰყავს?! თვითონ ხომ არ გავა მოედანზე?! გასაგებია, რომ **ასათიანი, კალაძე, ხიზანეიშვილი** დაგვაკლდნენ, მაგრამ ტრავმები ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია, ოპტიმალური შემადგენლობით ათასში ერთხელ თუ ითამაშებ. ასე რომ, საკადრო პრობლემა თავის გასამართლებელი არგუმენტი არაა, მით უფრო, რომ შოტლანდიამაც რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ითამაშა.

## ყურადღებით ფარერებთან

- საშინლად არ მომეწონა ის აჟიოტაჟი, რომელიც ამ მატჩამდე სუფევდა. კერძოდ, ვერ გავიგე, რატომ გაისმოდა მოწოდებები, რომ გლაზგოში აუცილებლად უნდა მოგვეგო. კი, გამარჯვების შანსიც გვქონდა, მაგრამ რეალურად, შოტლანდიას ჩვენზე გაცილებით უკეთესი გუნდი ჰყავს. კარგია მაქსიმალიზმი, მაგრამ ზომიერების გრძნობაც უნდა გვქონდეს. არც ფარერებთან შეხვედრის წინ გვარგებს ზედმეტი თავდაჯერება. ამ გუნდს თუ არა, აბა ვილას უნდა მოვუგოთ, მაგრამ თუ ბიჭები მოედანზე ბოლომდე არ დაიხარჯნენ, არაფერი გამოვა. თუმცა დარწმუნებული ვარ, ტოპმიოლერი შეგირდებს ამ მატჩისთვის სათანადოდ განაწყობს.

## ახალი სენი

- გავათანაბრეთ, მაგრამ მაინც დავმარცხდით. ასეთი რამ ამ ციკლში უკვე მესამედ დაგვემართა. უკრაინაში სულაც ვიგებდით... კარგია, როცა პირველივე მიღებულ ბურთზე ფარ-ხმალს აღარ ვყრით, მაგრამ ცუდია, რომ სასურველი ანგარიშის შენარჩუნების უნარი არ გვაქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

***P. S. ამბობენ, რომ ნაკრებს პროგრესი აქვს, მაგრამ პროგრესი, უპირველეს ყოვლისა, ქულებში უნდა აისახოს. უცხოელ მწვრთნელებს ჩვენში ყოველთვის დიდ იმედებს უკავშირებდნენ. გვყავდა ბოსკამპი, ჟირესი, შედეგი კი არ გვქონდა. ვისურვებდი, რომ ტოპმიოლერის ქართული კარიერა ამ ორისაზე გაცილებით წარმატებული იყოს.***

# გოჩა ჯამარაული: ფრეზე კი არა, მოგებაზე უნდა გვეფიქრა

## ისეთი მწვრთნელი გვჭირდება, თამაშს კი არა, მოგებას რომ გვასწავლის...



**საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული მიიჩნევს, რომ შოტლანდიელებთან წაგების მთავარი მიზეზი ფსიქოლოგიურ ფაქტორებშია მოსაძებნი...**

- საერთოდ, მატჩის ატმოსფერო ძალიან მომეწონა. ბრიტანეთში ფანებმა იციან მოთამაშეებისთვის საჭირო განწყობის შექმნა. რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, მიმაჩნია, რომ არ უნდა წაგვეგო. სამწუხარო ისაა, რომ ასეთი არწასაგები თამაშების წაგება ტრადიციად გვექცა, ასეა ჩვენი ნაკრების ჩამოყალიბების დღიდან. ადრეც ხომ ვამბობდით ხოლმე, კარგად ვითამაშეთ და წავაგეთ-თქო, ახლაც იგივე გრძელდება. აბა, უკრაინაში ქულა მაინც არ უნდა აგველო? შოტლანდიაზე უკვე გითხარით. ეს შემთხვევით არ ხდება და თუ რა არის ამის მიზეზი, სპეციალისტებმა უნდა იცოდნენ.

**- სოლიდური სანაკრებო მონაგარის პატრონმა ჯამარაულმა კი უნდა იცოდეს, თუ რა არის მიზეზი...**

- ჩემი გადმოსახედიდან, ძნელია ზუსტი დიაგნოზის დასმა, როცა ზიხარ ტელევიზორთან და არ იცი, გუნდში რა ხდება. მე ვხედავ, რომ შოთა არველაძე პროფესორია და მაქსიმალურად იხარჯება. მისი თამაში "ნიუკასლთან" ვნახე და აღფრთოვანებული დავრჩი. თუნდაც, შოტლანდიასთან როგორ ითამაშა? მას იმიტომაც ვაფასებ, რომ უკვე 34 წლისაა და თან ვიცი, როგორ აწუხებს მუხლი და ასეთ დროს, როგორი მონდომებით ეხმარება გუნდს. აი, ასეთი გამოცდილი ხალხი დაცვაშიც რომ გვყავდეს, მსგავს გოლებს აღარ გავუშვებდით. ძალიან დიდ პატივს ვცემ ხიზანიშვილსაც და სალუქვაძესაც, მაგრამ გამოცდილება აკლიათ და მთელი 90 წუთის განმავლობაში მობილიზება უჭირთ.

**- მოგება რის ხარჯზე შეგვეძლო?**

- რა თქმა უნდა, შეგვეძლო, თუ უფრო მობილიზებულები ვიქნებოდით. გაიხსენეთ, რა ბურთები გავუშვით. ეს არალოგიკური იყო და ჩვენი დაცვის შეცდომების შედეგია. შოთას გოლი უფრო ლოგიკური იყო, მათი მცველები თითქოს არ შემცდარან, ჩვენებმა მოახერხეს ლამაზი კომბინაციის გათამაშება... მეორე გოლი ხომ საერთოდ არ ჯდება ლოგიკაში. რა მოხდა, ვერ ამიხსნია... საერთოდ კი, სიმართლე რომ ითქვას, შოტლანდიის ლიდერობა გასაოცარი ამბავია. ამათ 12 ქულა როგორ უნდა მოეპოვებინათ?! ესაა გუნდი?! თამაშიდან რომელიმე ფეხბურთელი ხომ უნდა დაგამახსოვრდეს? ან გუნდის გააზრებული თამაში... ვერც ერთი მათგანი შოტლანდიის ნაკრებში ვერ დავინახე. ამიტომაცაა გულდასაწყვეტი ეს წაგება. გამარჯვება შეგვეძლო იმ ფსიქოლოგიური უპირატესობის ხარჯზე, რომელიც ანგარიშის გათანაბრების შემდეგ გამოჩნდა. სამწუხაროდ, ეს უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ.

**- და რატომ ვერ შევინარჩუნეთ?**

- იმიტომ, რომ განწყობა იყო ფრეზე და არა მოგებაზე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი. თან მატჩის მსვლელობასაც ხომ გააჩნია. პირველი გაშვებული გოლის შემდეგ, შოტლანდიელებზე გაცილებით უკეთ გამოვიყურებოდით და მეორე ტაიმში მოგებაზე ამიტომაც უნდა გვეთამაშა.

**- საერთოდ, ტოპმიოლერის გუნდის შესახებ როგორი შთაბეჭდილება გრჩება? რა გამოსწორდა და რა არის კიდევ გამოსასწორებელი?**

- ნებისმიერი მწვრთნელი და გუნდი შედეგით ფასდება და ჩვენც ასე ვილაპარაკოთ. რა პირობები შეუქმნეს ტოპმიოლერს და რას მიაღწია ნაკრებმა მის ხელში? ხუთი შეხვედრიდან ოთხი წააგო და მხოლოდ ერთი მოიგო. ასე იყო ადრეც, როცა ხუთიათასლარიანი მწვრთნელი გვყავდა. ახლა, როცა მწვრთნელი სოლიდურ ხელფასს იღებს, რა თქმა უნდა, ანალოგიური შედეგი არადამაკმაყოფილებელია. იცით, ქართველების პრობლემა რა არის? ჩვენ თამაში ნამდვილად ვიცით და ეს ბევრჯერ გამოჩნდა. ძალიან ძლიერ ნაკრებებთან ისეთ მომენტებს ვქმნიდით, გაცილებით ძლიერი გუნდები რომ ვერ ახერხებდნენ. პრობლემა შედეგის მიღწევაა და ეს არ ვიცით, ნაკრებს კი ისეთი მწვრთნელი სჭირდება, რომელიც თამაშს კი არა, მოგებას გვასწავლის, ანუ, თამაშს დაალაგებს და მომგებიანს გახდის. ლეგიონერებმა, და მათ შორის მეც, საკუთარ თავზე გამოვცადეთ, თუ რას ნიშნავს უცხოეთში ხელფასის მიღება. რაც უფრო მეტს იღებ, მით უფრო მეტს გთხოვენ. დროა, საქართველოშიც ვისწავლოთ შედეგის მოთხოვნა, თორემ ასეთი "ლამაზი" წაგებებით შორს ვერ წავალთ.

**მერაბ მამულაშვილი**

მწვანე სამყარო
GREEN WORLD
გამწვანება
ფილეების დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ქვის სამუშაოები
განათება
შადრევნები
ახალი ეპოქა
ჩვენთან ერთად
მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ნამატჩევს...



# ჩვენ ვითამაშეთ, იმათ... მოიგეს

...1998 წლის მერე შოტლანდიის ნაკრებს ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე აღარ უთამაშია. არც ეკუთვნოდა და არც ვინმეს მოუსაკლისებია - არიქა, ამ გუნდის გარეშე ევროპის (თუ მსოფლიოს) ჩემპიონატს ეშხი და ლაზათი დააკლდაო. ჰოდა, ამდენი ხნის შემდეგ შოტლანდიელებს პირველად გაუჩნდათ შანსი, რომ უძლიერესთა მარაქაში გაერივნონ. ბოლოს და ბოლოს, ალბათ, თვითონაც აღარ ახსოვთ, თუ როდის იყვნენ შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე; თანაც, ხუთი მატჩის შემდეგ...

...ისე, ალბათ, ჯობია, ჩვენს სატურნირო მდგომარეობასა და, საერთოდ, ჩვენ ნაკრებზე ვისაუბროთ. ნაკრებზე, რომლის თამაშში პროგრესიც იგრძნობა, კვალიფიციური მწვრთნელის ხელიც და თანამედროვე თამაშის ელემენტებიც; სამწუხაროდ, მთავარი არა ჩანს - შედეგი! რა თქმა უნდა, იმ ჯგუფში, სადაც საფრანგეთი, იტალია და უკრაინაა, პირველ-მეორე ადგილზე გასვლას ვერავინ მოითხოვს; მაგრამ, გულახდილად ვთქვათ - განა, შოტლანდიის ნაკრები ბევრით ალემატება ჩვენს ნაკრებს? არც - არაფრით და არც - ვერაფრით! ჯერ მწვრთნელი ვახსენოთ - **ალექს მაკლიში** ახლოსაც რომ ვერ მივა **ტოპმიოლერთან,** ფაქტია; ახლა, ფეხბურთელები? კი, არ არიან ურიგო ფეხბურთელები **ბოიდი, მილერი, ვეირი** და **ნეისმიტი,** მაგრამ **შოთა არველაძემდე, ლევან კობიაშვილამდე** და **გიორგი დემეტრაძემდე** ბევრი უკლიათ. აღარაფერს ვამბობთ ჩვენი ნაკრების კიდევ ორ ლიდერზე - **კახი კალაძესა** და **მალხაზ ასათიანზე.** აი, ვინც გვაკლდა გლაზგოში და რომელთა არყოფნის გამოც დაცვაში დაშვებული ბავშვური შეცდომებით წავაგეთ კიდეც.

ისე, შოტლანდიელებს ერთი, მეტნაკლებად, მაღალი კლასის ფეხბურთელი მაინც ჰყავდათ - გუნდის კაპიტანი **ბარი ფერგიუსონი.** მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, ჩვენს ნაკრებს რომ ოპტიმალური შემადგენლობით ესპარეზა, ფერგიუსონიც ჩაიკარგებოდა პრიმიტიულად მოთამაშე მასპინძლებს შორის. პრიმიტიული და მარტივი სათამაშო სტილი აქვთო, ამას ვამბობდით თამაშამდეც და... მაინც ამ სტილში დაგვამარცხეს. ანუ, ორივე გოლი ფლანგური გარღვევების შემდეგ გაგვიტანეს და ერთხელ კი (ბოიდმა რომ ბურთს ფეხი ააცილა) იღბალი ჩვენს მხარეს იყო. მოკლედ, ჩვეულებრივი გუნდი ვიხილეთ, რომელთანაც ფრე კი არა, მოგებაც შეიძლებოდა. აი, თუნდაც პირველი ტაიმი გავიხსენოთ: ბოიდის გოლის გარდა მასპინძლებს ერთი მომენტი ჰქონდათ (**ლომაიამ** რომ გვიხსნა) და მორჩა! დანარჩენი დრო ხომ ჩვენების კარნახით წარიმართა - ბურთსაც უფრო ხშირად ვფლობდით, კარშიც მეტჯერ დავარტყით, კუთხურიც მეტი მოვაწოდეთ. მოკლედ, ტერიტორიული უპირატესობა საქართველოს ნაკრების მხარეზე იყო და ერთადერთი, გოლიღა გვაკლდა. ისიც ვნახეთ, გიორგი დემეტრაძემ მორიგი "სოლო" იმით დაასრულა, რომ ზუსტად ჩაწოდა ბურთი მეტოქის საჯარიმოში; იქ კი შოთა არველაძემ ზოგიერთ სკეპტიკოსს (მაინც არიან) მერამდენედ დაუმტკიცა, რომ "სხვა" დონის ფორვარდია: ვარდნაში თავური დარტყმით ანგარიში გაქვითა! კიდევ ვიმეორებთ, იმ მომენტისათვის საქართველოს ნაკრები თამაშის ტემპსაც აკონტროლებდა და, რაც მთავარია, აშკარად ჩანდა, რომ ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ჩვენს მწვრთნელს ჰქონდა ჩაფიქრებული. თუმცა ყველაფერი იდეალურად ნამდვილად არ იყო: თუ მარცხენა ფლანგზე ახალგაზრდა **ზაალ ელიავა** და გამოცდილი ლევან კობიაშვილი აქტიურობდნენ და უპირატესობა მოიპოვეს, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით მარჯვენაფლანგელებზე; მართლაც შთამბეჭდავად მოთამაშე გიორგი დემეტრაძის ფონზე, აშკარად პასიურად გამოიყურებოდნენ ჩვენი საყრდენი ნახევარმცველები; ამას გარდა, უკვე პირველ ტაიმშივე გამოჩნდა, რომ ჩვენი ცენტრალური მცველები ხშირად ერთმანეთსაც ვერ აზღვევდნენ და პოზიციურადაც არაერთხელ შეცდნენ. კიდევ კარგი გიორგი ლომაია უშეცდომო და, რაც მთავარია, დამაჯერებელი იყო. ვფიქრობთ, წესითა და რიგით, საქართველოს ნაკრებში მეკარის პრობლემა მოხსნილი უნდა იყოს.

...ტოპმიოლერმა აშკარად სწორი ცვლილება გააკეთა, როცა მოედანზე **გოგიტა გოგუა** გამოიყვანა (სხვათა შორის, ბევრი ამას ძირითადის ფეხბურთელად მოიაზრებდა). ამ ცვლილებას ტაქტიკური გადადაგილება რომ მოჰყვა, ეგეც კარგად წაგვადგა - გოგუამ მარცხენა ფლანგზე დაიკავა ადგილი, კობიაშვილმა კი ცენტრში შემოიწია. ჩვენმა კაპიტანმა ბრწყინვალედ ითამაშა მეორე ტაიმში, მაგრამ, სამწუხაროდ, პარტნიორებისაგან შესაბამისი მხარდაჭერა არ ჰქონდა. ამასთან, გოგუაც მისთვის ჩვეული აგრესიულობით არ გამოირჩეოდა, **ლადო ბურდულიც** ვერ "გაიქცა" ერთხელ მაინც ისე, მას რომ სჩვევია (გადაცემებშიც ბევრი წუნი ჰქონდა) და ფლანგებზე უპირატესობა ისევ მასპინძლებმა მოიპოვეს. ტოპმიოლერი კვლავ ცვლილებით შეეცადა თამაშის რიტმის შეცვლას, მაგრამ კიდევ ერთხელ მომხდარმა ტაქტიკურმა გადაადგილებამ ჩვენებს ბევრი ვერაფერი შემატა; ბურდულის ნაცვლად შემოსულმა **დავით სირაძემ** მარჯვენა შუამარბის პოზიცია დაიკავა, ხოლო დემეტრაძემ - მარჯვენა ნახევარმცველის. აი, აქედან დაიწყო კიდეც ჩვენი უსიამოვნებები - დემეტრაძეს შეტევებზე მეტად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უხდებოდა ფიქრი; სირაძეც, ცოტა არ იყოს, შებორკილი მოგვეჩვენა; ამას ჩვენი მცველების ზედიზედ რამდენიმე უხეში შეცდომა დაემატა და ორჯერ გადავრჩითო, რომ ვთქვათ, რბილად ნათქვამი იქნება. ღმერთმა დაგვიფაროს, ტოპმიოლერის კვალიფიკაციაში ეჭვი შევიტანოთ, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმაც ხომ შეიძლება? სხვისი არ ვიცით, მაგრამ, ჩვენი აზრით, მეორე ტაიმში **დავით კვირკველიასა** და **ალექსანდრე იაშვილის** გამოჩენა ურიგო არ იქნებოდა. "ფრაიბურგის" კაპიტანი ამ ბოლო დროს რა ფორმაშიც არის, ყველამ ვიცით; თანაც, იაშვილს რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში და, მათ შორის - ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე. იგივე შეიძლება ვთქვათ **დავით მუჯირზეც** - ნათელი იყო, რომ მატჩის მინურულს მასპინძლები შტურმზე გადავიდოდნენ და კონტრშეტევებით მათი დასჯა ნამდვილად არ იქნებოდა შეუძლებელი მოვლენა. ჰოდა, ვის-ვის და მუჯირს ზუსტი პასიც ეხერხება და კარშიც ასევე ზუსტი და ძლიერი დარტყმა. მოკლედ, ამას იმიტომ ვამბობთ, რომ თამაშის შინაარსიდან გამომდინარე... მოგებაზეც შეიძლებოდა გვეფიქრა. ფრე, თავისთავად, ცუდი შედეგი არ იყო, მაგრამ, როცა მეტოქე ვერაფრით გჯობია, რატომ არ შეიძლება მაქსიმუმზე იფიქრო?

...ვინ მოთვლის, რამდენი გოლი გაუშვია საქართველოს ნაკრებს ტაიმების ბოლო წუთებზე. და არა მარტო ნაკრებს - იგივე მეორდება, როცა ჩვენი გუნდები ევროტურნირებზე ასპარეზობენ. ძნელია ახსნა, თუ რა ხდება ამ დროს - გადაღლილობა, კონცენტრაციის დაკარგვა თუ სხვა. ფაქტია, რომ ასე ხდებოდა ხშირად და ასე მოხდა გლაზგოშიც - ნამდვილად არაწასაგებ მატჩში კვლავ ბოლო წუთზე გაშვებული გოლით დავმარცხდით.

...წაგება წაგებაა, მაგრამ ერთია, როცა მარცხდები იტალიასთან ან საფრანგეთთან, მეორე კი - როცა ისეთი გუნდი მოგიგებს, ვერაფრით რომ გჯობია. შოტლანდიის ნაკრები საქართველოს ნაკრებს მართლაც ვერაფრით ჯობია, ერთადერთი, ალბათ, ბოლომდე რომ იბრძვიან და კონცენტრაციას არ კარგავენ. და კიდევ ერთი მომენტიც: იმავე შოტლანდიელებს გამორჩეული ვარსკვლავი არავინა ჰყავთ, თითქმის ყველა ერთნაირი, საშუალო დონის ფეხბურთელებია. ჩვენთან კი, პირიქით - რამდენიმე მართლაც მაღალი დონის მოთამაშე გვყავს, მაგრამ, ამასთან, ზოგიერთი მათი თანაგუნდელი აშკარად ვერ პასუხობს ნაკრების დონეს...

**გია ტუხაშვილი**



# დავინახოთ ის, რაც ჩანს

გლაზგოს მატჩი შოტლანდიის ნაკრებისა და რამდენიმე ჩასაფრებული ქართველის გამარჯვებით დასრულდა. დიახ, მარტო მე ვიცი ერთი დუჟინი ხალხისა, ვინც ნაკრების, კერძოდ კი **კლაუს ტოპმიოლერის** თითოეულ წაბორძიკებას ტაშისკვრით შეხვდა. რატომ? იმიტომ, რომ უცხოელია, იმიტომ, რომ მაღალ ხელფასს იღებს, იმიტომ, რომ ქართველი მწვრთნელები უკეთესი გუნდის აშენებას შეძლებდნენ (როგორც ადრე "შეძლეს"). ჩვენთან ისე არ არის, მარტო შინაურ მღვდელს რომ არ აქვს შენდობა. უცხოტომელსაც ძნელად ვგუობთ და საერთოდ, მგონი, არ ვიცით, რა გვინდა. უცნაური ხალხი ვართ... მე მგონია, რომ კაცი, რომელიც მოუწესრიგებელ ქვეყანაში მოუწესრიგებელი (რბილად რომ ვთქვათ) ნაკრების ფეხზე დასაყენებლად ჩამოვიდა, შეიძლება მეტ გასამრჯელოსაც იმსახურებდეს...

მაგრამ ეს არ არის მთავარი. ახლა კიდევ ერთხელ იტყვიან, ფეხბურთელთა ტრანსფერებში ჰყოფს ცხვირსო. ან უფრო მეტიც - წილში ზისო. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ტოპმიოლერს ამაში რაიმე ფინანსური დაინტერესება ჰქონდეს (მით უმეტეს, ფაქტებიც არ მაქვს წინ). მაშინ ვიკითხოთ - რა დაშავდა იმით, რომ, მაგალითად, **გიორგი ლომაია** "კარლ ცაისში" გადავიდა, სადაც რეგულარულად თამაშობს და აკი შაბათსაც გამოჩნდა, რომ უკვე თავდაჯერებულია. შესაბამისად, ნაკრებს ნელნელა მეკარის პრობლემა ეხსნება.

მაგრამ იმას არ ვამბობ, რომ ტოპმიოლერი შეუცდომელი ანგელოზია. და მაინტერესებს, ვის აქვს იმის ილუზია, რომ უფრო დიდი მწვრთნელიც შეუცდომელი უნდა იყოს. პირადად ჩემთვისაც ბევრი რამ საეჭვო იყო გუშინწინდელ თამაშში. მაგალითად ის, თუ რატომ დადგა **გოგუა** მარცხენა ფლანგზე, თან მაინცდამაინც ასეთ თამაშში, და მაშინ, როცა ამ ფლანგზე არასოდეს უთამაშია. ვერ გავიგე **სირაძის** ფუნქციაც. რატომ არ შეიძლებოდა, ის დაღლილი **დემეტრაძის** ნაცვლად შესულიყო მოედანზე? **ბურდულის** შეცვლა კი სწორედ გოგუათი იქნებოდა მართებული. ასეთ შემთხვევაში, **მენთეშაშვილი კვირკველიათი** შეიცვლებოდა, მარცხენა ფლანგი უფრო ეფექტური გახდებოდა და **კობიაშვილი** კი მოდუნებულ ცენტრში გადაინაცვლებდა. უფრო დიდი გამოცანა იყო **იაშვილის** სკამზე დატოვება. ვფიქრობ, იმავე დემეტრაძის ნაცვლად, ფრაიბურგელის გამოყვანა აჯობებდა. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ გლაზგოში არ ითამაშა ორმა ისეთმა ფეხბურთელმა, უკანასკნელ ხანს თავიანთ კლუბებში გამორჩეულები რომ არიან. დიახ, იგივე კვირკველიასა და იაშვილს ვგულისხმობ. ალექსანდრეს გოლებიც გააქვს და საგოლე გადაცემებსაც აკეთებს, კვირკველიაც რეგულარულად თამაშობს და კლუბში კაპიტნადაც აირჩიეს (რაც დამატებითი მოტივაციაა). დემეტრაძესა და სირაძეს კი ბოლო ხანებში აშკარად აკლიათ სათამაშო პრაქტიკა.

მსგავსი კითხვები მარტო მე არ გამჩენია და საჭიროა, ამ კითხვებზე გულშემატკივრებმა ამომწურავი პასუხები მივიღოთ. თუმცა ცხადია, ეს ისეთი სამზარეულოა, რაც გარეთ გამოსატანი შეიძლება არც იყოს, ანუ, მწვრთნელი ფეხბურთელებზე საჯარო საუბარს მოერიდოს.

მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ბრმისა და ყრუსთვისაც ნათელი უნდა იყოს, რომ საქართველოს ნაკრები შეიცვალა, უფრო სწორად - იცვლება, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იცვლება (ნეტა, რას ველოდით ამისთანას ერთ წელიწადში?). მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოს ნაკრები აღარ არის ისეთი განწირული, ისეთი უსუსური და უსახური, როგორიც იყო უნგრეთთან (1:4), თურქეთთან (2:5), დანიასთან (1:6), ბულგარეთთან (2:6)... სხვების გახსენებაც შეიძლება, მაგრამ მიხვდებოდით, რისი თქმაც მსურს. ისიც უნდა დავინახოთ, რომ სათამაშო ორგანიზაცია-დისციპლინის მხრივაც წინ მივდივართ. გავითვალისწინოთ, რომ ჯერჯერობით, ჩვენი საფეხბურთო რესურსები ძალზე მწირია, საქართველოს ჩემპიონატი ნაკრებს თითქმის ვერაფერს აძლევს. მითხარით ერთი ფეხბურთელი მაინც ეროვნული პირველობიდან, რომელიც ამ თამაშში განსაკუთრებულ მუხტს შეიტანდა. თუმცა ტოპმიოლერმა მაინც არ უნდა აიღოს ხელი შინაურ ბაზარზე და დაკვირვება გააგრძელოს, შეიძლება, უფრო აქტიურადაც...

დაბოლოს, პირადად ჩემთვის, კატეგორიულად მიუღებელია წლების მანძილზე დამკვიდრებული ფრაზა - "ღირსეული წაგება". მარცხი მარცხია. თუ მარცხდები, ესე იგი რაღაცას აშავებ. ახლა უნდა ვისწავლოთ მოსაგები თამაშების მოგება და ამასაც გარკვეული დრო დასჭირდება. მე არ ვარ ტოპმიოლერის ადვოკატი, უბრალოდ, რაც ჩანს, იმას ვხედავ, მეტი არაფერი.

**პაატა გელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გია გეგუჩაძე: ბოლომდე უნდა მივწოლოდით...

### ჩვენი მინუსი ისაა, რომ პლუსებს ვერ ვიყენებთ

თბილისის "დინამოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე შოტლანდია-საქართველოს შეხვედრაზე საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს...

**- ბატონო გია, უყურებდით შეხვედრას და საკუთარი მოსაზრებებიც გექნებათ...**

- ზოგადად იმის თქმა შემიძლია, რომ გუნდი ცუდად არ გამოიყურებოდა. მთავარი კი, ჩემი აზრით, ეს არის - აშკარად გამოჩნდა, რომ საფეხბურთო ოსტატობით ჩვენები მასპინძლებს ალემატებოდნენ, მაგრამ შოტლანდიელებმა ბრძოლისუნარიანობით თავისი გაიტანეს. ეს იყო მთავარი ამ მატჩიდან. დასანანია, რომ მოგება შეგვეძლო და ნაცვლად ამისა, ანგარიშის შენარჩუნებაზე გადავედით. ბიჭებმა თამაშის სადავეები ხელიდან რომ გაუშვეს, ამის ლოგიკური დასასრული იყო სწორედ ეს მარცხი.

**- თქვენი აზრით, მოთამაშეები მოეშვნენ?**

- არა მგონია, მაგრამ ვიმეორებ: მეორე ტაიმში უკან დახევა შეცდომა იყო. ჩვენ უნდა გვეთამაშა ჩვენი ფეხბურთი, რომელმაც პირველ ტაიმში მეტოქე აშკარად გააკვირვა და დააბნია. მე მგონი, ფეხბურთით შოტლანდიელებს ვჯობივართ, ანუ რასაც ჰქვია, ფეხბურთის თამაში. მასპინძლებს ამით მოვუგებდით, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ.

**- რა პლუს-მინუსები გამოვაჩინეთ ამ თამაშში?**

- პლუსი ისაა, რომ ძალიან კარგი თამაში შეგვიძლია და ეს ეპიზოდებში ჩანდა კიდეც. ხოლო მინუსი ის გახლავთ, რომ ამ პლუსს ვერ ვიყენებთ.

**- ესაა მთავარი. და რატომ ვერ ვიყენებთ?**

- ეს უშუალოდ მწვრთნელმა უნდა თქვას, რადგან ჩვენზე უკეთ იცის, რა ვითარებაა, რა განწყობაა, რა ხდებოდა და ასე შემდეგ.

**- როგორ ფიქრობთ, ტოპმიოლერმა რაიმე თვალშისაცემი შეცდომა დაუშვა?**

- ალბათ, დაუშვა, რადგან ფაქტია: თამაში წავაგეთ. ესეც თავად უნდა გააანალიზოს, რა დროს და რატომ ვერ მიიღო სწორი გადაწყვეტილება.

**- თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ვარაუდობთ, რომ თამაშის მოგება შეგვეძლო...**

- დიახ, მე ამაში დარწმუნებული ვარ, რომ შოტლანდიელებზე უკეთ შეგვიძლია ფეხბურთის თამაში. მთავარია, ეს შესაძლებლობა გამოიყენო. ეს კი მწვრთნელის საფიქრალია.

**- შემადგენლობა ოპტიმალურად იყო შერჩეული?**

- თავიდან ნორმალურად ვთამაშობდით და აქედან გამომდინარე, ურიგო შემადგენლობა არ გვყოლია. მთავარი სხვა გარემოებაა. პირველი ტაიმი და მეორის დასაწყისი ცუდად არ ჩაგვიტარე-



ბია, პირიქით, შოტლანდიას ვჯობდით, მაგრამ ბოლომდე შემტევი, აგრესიული თამაში იყო საჭირო. მე არ ვიცი, რატომ დავიხიეთ ბოლო წუთებში უკან, რა მოხდა და რამ განაპირობა ჩვენების ასეთი თამაში... ასეთი თამაშის ლოგიკური დასასრული კი, ყოველთვის თუ არა, უმრავლეს შემთხვევაში მაინც, ისაა, რომ შემტევი გუნდი თავის შანსს იყენებს. საქართველოსაც და ნებისმიერ გუნდსაც მოედანზე მარტივი ამოცანა აქვს - მეტოქეს მაქსიმალური დისკომფორტი უნდა შეუქმნას. ჩვენ იმიტომ დავმარცხდით, რომ ეს ბოლომდე ვერ შევძელით.

**მერაბ მამულაშვილი**

## თარიღი

**25 მარტი, 1949 - დაიბადა მანუჩარ მაჩაიძე.** ფეხბურთი, ნახევარმცველი, თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1967-68, 1969-80), თბილისის "ლოკომოტივში" (1969), ტაშკენტის "ფახთაქორში" (1980), მოსკოვის "სპარტაკსა" (1981) და ქუთაისის "ტორპედოში" (1981-82). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 4 მატჩი, სსრკ უმაღლეს ლიგაში - 325 (43 კაპიტანი). სსრკ ჩემპიონი (1978, გუნდის კაპიტანი), მეორე (1977) და ოთხგზის მესამე (1971, 72, 76 გაზაფხული, 76 შემოდგომა) პრიზიორი. სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1976, 79 - ორჯერვე კაპიტანი) და ორგზის ფინალისტი (1970, 80). იყო თბილისის "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი (1984-85). ღირსების ორდენის კავალერი.

**26 მარტი,1938 - დაიბადა ანატოლი მილჩენკო.** ფეხბურთი. თამაშობდა ბორჯომის "განთიადში" (1955), თბილისის ასკ-სა (1956-61) და სოხუმის "დინამოში" (1962-63). საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. 30-ზე მეტი საერთაშორისო მატჩის, მათ შორის მოსკოვის ოლიმპიადის (1980), მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირების, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის (1979) და უეფას იუნიორთა ტურნირის (1975) არბიტრი. სულ სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იმსაჯა 202 მატჩი (1967-86, მეორე შედეგი), საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში - 38 (1990-91). 13-ჯერ დაასახელეს სსრკ 10 საუკეთესო მსაჯს შორის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე (1998-იდან). საქართველოს მსაჯთა აკადემიის რექტორი (2003-იდან). ღირსების ორდენის კავალერი.

ამხანაგური მატჩი

## დინამო ტონუსს ინარჩუნებს

| დილა-დინამო | 0:2 |
| --- | --- |

0:1 ოდიკაძე (21. იაშვილის პასით), 0:2 სირბილაძე (59. ჯანაშიას პასით).

დილა: კეჩხუაშვილი, გ. ჩიტაია, ყველაშვილი, ლომაშვილი, ბალაშვილი, კ. ხანიშვილი, ვარდოსანიძე, დ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, სულთანიშვილი, გონჩაროვი.

მეორე ტაიმში შევიდნენ: სოლოლაშვილი, ბალიაშვილი, თაყაძე, სადალაშვილი, აბრამიშვილი, გ. ნოზაძე, კურტანიძე, ტლაშაძე, ბ. წინამძღვრიშვილი, ლ. კობახიძე, სავანელი.

დინამო: გრიშიკაშვილი, ა. კობიაშვილი (88. კაკუბავა), შ. კაშია, აკობია, გუგავა, დილმელაშვილი (75. ფანცხავა), ხმალაძე, ოდიკაძე (46. სირბილაძე), ხუციშვილი, ჯანაშია, იაშვილი (57. ნ. ჯიშკარიანი).

სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზით თბილისის "დინამომაც" ისარგებლა და შაბათს, გორში, "დილასთან" ამხანაგური მატჩი გამართა. ამ თამაშის შესახებ "დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** გვაცნობა.

თავიდან ის უნდა ვთქვათ, რომ გორის ცენტრალურ არენაზე (თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი) უკვე დამონტაჟდა პლასტმასის ინდივიდუალური სკამების ერთი ნაწილი. დანარჩენის მონტაჟი კვლავაც მიმდინარეობს. სკამების გარდა, სხვა სამუშაოებიც ტარდება. ერთი სიტყვით, სტადიონი ნელ-ნელა ლამაზდება და საჯაროდაც მალე გაიხსნება.

ახლა თამაშზეც. **დუშან უჰრინის** გუნდს ეროვნულ, 21 და 19-წლამდელთა ნაკრებებში გამოძახებული რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა. მათ გარდა, არ იყო **ნედ ზელიჩიც**, რომელიც მწვრთნელთან და კლუბის მესვეურებთან შეთანხმებით, რამდენიმე დღით, გერმანიაში, ოჯახის მოსანახულებლად გაემგზავრა. **მიროსლავ კრშკო** და **გიორგი ფეიქრიშვილი** კი გუნდს გრიპის გამო აკლდნენ...

მატჩის პირველი ნახევარი უფრო დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა, ვიდრე მეორე. ხიფათი ორივე კართან იქმნებოდა. მასპინძლებს ორჯერ, გოლამდე და მის შემდეგ ჰქონდათ ბურთის გატანის ჩინებული შესაძლებლობა. თუმცა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა **საბა სულთანიშვილმა** ორივე შანსი ქარს გაატანა - ორივე ეპიზოდში მეკარე **სოსო გრიშიკაშვილმა** იმარჯვა. ანგარიში კი 21-ე წუთზე გაიხსნა. **სანდრო იაშვილის** იშვიათი პასით, **დავით ოდიკაძემ** ჩვეულ სტილში, მოჭრილი დარტყმით, დაბალ კუთხეში ეფექტური გოლი გაიტანა. შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა. მეორე გოლი 59-ე წუთზე გავიდა, **ზამირ ჯანაშიამ** ფლანგზე ორი მეტოქე ჩამოიშორა და საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ყველას შეცვლაზე შესულმა **ირაკლი სირბილაძემ** დაასწრო და 0:2. დარჩენილ დროში სტუმრებს ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ **ლევან ხმალაძის** დარტყმული ძელმა აისხლიტა.

**დავით ცაბაძე**

## ამერი ოლიმპს დაუზავდა

გუშინ თბილისის "ამერმა" ერთკვირიანი აზერბაიჯანული შეკრება დაასრულა და თბილისში დღეს, 26 მარტს დაბრუნდება. გლდანელებმა მეორე საკონტროლო შეხვედრა აზერბაიჯანის უმაღლესლიგელ ბაქოს "ოლიმპიკთან" გამართეს და მატჩი ფრედ (0:0) დაამთავრეს. შეგახსენებთ, რომ მანამდე, 22 მარტს, თბილისელებმა პირველი ლიგის "სტანდარტი" 7:0 გაანადგურეს.

**მერაბ მამულაშვილი**

19-წლამდელები

## გამარჯვება ვიქტორიასთან

უცხოურ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი ლუქსემბურგის "ვიქტორიას" დაუპირისპირდა და 2:1 მოიგო. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ჩვენი გუნდიდან გოლები **ნიკა კვასხვაძემ** და **რატი წინამძღვრიშვილმა** გაიტანეს.




ფრანგებს გამარჯვება ანელკას გოლმა მოუტანა

ევრო 2008. B ჯგუფი. მეტოქეები

## ცრუ განგაში

| ლიტვა-საფრანგეთი | 0:1 |
| --- | --- |

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, სტანკიავიჩუსი, სკერლა, ჟვირგჟდაუსკასი, პაულაუსკასი, შემბერასი, კლიმავიჩუსი, სავენასი (77. კალონასი), მორინასი (82. ბენიუსისი), პოშკუსი (86. რაძინევიჩუსი), დანილიავიჩუსი.

**საფრანგეთი:** კუპე, სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი, დიარა, მაკელელე, ტულალანი, გოვუ (62. სისე), მალუდა (89. დიაბი), ანელკა.

**გოლი:** 0:1 ანელკა (74)
**მაყურებელი:** 8 000

ლიტველები იმედოვნებდნენ, რომ შემადგენლობაშეთხელებულ ფრანგებს თანაბარ ბრძოლას გაუმართავდნენ და ასეც მოხდა. ბალტიელებმა შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს, მატჩის უდიდესი ნაწილის განმავლობაში, მრისხანე მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს და რეალურად შეეძლოთ, მინიმუმ ქულა მაინც მოეპოვებინათ. გადამწყვეტი სიტყვა ფრანგთა გაცილებით მაღალმა საშემსრულებლო ოსტატობამ თქვა.

"სამფეროვანთა" დანაკლისი ვახსენეთ და, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ტრავმების გამო, კაუნასში **ანრიმ, ვიეირამ, რიბერიმ, საამ** და **ტრეზეგემ** ვერ ითამაშეს. **რაიმონ დომენეკმა** მათ ნაცვლად რამდენიმე ახალწვეულს უხმო, მათგან ერთი, ჩელსელი **ლასანა დიარა,** ძირითადშიც მოხვდა და არცთუ ურიგოდ გაისარჯა.

შეხვედრის საწყისმა 15 წუთმა სტუმართა საგრძნობი უპირატესობით ჩაიარა, მიზანთან ყველაზე ახლოს **ანელკა** იყო, რომლის დარტყმისგან კარი ლიტველთა გოლკიპერმა **კარჩემარსკასმა** იხსნა. მასპინძლებმა მდგომარეობა მალე გამოასწორეს და პირველი ტაიმის დარჩენილ ნაწილში უკვე თანაბარი, და ამავე დროს, არცთუ სანახაობრივი თამაში გაჩაღდა. დროის ამ მონაკვეთში **ალგიმანტას ლუბინსკასის** შეგირდებმა ორი ნახევარმომენტი გაუშვეს ხელიდან: **შემბერასმა** მახვილი კუთხიდან ააცილა, **პოშკუსის** დარტყმას კი **სანიოლი** გადაელობა.

მოსაწყენი იყო მეორე ნახევრის პირველი 20 წუთიც, რის შემდეგაც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები გააქტიურდნენ. ლიტვური დაცვა დამაჯერებლად მოქმედებდა, მაგრამ 72-ე წუთზე ანელკამ მაინც მოახერხა ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმა. ბურთი მეკარისგან ახლო კუთხეში არცთუ ძლიერად წავიდა, მაგრამ კარჩემარსკასმა რეაგირება დააგვიანა და ამ შეცდომის ხარჯზე ანგარიშიც გაიხსნა.

ზუსტად ერთ წუთში **სავენასმა** გაყაიმების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. დარჩენილ წუთებში ლიტველებმა მეტოქის კართან რაღაც შტურმისმაგვარიც მოაწყვეს და თამაშის გადასარჩენად საკმაოდ ხელსაყრელი შანსი გაუშვეს ხელიდან, როცა **სტანკიავიჩუსმა** ახლო მანძილიდან ააცილა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე დომენეკმა განაცხადა, ასეთი საკადრო პრობლემების გადამკიდე, მინიმალური გამარჯვებით უკმაყოფილო არ ვარო, მისმა კოლეგა ლუბინსკასმა კი უიღბლობაზე დაიჩივლა. ოთხშაბათს, ფრანგები ავსტრიას ამხანაგურად გაეჯიბრებიან, ლიტველებს კი უკრაინასთან მნიშვნელოვანი შესარჩევი მატჩი ელით.

| ფარერები-უკრაინა | 0:2 |
| --- | --- |

**ფარერები:** მიკელსენი, ოლსენი (74. ჰანსენი), დიურჰუუსი, დანიელსენი, სამუელსენი (66. ჰოლსტი), რ. იაკობსენი, ბენიამინსენი, ტომასენი, ი. ბორგი, კ. იაკობსენი (71. მ. ბორგი), იოჰანსენი.

**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი (82. შელაევი), იეზერსკი, რუსოლი, გუსევი (65. ვორობეი), ჩიგრინსკი, მიხალიკი, კალინიჩენკო, ბელიკი, ვორონინი.

**გოლები:** 0:1 იეზერსკი (21), 0:2 გუსევი (58)
**მაყურებელი:** 717

წინასამატჩო ვარაუდი გამართლდა და უკრაინელებმა კუნძულზე **ანდრეი შევჩენკოს** გარეშე ითამაშეს. როგორც იცით, "ჩელსის" ფორვარდი სანაკრებო შეკრებაზე ტრავმირებული გამოცხადდა. უკრაინელთა მწვრთნელ **ოლეგ ბლოხინის** მიზანია, შევა დროულად დადგეს ფეხზე, რათა ოთხშაბათს, ოდესაში, ლიტველთა წინააღმდეგ თამაში შეძლოს. დაშავებულია **სერგეი რებროვიც** და ამიტომ, ბლოხინს ისღა დარჩენოდა, შესანიშნავ ფორმაში მყოფი **ანდრეი ვორონინისთვის** თავდასხმაში შახტიორელი **ალექსეი ბელიკი** შეეწყვილებინა.

უკრაინელთა თავკაცის შიში, კატასტროფული სათამაშო პირობების თაობაზე, არ გამართლდა. ჩრდილოური კლიმატის კვალობაზე, ტოფტირის მოედანი საკმაოდ ნორმალურ მდგომარეობაში იყო. გაზონი თოვლისგან საგულდაგულოდ გაეწმინდათ. ოდნავი ტალახის მიუხედავად, ბურთი ნორმალურად გორავდა. თავიდანვე, სტუმრები ყოველგვარი პრობლემების გარეშე დაეუფლნენ უპირატესობას, **მიკელსენის** კარს რამდენიმეჯერ სახიფათოდაც დაემუქრნენ და პირველი ნახევრის შუაწელისკენ ანგარიშიც გახსნეს. **ეზერსკიმ** 20 მეტრიდან ეფექტურად შეაგდო.

შესვენებამდე ფარერელთა კართან კიდევ არაერთი მომენტი შეიქმნა, მიზანთან ყველაზე ახლოს **მიხალიკი** და **კალინიჩენკო** იყვნენ. მასპინძელთა კარის დარაჯი ცუდად არ გამოიყურებოდა, ის ხშირად ერთვებოდა თამაშში და არცთუ ურიგოდ. მის თანაგუნდელებს კი შეტევაში არაფერი გამოსდიოდათ, ერთადერთი დასამახსოვრებელი მომენტი, რომელსაც მთლად სახიფათოც არ ეთქმოდა, **სამუელსონმა** გაუშვა ხელიდან.

მეორე ტაიმში უკრაინელებს კიდევ უფრო მეტი საგოლე შანსი ჰქონდათ. **გუსევის** შედეგიანი დარტყმის შემდეგ, **ბელიკს** მეკარემ ორჯერ აჯობა, მერე **კალინიჩენკომ** ააცილა, **ტიმოშჩუკმა** კი ძელი მოიკითხა.

ნამატჩევს, ბლოხინმა იმედი გამოთქვა, რომ ლიტვასთან პრინციპულ დაპირისპირებაში უძლიერეს შემადგენლობას მოუყრის თავს და კიდევ ერთ გამარჯვებას მიიპოვებს. მან იქვე დასძინა, რომ ამ ორ მატჩში ქულათა მაქსიმუმი აქვს დაგეგმილი. უკრაინის ეროვნული გუნდის დამრიგებელს ისიც ძალიან კარგად ესმის, რომ ურთულეს შესარჩევ ჯგუფში თითოეული დაკარგული ქულა, შეიძლება, მისი გუნდისთვის საბედისწერო აღმოჩნდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები

# იმპერატორმა მეფე მასხრად აიგდო

## გერმანიამ პირობა შეასრულა, ინგლისმა მოუგებელი სერია გააგრძელა, ესპანეთმა კი ბეწვის ხიდზე გაიარა...

### A ჯგუფი

**პოლონეთი-აზერბაიჯანი 5:0**

**პოლონეთი**: ბორუცი, ი. ბაკი, დუდკა, გარგულა, ლევანდოვსკი, ვასილევსკი, მიხ. ჟევლაკოვი, კრჟინოვეკი (79. იელენი), ლობოძინსკი, მატუსიაკი (69. კაზმიერჩაკი), ჟურავსკი.

**აზერბაიჯანი**: ჰასანზადე, აბასოვი, ქარიმოვი, პერეირა, ბახშიევი, ჩერტოგანოვი, გურბანოვი, იმამალიევი (65. აგაკიშიევი), გომეში (62. ლადაგა), ქერიმოვი (67. ჯავადოვი), შუბაშიჩი.

**გოლები**: 1:0 ი. ბაკი (3), 2:0 დუდკა (6), 3:0 ლობოძინსკი (34), 4:0 კრჟინოვეკი (58), 5:0 კაზმიერჩაკი (84)

**მაყურებელი**: 12 000

**ყაზახეთი-სერბეთი 2:1**

**ყაზახეთი**: ლორია, სმაკოვი, კუჩმა, ჟალმაგამბეტოვი, ირისმეტოვი, სკორიხი, სერგიენკო, ბალტიევი, ჟუმასკალიევი, აშირბეკოვი (71. ბაიკოვი), სუიუმაგამბეტოვი (80. ფინონჩენკო).

**სერბეთი**: სტოიკოვიჩი, მარკოვიჩი, სტეპანოვი, ვიდიჩი, ტოშიჩი, ნ. კოვაჩევიჩი, ერგიჩი (70. კორომანი), იანკოვიჩი, კრაშიჩი, პანტელიჩი (69. ლაზოვიჩი), ჟიგიჩი.

**გოლები**: 1:0 აშირბეკოვი (47), 2:0 ჟუმასკალიევი (61), 2:1 ჟიგიჩი (68)

**გაძევება**: ჟიგიჩი (90. სერბეთი)

**მაყურებელი**: 15 000

**პორტუგალია-ბელგია 4:0**

**პორტუგალია**: რიკარდო, ანდრადე, რიკარდო კარვალიო, პაულო ფერეირა, მიგელი, მუტინიო, პეტი (76. ფერნანდო მეირა), ტიაგო, ნუნუ გომეში, კვარეშმა (70. ნანი), კრისტიანო რონალდო (78. უგო ვიანა).

**ბელგია**: სტიინენი, დე მანი, ფელაინი, ჰუფკენსი (64. სტერკელე), ვან ბუიტენი, ვან დერ ჰეიდენი, კლემანი, მუდინგაი, დეფური, მარტენსი (56. შატელი), მ. მპენზა (81. ვან დამი).

**გოლები**: 1:0 ნუნუ გომეში (53), 2:0 კრისტიანო რონალდო (55), 3:0 კვარეშმა (69), 4:0 კრისტიანო რონალდო (75)

**მაყურებელი**: 47 009

ჯგუფისა და მთლიანად შესარჩევი ტურის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია ყაზახეთის სერბეთთან გამარჯვება იყო და ჩვენც ამ თამაშით დავიწყებთ. უეფას ეგიდით გამართულ ტურნირებში ყაზახეთის ნაკრებმა არსებობის მანძილზე პირველი, ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. მოულოდნელ შედეგთან ერთად, მოულოდნელი აღმოჩნდა მასპინძლების გაბედული და გამართული თამაშიც, რომელმაც პირველ 15 წუთში სერბები საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა. პირველი გოლი სტუმრების კარში მე-15 წუთზე შეიძლებოდა, გასულიყო: სერბმა გოლკიპერმა **სტოიკოვიჩმა** კარის სიახლოვეს შექმნილი დაძაბულობა ბურთის გვერდით ხაზს მიღმა გადაგდებით განმუხტა. **სერგიენკომ** აუტიდან **ჟუმასკალიევს** ჩაუწოდა, რასაც კაპიტანმა უძლიერესი დარტყმა მიაყოლა, მაგრამ სტოიკოვიჩმა დროული რეაგირებით ბურთი კუთხურზე გადააგდო. ტაიმის შუაში სტუმრებმა სული მოითქვეს და გააზრებული შეტევებიც წამოიწყეს. მათი ცენტრფორვარდი **ნიკოლა ჟიგიჩი** ორჯერ სახიფათოდ ურტყამდა - ჯერ თავურით აგვირგვინებდა მარჯვნიდან გაკეთებულ ჩაწოდებას და ბურთი კარს ოდნავ ააცილა, მეორე შემთხვევაში კი თავდამსხმელს დროულად ჩაუვარდა ფეხებში მეკარე **დავით ლორია**. სერბთაგან ტაიმის მიწურულს **პანტელიჩს** შეეძლო გატანა, მაგრამ მის დარტყმას სიზუსტე დააკლდა.

მეორე ნახევარი ორი წუთის განახლებული იყო, როცა შეხვედრაში ანგარიში გაიხსნა. მასპინძლებმა სლავების კარზე მასირებული იერიში მიიტანეს, სტუმართა მცველებმა თითქოსდა მოახერხეს ბურთის გამოტანა, მაგრამ დამატებაზე **აშირბეკოვი** შესაფერის ადგილას აღმოჩნდა და ტექნიკური დარტყმით გაიტანა, 1:0. გაშვებულმა გოლმა მასპინძლები გამოაცოცხლა და შეტევაში უკრა თავი. ჟიგიჩმა და პანტელიჩმა რამდენჯერმე სცადეს გათანაბრება, მაგრამ ლორია საიმედოდ თამაშობდა, ერთ ეპიზოდში კი ბურთი ზედა ძელს ორიოდ სანტიმეტრით ასცდა. სტუმართა დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ფორტუნამ ისევ მასპინძლებს გაუღიმა. 61-ე წუთზე **პაიპერსის** შეგირდებმა კუთხური მოაწოდეს, კაპიტანი ჟუმასკალიევი ბურთს ახლო ძელთან დახვდა, ცაციათი ძლიერად დაჰკრა და უპირატესობა ორ ბურთამდე გაზარდა, 2:0. სერბები არც ამის შემდეგ დანებებულან და სხვაობა შვიდ წუთში შეამცირეს, მას შემდეგ, რაც ჟიგიჩმა თავურით გაიტანა. დარჩენილმა დრომ სტუმრების გამუდმებულ შეტევებში ჩაიარა. სლავმა ფორვარდებმა და ნახევრმცველებმა კარში ერთი ათჯერ მაინც დაარტყეს, მაგრამ ბრწყინვალედ მოთამაშე ლორიასთან ვერაფერი გააწყვეს.

ამასაობაში, პოლონეთმა აზერბაიჯანზე გაისეირნა და ცხრილის სათავეში სერბეთის ადგილი დაიკვა. მასპინძლებმა საქმის სასწრაფოდ მოთავება გადაწყვიტეს და მე-6 წუთზე უკვე 2:0-ს იგებდნენ. გოლეადას სათავე **იაცეკ ბონკმა** მე-3 წუთზე შესრულებული ზუსტი თავურით დაუდო, სამ წუთში **მარიუშ დუდკამ ვასილევსკის** ჩაწოდება მეორე გოლით დააგვირგვინა. აზერბაიჯანი სრულიად მოშლილი და აბნეული იყო, ისე, რომ ბურთი მეტოქის ნახევრამდეც ძლივს აჰქონდა. 26-ე წუთზე **ლევანდოვსკი** მეკარე **ჯაჰანგირ ჰასანზადეს** პირისპირ დარჩა, თუმცა არაზუსტად დაარტყა და ბრწყინვალე შანსი გაუშვა ხელიდან. და მაინც, მასპინძლებმა შესვენებაზე გასვლამდე შეძლეს უპირატესობის კიდევ უფრო გაზრდა: **გარგულის** ჩაწოდების შემდეგ, **ლობოძინსკიმ** ბურთი თავურით შეაგდო, 3:0. მომდევნო ეპიზოდში ჰასანზადეს უფრო გაუმართლა და **ჟევლაკოვის** დარტყმის შემდეგ კარი აშკარად იხსნა. თამაშის სცენარი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. **ლეო ბეენჰაკერის** შეგირდები კვლავაც დომინირებდნენ და 58-ე წუთზე **კჟინოვეკის** შედეგიანი დარტყმით 4:0 გახადეს. მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა **კაზმერჩაკმა** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. პოლონელებისთვის ეს ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იყო.

უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, პორტუგალიის ნაკრებმა პირველი ტაიმი უგოლოდ დაასრულა, თუმცა შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა – **ნუნუ გომეშმა** და **კვარეშმამ** თითოჯერ გაიტანეს, შეუჩერებელმა **კრისტიანო რონალდომ** კი დუბლი გაიფორმა. შედეგად, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდმა ზედიზედ მესამე საშინაო გამარჯვება მოიპოვა და ცხრილში ერთი საფეხურით მაღლა აინაცვლა. უშუალოდ თამაშს რაც შეეხება, მასპინძლებს დაწინაურება უკვე მე-4 წუთზე შეეძლოთ, როცა ტექნიკურმა კუარეშმამ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. თუმცა თანდათან სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ბელგიელების კარში გოლის გატანა მხოლოდ დროის საქმე იყო. მასპინძლები აბსოლუტურ უპიტარესობას ფლობდნენ, პირველი ნახევრის შუაში კი უკვე შტურმზე გადავიდნენ. კრისტიანო რონალდოს სტუმართა დაცვა აკლებული ჰყავდა და ერთი სამჯერ მაინც უნდა გაეტანა, თუმცა ეს შესავალი იყო. მეორე ტაიმის დასაწყისში ნუნუ გომეშს ლამაზი გოლით შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მისი შეუჩერებელი დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა. თუმცა ეს პატარა ლაფსუსი ცენტრფორვარდმა 52-ე წუთზე გამოასწორა: **ჟოაო მუტინიომ** ბელგიელ მცველებს თავბრუ დაახვია და გომეშსაც ისლა რჩებოდა, რომ ბურთისთვის ფეხი დაეხვედრებინა და ანგარიში გაეხსნა. ზუსტად ორ წუთში სტუმრების კარში ბურთი მეორედ აღმოჩნდა: კუარეშმას ელეგანტური გადაცემის შემდეგ შორეულ ძელთან დადარაჯებულმა კრისტიანო რონალდომ თავი მოიქნია და 2:0 გახადა. ბელგია თავისას მაინც ცდილობდა და მალე ერთი ბურთის გაქვითვაც შეეძლო, მაგრამ ცვლილებაზე იმ წუთის შესულმა **ტომას შატელმა** იმდენი მოარხერხა, რომ ცარიელ კარს ააცილა. შეხვედრის ყველაზე ლამაზი გოლი საკუთარ ანგარიშზე კუარეშმამ ჩაიწერა: "პორტუს" გარემარბმა, რომელსაც მანამდე ნაკრებში არასოდეს გაეტანა, ტერფის გარეთა ნაწილით, ბურთი ეფექტურად მოჭრა და უშანსოდ დარჩენილ **სტეინენს** შორეულ კუთხეში შეუბზრიალა, 3:0. ამის შემდეგ **ტიაგოსა** და **ნანის** ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტები, თუმცა ორივე შემთხვევაში გამარჯვებული მეკარე გამოვიდა, აი, 74-ე წუთზე კი რონალდოს წინააღმდეგ სტეინენი უკვე უძლური აღმოჩნდა: "მანჩესტერის" ახალგაზრდა ვარსკვლავმა მეურვე ერთი ფინტით ადგილზე დატოვა და საჯარიმოსთან მისულმა დაბალი გამოზომილი დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, 4:0. პორტუგალიას ოთხშაბათს უპირინციპულესი გასვლითი შეხვედრა ელის სერბეთში და ეს დამაჯერებელი გამარჯვება გუნდს უდავოდ წაადგება. ბელგიელებს კი შეცდომების გამოსწორებაზე დიდი მუშაობა მოუწევთ, რათა 2 ივნისს, პორტუგალიელებთან მომდევნო მატჩში თავი აღარ შეირცხვინონ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-5 | 13 |
| 2. ფინეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-2 | 11 |
| 3. პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 0 | 12-3 | 10 |
| 4. სერბეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| 5. ბელგია | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |
| 6. ყაზახეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 7. სომხეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-5 | 1 |
| 8. აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-13 | 1 |

**მომდევნო ტური**

28 მარტი, ოთხშაბათი

**აზერბაიჯანი-ფინეთი**
**პოლონეთი-სომხეთი**
**სერბეთი-პორტუგალია**

### C ჯგუფი

**მოლდოვა-მალტა 1:1**

**მოლდოვა**: პაშჩენკო, ბორდიანი, ეპურეანუ, გოლოვატენკო, ოლექსიჩი, კომლენოკი (85. დადუ), ნამაშკო, რებეჟა, ბუგაევი, ფრუნზა, ზმეუ (63. ივანოვი).

**მალტა**: ჰაბერი, ბრიფა, დიმეში, საიდი, შიკლუნა, აგიუსი, მალია, პეისი, მიფსუდი (90. შიბერასი), შემბრი (70. ბოგდანოვიჩი), ვუდსი (77. სამუტი).

**გოლები**: 0:1 მალია (73), 1:1 ეპურეანუ (85)

*22-ე წუთზე ფრუნზამ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაძევება**: დადუ (87. მოლდოვა), დიმეში (87. მალტა)

**მაყურებელი**: 9 000




საბერძნეთი-თურქეთი. სტუმრების ტრიუმფი

**საბერძნეთი-თურქეთი 1:4**

**საბერძნეთი**: ნიკოპოლიდისი, დელასი, ფისასი (56. ტოროსიდისი), კირიაკოსი, სეიტარიდისი, ბასინასი, იანაკოპულოსი (72. ამანატიდისი), კარაგუნისი, კაცურანისი, ხარისტეასი (63. გეკასი), სამარასი.

**თურქეთი**: ვოლქან დემირელი, ჰამით ალტინთოფი, სერვეთი, გიოქთანი, მეჰმეთი, თუმერი (80. გიოქდენიზი), საბრი, იბრაჰიმი (19. ვოლქან იამანი), თუნჯაი, ჰაქან შუქური, გიოქთან უნალი (57. ჰუსეინი).

**გოლები**: 1:0 კირიაკოსი (5), 1:1 თუნჯაი (27), 1:2 გიოქთან ზანი (55), 1:3 თუმერი (70), 1:4 გიოქდენიზი (81)

**მაყურებელი**: 31 405

**ნორვეგია-ბოსნია 1:2**

**ნორვეგია**: მიურე, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდერსენი, ჰესტადი, პედერსენი, რიისე, სტორბეკი (79. ბრენე), სტრიომსტადი (62. გრინდჰეიმი), კარუ, იონსენი (46. ივერსენი).

**ბოსნია**: გუზო, ბაჯიჩი, ბერბეროვიჩი (58. მუზიჩი), ნადარევიჩი (46. რადელიჩი), ჰრგოვიჩი, კრუნიჩი, ჩუსტოვიჩი (82. მალეტიჩი), დამაიანოვიჩი, იბიშევიჩი, მისიმოვიჩი, მუსლიმოვიჩი.

**გოლები**: 0:1 მისიმოვიჩი (18), 0:2 მუსლიმოვიჩი (33), 1:2 კარუ (50-პენ)

**მაყურებელი**: 16 987

შესარჩევი ტურის კიდევ ერთი და ალბათ, მთავარი სენსაცია ათენში დაფიქსირდა. "იმპერტორ" **ფათიჰ თერიმის** თურქეთმა "მეფე ოტმარის" ევროპის ჩემპიონები მისსავე მოედანზე გაანადგურა და ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერიც დამსახურებულად გახდა. სატურნირო მდგომარეობის მხრივ, საბერძნეთს საგანგაშო არაფერი აქვს, მაგრამ ასეთი დამამცირებელი მარცხი, თანაც ისტორიული მეტოქის, თურქეთის მხრიდან, მორალურად ძალიან მძიმე გადასატანი იქნება. საუკეთესო წამალი და ამავრდოულად, სირცხვილის ჩამონწმენდის საშუალება **ოტო რეჰაგელის** შეგირდებისთვის ოთხშაბათს მალტაზე გამარჯვება იქნება.

**კირიაკოსისგან** მიღებული სწრაფი გოლის მიუხედავად, სტუმრები არ გატყდნენ და მაინც მონახეს საკუთარ თავში იმის ძალა, რომ ოციოდე წუთში გაეთანაბრებინათ, მეორე ტაიმში კი მასპინძლები უკვე პირწმინდად დაეჯაბნათ. ბერძნებმა ანგარიში მე-5 წუთზე ასე გახსნეს: **კაცურანისის** კუთხურის შემდეგ, თურქმა მცველებმა ბურთის ხეირიანად გამოტანა ვერ შეძლეს, რითაც საშუალება მისცეს კირიაკოსს, რომ შემობრუნებით დაერტყა და შორეულ კუთხეში გაეტანა, 1:0. ოტო რეჰაგელის გუნდს იქვე გაორებაც შეეძლო, მაგრამ **გეორგიოს კარაგუნისის** ძლიერი გასროლის შემდეგ, მეკარე **ვოლკან დემირელს** ბურთს ადგილზე დახვდა. საპირისპირო კართან კი **თუნჯაიმ** და **საბრი სარიოღლუმ** თავი თითო მოკრძალებული დარტყმით გამოიჩინეს. თუმცა 27-ე წუთზე თერიმის სამწყსომ სტატუს-კვო აღადგინა. **თიუმერის** მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ, თუნჯაიმ რიკოშეტით მიგორებული ბურთი ჯერ კარგად დაამუშავა, მერე კი გამოზომილი დარტყმით მეკარისგან მარჯვენა კუთხეში მოათავსა, 1:1. შესვენების შემდეგ მასპინძლებისგან უფრო აქტიურ თამაშს ელოდნენ, სინამდვილეში კი ისე მოხდა, რომ უფრო გაბედულად და აგრესიულად თურქები მოქმედებდნენ და შეტევაშიც ლაღად მიდიოდნენ. მიდიოდნენ და გოლებიც მოდიოდა. თავიდან თუნჯაიმ თავით ძალიან სახიფათოდ დაარტყა, 55-ე წუთზე კი **უნალმა** საჯარიმოს ხაზიდან მთელი ძალით გაისოლა და თურქეთი წინ გაიყვანა. ამაზე ბერძნებმა ყურები სულ ჩამოყარეს, სტუმრებმა კი იგრძნეს, რომ თამაში ხელში ეჭირათ და ამიტომ დაცვაში ჩაკეტვასა და ანგარიშის შენარჩუნებაზე არც უფიქრიათ. პირიქით, კიდევ უფრო მეტი მონდომებით ეძებდნენ ბერძნების კარისკენ მიმავალ გზებს და 70-ე წუთზე იპოვეს კიდეც: თიუმერმა საშუალო დისტანციიდან დაჰკრა და **ნიკოპოლიდისს** მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა, 1:3. 81-ე წუთზე, იმ წუთის შესულმა **გეკდენიზმა** ბერძენთა თავმოყვარეობას საბოლოო დარტყმა მიაყენა, როცა ორი მცველი იოლად ჩამოიშორა და ახლო კუთხეში შეაგდო, 1:4. ოთხშაბათს თურქები ნორვეგიას უმასპინძლებენ და ქვეჯგუფში ზედიზედ მეხუთე გამარჯვების მოპოვებას ეცდებიან, რაც უკვე სერიოზული განაცხადი იქნება ევროპული საგზურის მოპოვებაზე.

**ფათიჰ თერიმი**: *"მთავარი კონკურენტის დამარცხების შემდეგ დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ. ეს წარმატება მშვენიერ შანსს გვაძლევს და მომავალში ის ხელიდან არ უნდა გავუშვათ. გოლის ნაადრევად გაშვების შემდეგ, ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არ ენერვიულათ, თუნდაც წაგვეგო, მაგრამ მათ ხასიათი გამოვლინეს და თამაში შემოატრიალეს. სიმართლე გითხრათ, ასეთ უხვგოლიანობას ათენში ნამდვილად არ ველოდი. მაგრამ ამაშია ფეხბურთის მთელი ხიბლი. ყველა მწვრთნელმა ერთხელ მაინც უნდა გამოსცადოს ისეთი ღამე, როგორიც დღეს მე მქონდა".*

**ოტო რეჰაგელი**: *"კარგად დავიწყეთ, ანგარიშიც გავხსენით, მაგრამ შემდეგ რაღაც გაუგებარი და აუღწერელი მიზეზის გამო, უკან დავიხიეთ, რითაც მეტოქეს საშუალება მივეცით, რომ თავდაჯერებით ეთამაშა და შეხვედრა ეკონტროლებინა. არადა, ვალდებულები ვიყავით, რომ კუთხეში მიგვემწყვდია, მას შემდეგ, რაც 1:0 წავიყვანეთ. სასწრაფოდ უნდა დავივიწყოთ ეს მარცხი და მალტისთვის მოვემზადოთ".*

ქვეჯგუფში კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა, მას შემდეგ, რაც ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრებმა ნორვეგიას სტუმრად მოუგო და ცხრილშიც უკან ჩამოიტოვა. **ზვეზდან მისიმოვიჩისა** და **ზლატან მუსლიმოვიჩის** მიერ პირველ ტაიმში გატანილ გოლებს სკანდინავებმა **ჯონ კარუს** ერთი შედეგიანი 11-მეტრიანით უპასუხეს და ოთხშაბათს თურქეთში გასამართი შეხვედრის წინ მდგომარეობა ძალიან გაირთულეს. არადა, ნორვეგიელი ფანატები შეხვედრას დიდი ენთუზიამით ხვდებოდნენ. მატჩის წინ მათ ისეთი რაოდენობის პეტარდები ისროლეს, რომ ძლიერი კვამლის გამო, შეხვედრის დაწყება კარგა ხნით გადაიდო. მაგრამ ბოსნიელები ასეთმა ატმოსფერომ ვერ შეაშინა. **ბლაჟ სლიშკოვიჩის** გუნდმა თავიდანვე შეუტია და პირველ ათ წუთში **მირკო ჰრგოვიჩმა** ორჯერ შეამოწმა მასპინძელთა მეკარის მზადყოფნა. ნორვეგიამ ამას **ერიკ ჰაგენის** გოლით უპასუხა, მაგრამ მსაჯმა ის სამართლიანად გააუქმა. მე-18 წუთზე ბოსნიელებმა ანგარიში გახსნეს: ფორვარდმა მისიმოვიჩმა საჯარიმოს შესრულება საკუთარ თავზე აიღო და ოსტატური დარტყმით ბურთი მეკარე **მიურესგან** მარცხენა კუთხეში მოათავსა. ნორვეგია მაშინვე შეტევაში წავიდა ანგარიშის გასათანაბრებლად. **იონ არნე რიისემ** და **კარუმ** არაერთხელ სცადეს გატანა, მაგრამ გამარჯვებული ყოველთვის სტუმართა მეკარე **ანდან გუშო** რჩებოდა. 33-ე წუთზე მუსლიმოვიჩმა დაბალ კუთხეში დამიზნებით დაარტყა და სტუმართა უპირატესობა ორ ბურთამდე გაზარდა. მეორე ტაიმის მე-5 წუთზე მასპინძლებმა სხვაობა შეამცირეს: **კუსტოვიჩმა** საჯარიმოში **პედერსენი** წააქცია და კარუმ პენალტი გაიტანა. დარჩენილ დროში ნორვეგია ბევრს უტევდა, თუმცა ყველაზე კარგი საგოლე მომენტი 88-ე წუთზე შექმნა და გაანიავა, როცა ცვლილებაზე შესული **ივერსენი** პედერსენის ჩაწოდებულ ბურთს ვერ შესწვდა.

ქვეჯგუფის ორმა აუტსაიდერმა, მოლდოვამ და მალტამ კიშინიოვში ქულები გაიყვეს. მასპინძელთა მწვრთნელის პოსტზე დებიუტი ჰქონდა **იგორ დობროვოლსკის**, რომელსაც, სხვადასხვა მიზეზის გამო, ხუთი წამყვანი მოთამაშე აკლდა. პირველი წუთიდან დაწყებული მოლდოველები უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ, მაგრამ პირველი ბურთი მაინც საკუთარ კარში მიიღეს. ეს 78-ე წუთზე მოხდა, როცა მალტელთა ერთ-ერთი იშვიათი შეტევა უყურადღებოდ მიტოვებულმა **მალიუმ** ახლო მანძილიდან გოლად აქცია. მასპინძლები წაგებას არ იმსახურებდნენ და 85-ე წუთზე შეძლეს კიდეც გათანაბრება. ეს მოლდოველთა მცველმა **ალექსანდრ ეპურიანუმ** გააკეთა, მას შემდეგ, რაც პარტნიორის მიერ ჩაწოდებული მაღალი ბურთი სტუმართა კარში თავით გადაგზავნა, 1:1.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თურქეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-1 | 12 |
| 2. საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| 3. ბოსნია | 5 | 2 | 1 | 2 | 10-12 | 7 |
| 4. ნორვეგია | 4 | 2 | 0 | 2 | 7-4 | 6 |
| 5. მალტა | 4 | 1 | 1 | 2 | 5-9 | 4 |
| 6. უნგრეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |
| 7. მოლდოვა | 5 | 0 | 2 | 3 | 3-11 | 2 |

**მომდევნო ტური**

28 მარტი, ოთხშაბათი

**თურქეთი-ნორვეგია**
**მალტა-საბერძნეთი**
**უნგრეთი-მოლდოვა**

# ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები



ისრაელი-ინგლისი. ლემპარდი და კომპანია ხუთი თამაშია, ვერ იგებენ და სამი თამაშია, გოლი ვერ გააქვთ

## D ჯგუფი

**ირლანდია-უელსი 1:0**

**ირლანდია**: გივენი, ო'ში, ფინენი, მაკშეინი, დანი, კარსლი, ეარლენდი (59. დოილი), დუგლასი (80. ჰანტი), კილბეინი, კინი (90. მაკგიდი), დ. დაფი.

**უელსი**: კოინი, რიკეტსი, ბეილი (75. დ. კოლინზი), ჯ. კოლინზი, ევანსი, ნიატანგა, ლედლი (46. ფლეტჩერი), რობინსონი (90. ისტერი), დეივისი, გიგზი, ბელამი.

**გოლი**: 1:0 აერლენდი (39)

**მაყურებელი**: 75 300

**კვიპროსი-სლოვაკეთი 1:3**

**კვიპროსი**: მორფისი, ლამბრუ, ლუკა, საციასი, თეოდორუ (43. გეორგალიდესი), ხარალამბიდესი, გარპოცისი (66. ხარალამბუსი), მაკრიდესი (58. ელია), მიხაელი, ალონეფტისი, იასუმი.

**სლოვაკეთი**: ჩონტოფალსკი, დურიცა, გრეშკო, სინგლარი (46. ცოფჩაკი), შკრტელი, სვენტო, ბორბელი, კრაიჩიკი, საპარა (58. კოზაკი), იაკუბკო (79. შეშტაკი), ვიტეკი.

**გოლები**: 1:0 ალონეფტისი (45), 1:1 ვიტეკი (54), 1:2 შკრტელი (67), 1:3 იაკუბკო (77)

**მაყურებელი**: 2 696

**ჩეხეთი-გერმანია 1:2**

**ჩეხეთი**: ჩეხი, უიფალუში (84. ვლჩეკი), ჟირანეკი, როზენალი, იანკულოვსკი, ზიონკო (46. პლაშილი), გალაშეკი (67. კულიჩი), როსიცკი, პოლაკი, ბაროში, კოლერი.

**გერმანია**: ლემანი, ლამი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, იანსენი, შნაიდერი, ფრინგსი, ბალაკი, შვაინშტაიგერი, კურანი, პოდოლსკი (89. ჰიტცლშპერგერი).

**გოლები**: 0:1 კურანი (42), 0:2 კურანი (62), 1:2 ბაროში (77)

**მაყურებელი**: 17 821

გერმანელები მთელი კვირის განმავლობაში ერთსა და იმავეს იმეორებდნენ - ჩეხებს აუცილებლად მოვუგებთ, რადგან უკეთესი გუნდი გვყავსო. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ნაკრები მართლაც ერთი თავით მაღლა დგას ჩეხეთის ეროვნულ გუნდზე, ალემანთა ასეთი თავდაჯერება მაინც გასაკვირი გახლდათ, რაც არ უნდა იყოს, **კარელ ბრიუკნერის** გუნდი ხელწამოსაკრავი მეტოქე არაა. ამიტომაც იყო, ჩვენი გერმანელი კოლეგები რომ წერდნენ, ემანდ ცხვირი არ წაიმტვრიონ, ზედმეტად თავდაჯერებულები არიანო. არ წაიმტვრიეს! **იოახიმ ლიოვის** სამწყსომ პრაღაში შესანიშნავად ითამაშა და დამსახურებულად მოიგო!

არ იყო **მიროსლავ კლოზე**, სამაგიეროდ, იფრინა **კევინ კურანიმ**. "შალკეს" თავდამსხმელმა, რომელიც **იურგენ კლინსმანმა** მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ათამაშა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კლოზეს შეცვლა შეუძლია - **პეტრ ჩეხის** კარში გატანილი ორივე გოლი კურანის ანგარიშზეა, შალკელმა "ჩელსის" გოლკიპერი ორივე შემთხვევაში თავით დაამწუხრა. ფაქტია, რომ ამ გამარჯვებით ბუნდესგუნდმა ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. მართალია, ალემანებს წინ კიდევ 7 თამაში ელით, მაგრამ ალბათ ძალიან ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ლიოვის სამწყსო პირველზე თუ არა, მეორე ადგილზე მაინც ვერ გავა. უშუალო კონკურენტის დამარცხების შემდეგ (თანაც მისსავე მოედანზე), იოგის ბიჭები ერთპიროვნული ლიდერები არიან. და საერთოდ, ლიოვის ხელში გერმანიამ მე-8 თამაშიდან მე-7 მოიგო (ერთადერთი ნაფორხილება კვიპროსთან ფრე იყო, 1:1).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო გერმანელთა ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მას მერე, რაც ბუნდესნაკრებს ლიოვი წვრთნის. გერმანელები ოდნავ სუსტად მხოლოდ ორივე ტაიმის დასაწყისში და თამაშის ბოლოს გამოიყურებოდნენ. საერთოდ კი, ერთ მუშტად შეკრული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს - ძლიერი იყო კაპიტანი **მიხაელ ბალაკიც**. რაც გერმანელთათვის ყველაზე სასიხარულოა, პირველ ტაიმში შესანიშნავად გამოიყურებოდა **შვაინშტაიგერი**. ეს უკანასკნელი მხოლოდ კუთხურების ჩაწოდებისას სცოდავდა, 21-ე წუთზე კი გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ხუთი მეტრიდან ვერ იხეირა (ჩეხმა აუღო). "ჩელსის" მეკარემ 24-ე წუთზე **ლუკას პოდოლსკის** მოხდენილი დარტყმაც მოიგერია.

კიდევ კარგი, რომ შვაინიმ კუთხურების შესრულება **ტორსტენ ფრინგსს** გადააბარა, რადგან ამ უკანასკნელის მიერ შესრულებულ პირველივე კუთხურს გოლი მოჰყვა: 41-ე წუთზე ბრემენელის ჩაწოდებულს კურანი გამოეხმაურა, **როზენალზე** მაღლა ახტა და ბურთს 8 მეტრიდან ჩეხის კარში მიუჩინა ადგილი. ალსანიშნავია, რომ ამ ეპიზოდში "ჩელსის" კარის დარაჯმა ვერ ივარგა. პირველი ტაიმის მინურულს პოდოლსკის ჰქონდა ჩინებული მომენტი, როცა კურანის პასის შემდეგ ბურთი ძელს მოარტყა.

მეორე ტაიმში ალემანები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და სხვაობის გაზრდა 61-ე წუთზე შეეძლოთ, როცა კურანიმ პოდოლსკი ჩეხთან პირისპირ გაიყვანა, ამ უკანასკნელს **შნაიდერიც** გვერდით მისდევდა. პოლდიმ დარტყმა გააჭიანურა და ბოლოს შნაიდერს გადაანოდა, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ არც ეს უკანასკნელი ელოდა პასს... მაგრამ ზუსტად ერთი წუთის შემდეგ ისევ კურანიმ ივარგა, **ფილიპ ლამის** ჩაწოდების შემდეგ კიდევ ერთხელ დაასწრო ყველას და ისევ თავით გაიტანა - 0:2. ეს გახლდათ კევინის მე-17 გოლი 37-ე სანაკრებო შეხვედრაში. შალკელი საუკეთესო იყო მოედანზე. 75-ე წუთზე ის ჩეხთა საჯარიმოში **მარეკ იანკულოვსკიმ** უკნიდან მოცელა, მაგრამ მსაჯმა **როზეტიმ** ალემანებს პენალტი არ მისცა. ჩეხები გვიან გამოფხიზლდნენ (თუ შეიძლება, რომ ამას გამოფხიზლება ეწოდოს). 76-ე წუთზე **პოლაკმა** შორიდან დაურტყა **ლემანს**, ბურთი კი **მილან ბაროშს** მოხვდა და მიმართულება შეიცვალა, რის გამოც ბუნდესმეკარე უძლური აღმოჩნდა - 1:2. ბოლო წუთებზე ლემანმა ჯერ **კოლერს** აუღო, მერე კი ბაროშის დარტყმაც მოიგერია, თორემ ჩეხები ქულას გადაარჩენდნენ...

არცაა გასაკვირი, მატჩის შემდეგ ბრიუკნერი ნირწამხდარი რომ იყო. ჩეხთა თავკაცს პრესკონფერენციაზე ბევრი არ უსაუბრია - გერმანიას კარგი თამაში და მოგება მიულოცა, ეს იყო და ეს. ლიოვმა კი ილაპარაკა: *"უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩემმა გუნდმა ინტელიგენტური თამაში აჩვენა, დიდი მადლობა ყველას. დაცვაშიც მყარად ვიდექით და მეტოქეს გასაქანი არ მივეცით. სწორედ ამიტომ ვარ ძალიან კმაყოფილი. კურანი არაჩვეულებრივი იყო, ძალიან მოტივირებული გახლდათ და ასეთ ფორმაში მყოფი, ნებისმიერი გუნდისთვის უდიდესი პრობლემაა."*

მოკლედ, გერმანია წინ გაიჭრა, ჩეხეთი კი მეორე ადგილზე დარჩა 10 ქულით, მაგრამ ბრიუკნერის გუნდს ირლანდია წამოეწია. **სტივ სტონტონის** გუნდმა უელსი დაამარცხა მინიმალური სხვაობით, თუმცა ირლანდიელებს ჩეხებზე ერთი მატჩით მეტი აქვთ ჩატარებული. შეხვედრის გმირი "მანჩესტერ სიტის" ახალგაზრდა (18 წლის) ფორვარდი **სტივ ირლანდი** გახდა, რომელმაც 39-ე წუთზე შეძლო უელსელთა კარის დალაშქვრა. სხვათა შორის, ირლანდი ის ფეხბურთელია, ვინც ირლანდიის ნაკრები 7 თებერვალს სან მარინოსთან სამარცხვინო ფრეს გადაარჩინა - მაშინ "სიტის" თავდამსხმელმა მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე გაუტანა გოლი მაჩანჩალა სან მარინოელებს, ახლა კი უელსსაც შეუგდო გამარჯვების გოლი. ეს ასე მოხდა: ირლანდი **რობი კინის** პასით უელსელთა მეკარე **კოინთან** პირისპირ დარჩა, მოატყუა კიდეც, მაგრამ ბურთი ძალიან შორს გაიგდო, თუმცა მაინც მიასწრო და ძალიან მახვილი კუთხიდან მოახერხა ბურთის კარში შეგდება. მანამდე კინსა და **დაფს** შეეძლოთ გატანა, სტუმართა მხრიდან კი პირველ ტაიმში საუკეთესო მომენტი ლივერპულელ **კრეიგ ბელამის** ჰქონდა, რომლის დარტყმაც, 30-ე წუთზე, **შეი გივენმა** მოიგერია. მეორე ნახევარში ირლანდიელებმა ანგარიშის შენარჩუნებაზე ითამაშეს, რაც გამოუვიდათ კიდეც, თუმცა ერთ ეპიზოდში მაინც გადარჩნენ - 81-ე წუთზე **დოილმა** ძელი შეაზანზარა.

ოთხშაბათს ირლანდია სლოვაკეთს მასპინძლობს, გუნდს, რომელმაც კვიპროსზე 3:1 მოიგო. სლოვაკები პირველი ტაიმის შემდეგ აგებდნენ, მაგრამ მეორე ნახევარში ჯერ იყო და **რობერტ ვიტეკმა** აღადგინა წონასწორობა (54), მერე **მარტინ შკრტელმა** სტუმრები წინ გაიყვანა (67), ბოლოს კი **მარტინ იაკუბკომ** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა (77) - 1:3. უელსი სან მარინოს ესტუმრება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 21-3 | 13 |
| 2. ჩეხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 14-4 | 10 |
| 3. ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 11-8 | 10 |
| 4. სლოვაკეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 15-10 | 9 |
| 5. კვიპროსი | 5 | 1 | 1 | 3 | 9-15 | 4 |
| 6. უელსი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| 7. სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1-27 | 0 |

**მომდევნო ტური**

28 მარტი, ოთხშაბათი

**უელსი-სან მარინო**

**ირლანდია-სლოვაკეთი**

**ჩეხეთი-კვიპროსი**

## E ჯგუფი

**ისრაელი-ინგლისი 0:0**

**ისრაელი**: ავატი, შპუნგინი, ბენ ჰაიმი, გერშონი, ზივი, ბენადო, ბადირი, შუშანი (87. ალბერმანი), ბენაიუნი, ბალილი (70. საჰარი), ტამუზი (76. ბარდა).

**ინგლისი**: რობინსონი, ფ. ნევილი (72. რიჩარდსი), ფერდინანდი, ტერი, კარაგერი, ჰარგრივსი, ლემპარდი, ჯერარდი, ლენონი (83. დაუნინგი), ჯონსონი (80. დეფო), რუნი.

**მაყურებელი**: 41 500

**ესტონეთი-რუსეთი 0:2**

**ესტონეთი**: პოომი, შიშოვი (80. ნეემელო), ლემსალუ, სტეპანოვი, კრუგლოვი, დმიტრიევი, ტერეხოვი (52. კამსი), ლიეტმა (69. კინკი), ოპერი, ლინდპერე, კლავანი.

**რუსეთი**: აკინფეევი, იგნაშევიჩი, შიშკინი, ანიუკოვი, ტორბინსკი, ჟირკოვი, ბილიალეტდინოვი, ბისტროვი (90. საენკო), ზირიანოვი, არშავინი, კერჟაკოვი (84. სიჩოვი).

**გოლები**: 0:1 კერჟაკოვი (66), 0:2 კერჟაკოვი (79)

**მაყურებელი**: 11 000

**ხორვატია-მაკედონია 2:1**

**ხორვატია**: პლეტიკოშა, შიმიჩი, კორლუკა, შიმუნიჩი, ბაბიჩი, რაპაიჩი (46. სრნა), ნ. კოვაჩი, კრანჩარი, მოდრიჩი, ედუარდო და სილვა, ბალაბანი (80. ბუდანი).

**მაკედონია**: ნიკოლოვსკი, ნოვევსკი, პოპოვი, სედლოსკი, ვასოსკი, მიტრესკი (78. იანჩევსკი), შუმულიკოვსკი, ლაზარევსკი, ნაუმოვსკი (60. ტასევსკი), მაზნოვი (72. ვაისი), პანდევი.

**გოლები**: 0:1 სედლოსკი (36), 1:1 სრნა (58), 2:1 ედუარდო და სილვა (88)

**მაყურებელი**: 33 000

მძიმე დროება უდგას ინგლისის ნაკრებს, განსაკუთრებით კი მთავარ მწვრთნელ **სტივ მაკლარენს**. შაბათს ინგლისელებმა ისრაელის ნაკრების დამარცხება ვერ მოახერხეს - თელ ავივში უგოლო ფრეს დასჯერდნენ და საქმე გაირთულეს. მძიმე კი არა, ჩვენი ინგლისელი კოლეგები წერენ, რომ მაკლარენის მდგომარეობა უკვე დრამატულია და დიდი შანსია, რომ სულ მალე დაიფრინონ. ეს ნამდვილად არ იქნება გასაკვირი, რადგან ინგლისელებმა ზედიზედ მეხუთე მატჩი (!) ვერ მოიგეს. აქედან, 3-ჯერ ფრე ითამაშეს, ორჯერ კი დამარცხდნენ. მაკლარენის შეგირდებმა ზედიზედ მესამედ დატოვეს მოედანი უგოლოდ და საერთოდ, ამ 5 შეხვედრაში მხოლოდ 1 გოლი აქვთ გატანილი.

შესაბამისად, თამაშის წინ მაკლარენი უმძიმესი წნეხის ქვეშ მოექცა. გამოცემა "სანმა" დაწერა: *"მაკ, თუ ამ თამაშს წააგებ, შეგიძლია ინგლისში არ დაბრუნდე!"* მართალია, არ წააგო, მაგრამ ისრაელიდან წაღებული ქულა ინგლისის ეროვნული გუნდისთვის ვერაფერი შეღავათია. პირველ ტაიმში ინგლისელთა მხრიდან საუკეთესო ოუენ **ჰარგრივსი** იყო, მაგრამ "ბაიერნის" ნახევარმცველს მხარი ვერავინ აუბა.

თამაშს 40 000 მაყურებელი ესწრებოდა და აქედან 3 500 ინგლისელი. მეორე ტაიმში ტრიბუნებიდან დიდხანს ისმოდა შეძახილი: Only one David Beckham! ეს კი მაკლარენისთვის მძიმე დარტყმა იყო, რადგან **დევიდ ბექჰემი** ინგლისის ნაკრებიდან სწორედ სტივმა დაიფრინა (მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ). ინგლისელებმა ვერც მეორე ტაიმში შეძლეს კარგად მოთამაშე ისრაელის ნაკრების გატეხვა და საბოლოოდ 0:0, რის გამოც მაკლარენის გუნდს ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩენის საფრთხე დაემუქრა - ინგლისი მე-3 ადგილზეა.

პირველ ადგილზე კი ხორვატიის ნაკრები რჩება. მართალია, **სლავენ ბილიჩის** შეგირდებს მაკედონიის დამარცხება საკმაოდ გაუჭირდათ, მაგრამ საბოლოოდ დაგეგმილი 3 ქულა მაინც მოიპოვეს და E ჯგუფის სატურნირო ცხრილს ახლა უკვე 13 ქულით ლიდერობენ. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, თავიდან მაკედონიელები იგებდნენ: 38-ე წუთზე **დარიო შიმიჩმა ნაუმოსკის** წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვია, საჯარიმო დარტყმა კი **გორჩე სედლოსკიმ** შესანიშნავად შეასრულა და **პლეტიკოშას** კარი 25 მეტრის დისტანციიდან დალაშქრა. გაშვებულმა გოლმა ხორვატებს თავგზა აუბნია, რის გამოც პირველ ტაიმში მასპინძლები ძალიან დაბნეულები იყვნენ. მეორე ნახევარში კი გამოსწორდნენ და თამაშიც დაალაგეს, რასაც მოჰყვა კიდეც სასურველი შედეგი: **მილან რაპაიჩის** ნაცვლად შეცვლაზე შესულმა **დარიო სრნამ** 58-ე წუთზე წონასწორობა ჯარიმითვე აღადგინა. მერე მასპინძლებს გოლის ავტორი სედლოსკი გაუძევეს, რამაც ხორვატებს საქმე გაუადვილა. 88-ე წუთზე გამარჯვების გოლი **ედუარდომ** გაიტანა. ამ უკანასკნელმა სრნას ჩაწოდებით ისარგებლა.

**ეგორ ტიტოვის** გარეშე დარჩენილმა რუსეთის ნაკრებმა ტალინში ესტონეთი დაამარცხა (2:0) და მეორე ადგილზე, ინგლისის წინ დამკვიდრდა. ორივე გოლი **კერჟაკოვმა** გაიტანა - **გუს ჰიდინკის** ხელში რუსები დაუმარცხებლები არიან (5 თამაშში 3 მოგება, 2 ფრე) და დღემდე მხოლოდ 1 გოლი აქვთ გაშვებული. ოთხშაბათს ისრაელი ესტონეთს მასპინძლობს, ინგლისი კი ანდორას სტუმრობს და ცხადია, რომ მაკლარენის შეგირდები ხუთმატჩიან მოუგებელ სერიას შეწყვეტენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 5 | 4 | 1 | 0 | 15-4 | 13 |
| 2. რუსეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-1 | 11 |
| 3. ინგლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-2 | 8 |
| 4. ისრაელი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-6 | 8 |
| 5. მაკედონია | 6 | 2 | 1 | 3 | 5-5 | 7 |
| 6. ესტონეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-6 | 0 |
| 7. ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1-19 | 0 |

**მომდევნო ტური**

28 მარტი, ოთხშაბათი

**ანდორა-ინგლისი**

**ისრაელი-ესტონეთი**



ჩეხეთი-გერმანია. კევინ კურანის გოლი

# ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები



რობენის ჰოლანდია და რატის რუმინეთი უგოლოდ გაიყარნენ

## F ჯგუფი

### ესპანეთი-დანია 2:1

**ესპანეთი:** კასილიასი, ანხელი, კაპდევილია, ნავარო, მარჩენა, ალბელდა, ინიესტა, სილვა, ჩავი (60. ჩაბი ალონსო), მორიენტესი (64. ფერნანდო ტორესი), ვილია (76. ანგულო).

**დანია:** სორენსენი, აგერი, გრავგაარდი, იაკობსენი, ნ. იენსენი, დ. იენსენი, კალენბერგი (60. გრონკიაერი), პოულსენი, იორგენსენი (38. ანდრეასენი/73. ბენდტნერი), რომედალი, ტომასონი.

**გოლები:** 1:0 მორიენტესი (34), 2:0 ვილია (45), 2:1 გრავგაარდი (49)

**მაყურებელი:** 80 000

### ლიხტენშტაინი-ჩრ. ირლანდია 1:4

**ლიხტენშტაინი:** იელე, იორი (68. ტესლერი), რიტერი, მარ. შტოკლაზა, მიხ. შტოკლაზა, რ. ბუხელი (88. დ. ფრიკი), ბურგმაიერი, ტ. ბეკი, ბიუხელი, მ. ფრიკი, როლერი (84. შ. ბუხელი).

**ჩრ. ირლანდია:** ტეილორი, კრეიგანი, მ. დაფი, ა. ჰიუზი, ბრანტი (68. მაკკანი), დევისი, ევანსი, გილესპი, ჯონსონი, ჰილი (84. ჯოუნსი), ლაფერტი (56. ფინი).

**გოლები:** 0:1 ჰილი (52), 0:2 ჰილი (75), 0:3 ჰილი (83), 1:3 ბურგმაიერი (90), 1:4 მაკკანი (90)

**მაყურებელი:** 4 340

ესპანეთის ნაკრებმა ბეწვის ხიდზე გაიარა. "სელექსიონს" მასზე გავლა მომავალშიც მოუწევს. **ლუის არაგონესმა** და მისმა შეგირდებმა გასული წლის შემოდგომაზე მეტისმეტად ბევრი ქულა დაკარგეს. ამიერიდან ისინი ვალდებულები არიან, ყველა დარჩენილ შეხვედრაში მაქსიმალური შედეგისთვის იბრძოლონ. ესპანელებს იმედი ჰქონდათ, რომ პირთამდე გადაჭედილი "სანტიაგო ბერნაბეუ" მე-12 ფეხბურთელის ფუნქციას შეასრულებდა. მართლაც ასე მოხდა, ლეგენდარულ სტადიონზე 75 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა. უკლებლივ ყველა, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე გამარჯვების მოსაპოვებლად, ეროვნულ გუნდს მხარში დაუდგა. შეხვედრის დაწყებამდე კი საზოგადოებამ **კარლეს პუიოლის** ბაბუის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგო. "ბარსელონის" კაპიტნის ოჯახური ტრაგედია ხალხმა, რა თქმა უნდა, მყისვე დაივიწყა და თამაშში მთელი არსებით ჩაერთო.

ესპანეთმა ფინალის ტოლფასი პირველი მატჩი წარმატებით დაასრულა. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მასპინძლებს გამარჯვებაში **ნიკლას იენსენის** გაძევებამ უდიდესი დახმარება გაუწია. საქმე ის არის, რომ დანიელები მე-19 წუთზე კაცნაკლულები დარჩნენ. ბუნებრივია, სტუმრად, ისიც ესპანეთთან "სანტაიგო ბერნაბეუზე" 10 კაცით ბრძოლა ძალიან რთულია. სხვათა შორის, სკანდინაველთა გუნდში ბზარები სწორედ მას შემდეგ გამოჩნდა, რაც შვეიცარიელმა **მასიმო ბუსაკამ** იენსენი გასახდელისკენ მიმავალ გზას გაუყენა. მასპინძლებმა შვება იგრძნეს და მოწინააღმდეგეს უფრო თამამად შეუტიეს. ვალენსიელი **სილვა** "სელექსიონში" სულ რაღაც მესამე ორთაბრძოლას ატარებდა. ოფიციალურ პაექრობაში კი სულაც პირველად მიიღო მონაწილეობა. გამოუცდელობის მიუხედავად, ის ისე უტევდა, თითქოს მრავალი ათეული სანაკრებო შეხვედრა აქვს გამართული. ასე იყო, თუ ისე, **სორენსენის** კარს პირველად სწორედ "ვალენსიის" ნახევარმცველი დაემუქრა. სილვა მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა და მარცხენა ფლანგზე მეტოქეები აიკლო. ყველაზე მეტ პრობლემას დანიელები მასთან ბრძოლისას აწყდებოდნენ. მალე სილვას სხვებმაც აუბეს მხარი და ნათელი გახდა, რომ "სელექსიონი" წუთი-წუთზე გახსნიდა ანგარიშს. **ფერნანდო ტორესის** ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში დაყენებული **ფერნანდო მორიენტესი** მეტისმეტად მოტივირებული გახლდათ. სიმბოლურია, რომ მოროს მონდომება დაუფასდა. 34-ე წუთზე გამოცდილმა ფორვარდმა **ანდრეს ინიესტას** ფანტასტიკური პასი მიიღო, ცრუ მოძრაობით მცველი მინდორზე გაშხლართა და ბურთი აუღელვებლად კარში შეაგორა. სხვათა შორის, მორიენტესმა ნაკრებში შეგდებული ბურთების რაოდენობით თვით **ემილიო ბუტრაგენიოს** გაასწრო. **მორტენ ოლსენის** შეგირდებმა წარუმატებლობა ძალიან განიცადეს. მომდევნო წუთებში ისინი უაღრესად არაორგანიზებულად მოქმედებდნენ. მასპინძლებს ამაზე მეტი არაფერი სურდათ და შესვენებამდე მცირე ხნით ადრე ანგარიში ორამდე გაზარდეს. **დავიდ ვილია** ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით მეკარესთან პირისპირ გავიდა და უშეცდომოდაც დაარტყა. დაგვეთანხმებით, ორბურთიანი უპირატესობა პირენეელებს მეორე ნახევრის მშვიდად ჩატარების საშუალებას აძლევდა...

თუმცა თამაშის განახლებიდან რამდენიმე წუთში ლუის არაგონესის ბიჭებს დიდი განსაცდელი დაატყდათ თავს. 48-ე წუთზე **გრავგაარდმა** კუთხურიდან ჩამონოდებულ ბურთს **იკერ კასილიასის** კარში მიუჩინა ადგილი. სკანდინაველები მიხვდნენ, რომ ესპანეთს სიესტის დამთავრება დაუგვიანდა და წონასწორობის აღდგენის შანსი ჰქონდათ. ოლსენის ბიჭები ფიზიკური ძალის უპირატესობის გამოყენებას ცდილობდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ მაღალი ჩაწოდებებით მეორე გოლიც შეეგდოთ. სხვათა შორის, მათ რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენეს. ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა და გულშემატკივრებმა ბევრი ინერვიულეს, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მათ სასარგებლოდ დასრულდა. ესპანეთის ნაკრებმა მართლაც ჰაერივით საჭირო სამი ქულა მოიპოვა, მაგრამ როგორც თავში მოგახსენეთ, არაგონესსა და მის ბიჭებს ბეწვის ხიდზე გავლა კიდევ არაერთხელ მოუწევთ. ყველა დარჩენილი შეხვედრა "სელექსიონისთვის" ფინალის ტოლფასი იქნება.

მასპინძელთა დამრიგებელმა გამარჯვებით დიდად გაიხარა, მაგრამ მხრცოვან სპეციალისტს ხარვეზებზე საუბარიც არ დავიწყებია: *"თამაშის ხარისხით, რა თქმა უნდა, არ ვარ აღფრთოვანებული. ვალდებულები ვიყავით, კაცნაკლულ მეტოქესთან უფრო დამაჯერებლად გვეთამაშა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზომაზე მეტს ვნერვიულობდით. ბიჭებს ესმოდათ, მორიგი წაფორხილება საკმარისი გახდებოდა იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატს დავმშვიდობებოდით. მღელვარება "სელექსიონის" ასპარეზობაზე საკმაოდ ცუდად აისახა. უბრალოდ ვალდებულები ვართ, რომ ჯოჯოხეთური წნეხისა და ნერვიულობის ფონზე, კარგად თამაში ვისწავლოთ. წინ რვა ორთაბრძოლა გველის, რვა ფინალი. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ ერთი ქულის დაკარგვამ ევრო 2008-ის მიღმა დაგვტოვოს. დღეს გაგვიმართლა, რომ იენსენმა წითელი ბარათი მიიღო. საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე კი, მორტენ ოლსენიც გააძევეს. მოკლედ, ეს თამაში ასეთი იყო. მადლობა ღმერთს, რომ მოვიგეთ. მჯერა, მომავალში უფრო კარგად ვიასპარეზებთ და კონტინენტის პირველობის დასკვნით ტურნირზე გავემგზავრებით."*

რაც შეეხება მორტენ ოლსენს, შეხვედრა მან ასე შეაფასა: *"თანაბარი შემადგენლობით თამაშისას ჩვენ ერთი ორად უკეთ გამოვიყურებოდით. ჩემი აზრით, იენსენის გაძევება სულაც არ იყო აუცილებელი, თუმცა ამით იმის თქმა არ მსურს, რომ მსაჯის შეცდომის გამო წავაგეთ. არბიტრმა, რა თქმა უნდა, ცუდად იმუშავა, მაგრამ მათი შეცდომები ფეხბურთის განუყოფელ ნაწილად იქცა. სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. არადა, შესანიშნავი შანსი გვქონდა იმისთვის, რომ შინ მინიმუმ ერთი ქულით დავბრუნებულიყავით."*

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩრდილოირლანდიელებმა ჯგუფის წყალნაღებულ აუტსაიდერს იოლად მოუგეს. მორიგი გამარჯვების წყალობით, ბრიტანელებმა სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს. დანიის ეროვნული გუნდის ნაგების წყალობით, ისინი მეორე ადგილზე სამქულიანი უპირატესობით დამკვიდრდნენ. ცხადია, შესარჩევი ციკლის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე დასკვნების გამოტანა სისულელეა, თუმცა უკვე შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი ერთ-ერთ აღმოჩენად იქცა.

ლიხტენშტეინთან მატჩის გმირად **დევიდ ჰილი** მოგვევლინა. აღსანიშნავია, რომ სტუმართა ფორვარდმა მიმდინარე საკვალიფიკაციო ტურნირში მეორე ჰეტ-ტრიკი გააფორმა. **სანჩესის** საუკეთესო შეგირდმა ანგარიში 52-ე წუთზე გახსნა. მან **ლაფერტის** მიერ დარტყმულ ბურთს დაამატა. მოგვიანებით კი, "ლიდსის" ფორვარდმა მცველების შეცდომით ისარგებლა. სულ რაღაც რვა წუთში ჰილმა მასპინძლები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის მოწყობის მცდელობისას დასაჯა. თითქოს ყველაფერი დასრულებული იყო, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში **ბურგმაიერმა** ზუსტი დარტყმით სხვაობა შეამცირა. თუმცა რამდენიმე წამში **გრანტ მაკკანმა** სტატუს-კვო აღადგინა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8-2 | 12 |
| 2. ჩრ. ირლანდია | 5 | 3 | 1 | 1 | 8-6 | 10 |
| 3. დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-2 | 7 |
| 4. ესპანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-6 | 6 |
| 5. ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-2 | 3 |
| 6. ისლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |
| 7. ლიხტენშტ. | 4 | 0 | 0 | 4 | 2-15 | 0 |

**მომდევნო ტური**

28 მარტი, ოთხშაბათი

**ჩრ. ირლანდია-შვედეთი**
**ლიხტენშტაინი-ლატვია**
**ესპანეთი-ისლანდია**

## G ჯგუფი

### ჰოლანდია-რუმინეთი 0:0

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, იალიენსი, მატიისენი, ბუმა, ვან ბრონკჰორსტი, სნეიდერი, ლანდზაატი (80. ემანუელსონი), ვან დერ ვაარტი (85. ზეედორფი), რობენი, ჰუნტელაარი, ბაბელი.

**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, გოიანი, ტამაში, რაცი (78. სტეფანი), კოშიჩი, ნიკოლიცა, რადოი, კოდრეა (88. როსუ), მარიკა (64. ნიკულაე), მუტუ.

**მაყურებელი:** 49 000

### ლუქსემბურგი-ბელარუსი 1:2

**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, შტრასერი, ჰოფმანი, რაიტერი, კინციგერი, პეტერსი, ბეტმერი, რაიალი (67. კარლოს ფერეირა), ლომბარდელი (58. ბიგარდი), რემი, კოლეტი (64. საგრამოლა).

**ბელარუსი:** ჟევნოვი, იურევიჩი, შტანიუკი, კულჩი, კორიტკო, სტრახანოვიჩი (58. ჩელიადინსკი), ა. გლები, კალაჩევი, ვ. გლები, კორნილენკო (74. ბლიზნიუკი), კუტუზოვი (80. რადკოვი).

**გოლები:** 0:1 კალაჩევი (25), 0:2 კუტუზოვი (54), 1:2 საგრამოლა (68)

**მაყურებელი:** 2 000

### ალბანეთი-სლოვენია 0:0

**ალბანეთი:** ბექაი, დალკუ, ბექირი, კანა, დედე, დურო, ლალა, ჰაჯი, მუკა (86. ბერიშა), ბოგდანი (89. სალიჰი), კაპლანი (58. ბუში).

**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, ილიჩი, მავრიჩი, ჯოკიჩი, ჩესარი, ცლოგარი, კომაჩი, ჩეჰი (81. აჩიმოვიჩი), კორენი, ლავრიჩი, რაკოვიჩი (64. ბირსა).

**მაყურებელი:** 12 000

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უგოლო ფრე არც ერთ გუნდს აძლევდა ხელს. ამ სიტყვების დასტურად ისიც გამოდგება, რომ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისულმა მწვრთნელებმა უკმაყოფილება ღიად გამოხატეს. თამაში კოკისპირული წვიმის თანხლებით მიმდინარეობდა. შეუძლებელი იყო, ამ გარემოებას ხარისხზე გავლენა არ ექონია...

**ოტო ბარიჩს** ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ექიმებმა მუშაობის ნება არ დართეს. ამიტომ, ალბანელების დამოძღვრა მთავარი მწვრთნელის ასისტენტებს, **სლავკო კოვაჩიჩსა** და **შპეტ დუროს** დაევალათ. მათ მიერ დამოძღვრილმა მასპინძელმა ფეხბურთელებმა შეხვედრის დებიუტში უპირატესობა მიიპვეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. პარადოქსულია, მაგრამ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა პირველად **კლემენ ლავრიჩს** მიეცა, თუმცა მის მიერ დარტყმული ბურთი **ბეგაიმ** თავგანწირული ნახტომით მოიგერია. მალე სლოვენიელ მეკარესაც მიეცა საქმე. **ხანდანოვიჩმა** **კლოდიან დუროს** რთული დარტყმის მოგერიება შეძლო.

მეორე ტაიმში თამაშმა მეტისმეტად უსახური ხასიათი შეიძინა. გუნდები ლირებულს ვერაფერს ახერხებდნენ. ერთადერთი სახიფათო მომენტი **ერიონ ბოგდანმა** შექმნა, მაგრამ მისი თავური დარტყმა კვლავ ხანდანოვიჩმა მოიგერია. მასპინძელთა დამრიგებელმა შპეტ დურომ შედეგით უკმაყოფილება გამოთქვა: *"ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით. მართალია, რამდენიმე ეპიზოდში თავად ვერ ვივარგეთ და კარგი მომენტები ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ორი ქულა უიღბლობის გამო დავკარგეთ. ჩვენ მართლაც ბევრად უკეთ ვიასპარეზეთ."*

დურომ რაც არ უნდა ილაპარაკოს, ფაქტი ფაქტად რჩება, ალბანეთი სლოვენიას ბევრით ვერაფრით აღემატებოდა. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ფრე სრულიად სამართლიანი შედეგი გახლდათ. სხვა საქმეა, რომ ერთი ქულა არც ერთ მხარეს არ აწყობდა. ძნელად წარმოსადგენია, ალბანეთმა, ან სლოვენიამ ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვება შეძლონ.

ლუქსემბურგში მოპოვებულმა გამარჯვებამ ბელორუსის ნაკრებს სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება მისცა. სტუმრებს სამი ქულა **ტიმოფეი კალაჩევისა** და **ვიტალი კუტუზოვის** გოლებმა მოუტანა. ბელორუსები უახლოეს მდევარ სლოვენიას ახლა უკვე სამი ქულით უსწრებენ.

მასპინძელთა უსუსურობა პირველივე წუთებიდან გამოიკვეთა. ცენტრალურმა მცველმა **ჯეფ შტრასერმა** ზედიზედ რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. ბელორუსებმა საჩუქარი ვერ გამოიყენეს და მოწინააღმდეგე აშკარა გოლებისგან დაინდეს. შტრასერი გონს მაინც ვერ მოეგო და ბრიყვული თამაში განაგრძო. ბუნებრივია, უპასუხისმგებლობა დაუსჯელად აღარ დარჩებოდა. 25-ე წუთზე სტუმრებმა ეფექტური იერიში მოაწყვეს. კუტუზოვმა სწორედ შტრასერი დაიბრიყვა და მისი მოტყუების შემდეგ კალაჩევს დაუგორა ბურთი. მანაც არ დაახანა და ცაციით ცხრიანში შეაგდო. გახარებულმა ფორვარდმა რამდენიმე წუთში **კულიჩს** თავად მიაწოდა ხელსაყრელი პასი, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმში სიტუაცია, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. სტუმრები კვლავ დომინირებდნენ. 47-ე წუთზე კუტუზოვმა **ჟუბერის** რეაქცია შეამოწმა. ლუქსემბურგის მეკარე იმ ეპიზოდში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, მაგრამ ფაქტობრივად ვერდიქტი გამოაცხადა. კუტუზოვის მეორე ცდა წარმატებული გამოდგა. იქვე კალაჩევსა და **გლებსაც** შეეძლოთ გატანა, მაგრამ **პუნტუსის** შეგირდებს ფატალურად არ გაუმართლათ. ბელორუსები მოდუნდნენ, რის გამო დაისაჯნენ კიდეც. 68-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა **საგრახოლმა ჟერომის** პასი გამოიყენა და სხვაობა შეამცირა. შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე მასპინძლებმა ქულის მოპოვების 100-პროცენტიანი შანსი გაუშვეს ხელიდან. პირველი ტაიმის ანტიგმირმა შტრასერმა შეტევაშიც შეირცხვინა შანსი. წამების შემდეგ კი **რენე პეტერსმაც** უხეიროდ დაარტყა. ბოლო წუთების ნერვიულობა იური პუნტუსს საპრესკონფერენციო დარბაზშიც ეტყობოდა: *"ჩვენ ორი თავით უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ ბოლოს მოვდუნდით და მოწინააღმდეგეს ხელ-ფეხი გაეხსნა. ლუქსემბურგს მეორე გოლიც რომ გაეტანა, უდიდესი უსამართლობის მომსწრენი გავხდებოდით. მიხარია, რომ შინ გამარჯვებულები ვბრუნდებით."*

როტერდამელი გულშემატკივრები უსიამოვნო სიურპრიზის მოწმენი გახდნენ. ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რო **მარკო ვან ბასტენის** შეგირდები რუმინეთის დამარცხებას ვერ შეძლებდნენ. მართალია, ჰოლანდიელებს პირველი ადგილი არ დაუკარგავთ, მაგრამ საკუთარ სტადიონზე ორი ქულის განიავება მაინც სერიოზული წარუმატებლობაა. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბულგარეთსა და რუმინეთს რვა ქულა ოთხ შეხვედრაში აქვთ მოგროვილი. ჰოლანდიელებს კი უკვე ხუთი ორთაბრძოლა აქვთ გამართული.

ვან ბასტენმა თავისი არ მოიშალა და **რუუდ ვან ნისტელროის** კვლავ არ უხმო. რა თქმა უნდა, ამის ბრალიც იყო, რომ მასპინძლები თავდასხმაში ამაზრზენად გამოიყურებოდნენ. სხვათა შორის, ისინი დაცვაშიც ბევრს სცოდავდნენ და რუმინელებს სახიფათო იერიშების ორგანიზების საშუალებას უმტკივნეულოდ აძლევდნენ. **ადრიან მუტუს** ოდნავ მეტად რომ გამართლებოდა, სტუმრები როტერდამიდან სამ ქულას წაიღებდნენ. ადგილობრივი პრესა ნაკრების თამაშით ცხადია, უკიდურესად უკმაყოფილო დარჩა. ჟურნალისტები ახლა უკვე იმპერატიული ტონით მოითხოვენ, მთავარმა მწვრთნელმა სასწრაფო ცვლილებები განახორციელოს. მათ სურთ, რომ ოთხშაბათს ჰოლანდიამ სლოვენიის ეროვნულ გუნდთან სულ სხვა ფეხბურთი ითამაშოს. წარმოუდგენელია, ვან ბასტენმა პოზიციები დათმოს და ვან ნისტელროის უხმოს. მეტად რეალური იქნება, მან არსებული კადრები უფრო რაციონალურად გამოიყენოს და ეფექტური ტაქტიკა შეიმუშაოს. მოკლედ, ლეგენდარულ ფეხბურთელს მომავალში ასეთ უსახურ თამაშს აღარ შეარჩენენ.

თავად ვან ბასტენმა კი ჟურნალისტებს ასეთი რამ უთხრა: *"ვაღიარებ, ძალიან უსახურად ვითამაშეთ, თუმცა ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, თითქოს წარუმატებლობა თავდასხმის ბრალი იყოს. ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა ნახევარდაცვაში გვქონდა. სამწუხაროდ, ჩვენი გეგმის რეალიზება ვერ შევძელით. ბუნებრივია, უაღრესად უკმაყოფილო გახლავართ და ვხვდები, რომ მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორდეს. მომდევნო შეხვედრაში გარკვეულ ცვლილებებს იხილავთ. ახლა ვერაფერს დაგიკონკრეტებთ, მაგრამ გპირდებით, რომ დარჩენილ დღეებში ნაყოფიერად ვიმუშავებთ."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 7-2 | 11 |
| 2. ბულგარეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 3. რუმინეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 4. ბელარუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-11 | 7 |
| 5. სლოვენია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 6. ალბანეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 7. ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-6 | 0 |

**მომდევნო ტური**

28 მარტი, ოთხშაბათი

**რუმინეთი-ლუქსემბურგი**
**სლოვენია-ჰოლანდია**
**ბულგარეთი-ალბანეთი**

## ამხანაგური მატჩი

### ბრაზილია-ჩილე 4:0

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, დანიელ ალვეში, ლუსიო, ჟუანი, ჟილბერტო, ჟილბერტო სილვა (76. დუდუ კარენსე), ელანო (46. მინეირო), კაკა (79. დიეგო), რონალდინიო, რობინიო, ფრედი (76. ვაგნერ ლავი).

**ჩილე:** ბრავო, ვარგასი, ფუენტესი, ფონ შვედლერი (46. 9-ნავია), ფიგეროა, მალდონადო, სანხუესა, მარკ გონსალესი (79. იტურა), ფერნანდესი (46. ვალდივილა), ხიმენესი (79. ტელო), სუასო.

**გოლები:** 1:0 რონალდინიო (16-პენ), 2:0 კაკა (31), 3:0 რონალდინიო (49), 4:0 ჟუანი (60).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები

# დანიასთან მეორე გუნდი ითამაშებს

## ლიოვმა ბუნდესგუნდში როლფესს და ჰელმესს უხმო, ბირჰოფმა ინგლისი დაადასტურა, ამასობაში უემბლიზე პირველი გოლიც გავიდა და პირველი ჰეთ თრიკიც...

პრაღაში მოგებული თამაშის შემდეგ, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** საკადრო ცვლილებებს მიმართა. ბუნდესგუნდს ოთხშაბათს დანიასთან აქვს ამხანაგური მატჩი (დიუსელდორფში) და ამ მატჩისთვის იოგიმ ორ ახალწვეულს უხმო. ესენი არიან: მეორე ბუნდესლიგელი "კიოლნის" თავდამსხმელი **პატრიკ ჰელმესი** და "ლევერკუზენის" ნახევარმცველი **სიმონ როლფესი**.

იოგის უნდა, რომ დანიასთან სარეზერვო ფეხბურთელები გამოსცადოს, რის გამოც მან ძირითადი შემადგენლობის 8 ფეხბურთელის დასვენება გადაწყვიტა: **მიხაელ ბალაკი, იენს ლემანი, ლუკას პოდოლსკი, ბასტიან შვაინშტაიგერი, ფილიპ ლამი, პერ მერტეზაკერი, ტორსტენ ფრინგსი** და **ბერნდ შნაიდერი** დანიასთან განაცხადში არ იქნებიან. სამაგიეროდ, ისევე, როგორც ჩეხეთთან, ოთხშაბათსაც იასპარეზებს მიონხენგლადბახის "ბორუსიის" მარცხენა გარემარბი **მარსელ იანსენი**, რომელიც პრაღაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ.

ამასობაში, გერმანიის ნაკრების მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმა** დაადასტურა, რომ 22 აგვისტოს, ბუნდესგუნდი ლონდონში გაემგზავრება და ინგლისთან ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. ეს იქნება ეროვნული ნაკრებების პირველი შეხვედრა განახლებულ "უემბლიზე". აღსანიშნავია, რომ 2000 წლის 7 ნოემბერს, ძველ სტადიონზე გამართულ ბოლო სანაკრებო მატჩშიც ამ მეტოქეებმა ითამაშეს. მაშინ გერმანიამ ინგლისს 1:0 მოუგო. *"ახალ "უემბლიზე" პირველ (სანაკრებო) მატჩში მონაწილეობა დიდი პატივია,"* - აღნიშნა ბირჰოფმა.

როგორც ვთქვით, ინგლისი-გერმანია ეროვნული გუნდების პირველი მატჩი იქნება, თორემ "უემბლიმ" ოფიციალურ შეხვედრას შაბათსაც უმასპინძლა. ორი დღის წინათ ინგლისის ახალგაზრდულმა იტალიის ახალგაზრდული ნაკრები მიიღო. დაძაბული პაექრობა ფრედ, 3:3 დასრულდა. ახალ "უემბლიზე" პირველი გოლი "ფიორენტინის" თავდამსხმელმა **ჯამპაოლო პაცინიმ** გაიტანა. მან ეს 25-ე წამზე მოახერხა. პაცინი ასევე პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც "უემბლიზე" ჰეთ თრიკი გამოაცხო. პირველი ინგლისური გოლის ავტორობა არავის დაუთმო ბლექბერნელმა **დევიდ ბენტლიმ**. 90-ათასიან არენაზე მხოლოდ 60 ათასი ბილეთი გაყიდეს. ფანებმა სალაროები რამდენიმე საათში დააცარიელეს.



გერმანელთა დებიუტანტი პატრიკ ჰელმესი



ფრანჩესკო ტოტი

ექსპერტის მოსაზრება

# ბეარძოტი: ტოტი იტალიას შეურაცხყოფს

## ენცოს ვერ გაუგია, რატომ არ თამაშობს ფრანჩესკო ნაკრებში

**ენცო ბეარძოტი**, რომელმაც 1982 წელს იტალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, **ფრანჩესკო ტოტის** თემას გამოეხმაურა. მისი აზრით, როცა ტოტი იტალიის ნაკრებში თამაშზე უარს ამბობს, ამით მთელ ქვეყანას აყენებს შეურაცხყოფას. როგორც იცით, რომაელს "სკუადრა აძურაში" მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ აღარ უთამაშია და ამბობს, **რობერტო დონადონის** გუნდს სექტემბრიდან დავუბრუნდებიო.

*"ტოტის ვერაფერი გავუგე და მისი საქციელი ძალიან უცნაურად მეჩვენება. თუკი მას შეუძლია, ითამაშოს "რომაში", რატომ არ შეუძლია, იასპარეზოს ნაკრებშიც? ტოტი იტალიის საუკეთესო ფეხბურთელია, მეტიც, ის ჩვენი ფეხბურთის სახეა და ასეთი რამ არ ეპატიება. სანაკრებო კარიერა რომ დაესრულებინა, ყველაფერი გასაგები იქნებოდა. ახლა კი ძალიან უცნაურ და საშიშ პრეცენდენტთან გვაქვს საქმე. განა გამორიცხულია, რომ ამის შემდეგ სხვა ფეხბურთელებმაც იგივე გააკეთონ?"* - წუხს ბეარძოტი "გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ბარსელონა. ტრანსფერები

# ლემპარდის გარდა, ტერიც

## ზედმეტი ფეხბურთელის სია; კატალონიელები შემადგენლობის გასაძლიერებლად 35 მილიონს დახარჯავენ...

"ბარსელონა" საზაფხულო ტრანსფერებში 35 მილიონ გირვანქას დახარჯავს. ორი დღის წინათ კატალონიელთა თავკაცი **ფრანკ რიიკაარდი** პრეზიდენტ **ხოან ლაპორტასა** და სპორტულ დირექტორ **ჩიკი ბეგირისტაინს** შეხვდა. მხარეებმა სამოქმედო პროგრამა შეათანხმეს. შემადგენლობის გასაძლიერებლად ზემოთხსენებული თანხის გამოყოფაც ამ შეხვედრაზე გადაწყდა. სატრანსფერო ბიუჯეტის ერთი ნაწილი ფეხბურთელების გაყიდვით შეივსება. გაირკვა, რომ "ბარსელონიდან" აბარგება მოუწევთ **ლილიან ტურამს, ტიაგო მოტას, სილვინიოს, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს, ჟულიანო ბელეტის, ლუდოვიკ ჟიულის, ეიდურ გუდიონსენსა** და **სანტი ესკეროს**. რაც შეეხება მათ, ვინც ახალი კლუბის ხერხემალი უნდა შეადგინონ, ინტენსიურად განიხილება "ჩელსის" ორი ვარსკვლავის, **ფრენკ ლემპადისა** და **არიენ რობენის** საკითხი. რიიკაარდს "ბოკა ხუნიორსის" ახალგაზრდა თავდამსხმელი **როდრიგო პალასიო** და "სევილიის" ცენტრალური მცველი **დანიელ ალვეშიც** სურს.

სიახლეა ისიც, რომ კატალონიელებმა, შეიძლება, კიდევ ერთ ჩელსელს შესთავაზონ მაცდუნებელი წინადადება. საუბარია "არისტოკრატების" კაპიტან ჯონ ტერიზე. ლემპარდის დარად, ჩელსისთან ახალი კონტრაქტი არც მას გაუფორმებია. ლონდონელები ირწმუნებიან, რომ მოლაპარაკებების დაწყებას წინ არაფერი უდგას, მაგრამ მხარეები მაგიდას ჯერაც არ მისხდომიან. ინგლისური ტაბლოიდების ცნობით, ტერი კლუბის მოპყრობით უკმაყოფილოა. მან დაუფარავი იმედგაცრუება გამოხატა ჩელსის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის განცხადების გამო, რომელმაც კითხვაზე, თუ რამდენს გადაუხდიან კაპიტანს, მიუგო, მას შეუძლია, მშვიდად იყოს. ჯონი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მცველი გახდებაო. მოსალოდნელ ტრანსფერებზე ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.



ფრენკ ლემპარდი

### ფრედი სამ მატჩს გამოტოვებს

უეფამ "ლიონის" თავდამსხმელ **ფრედს** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. 6 მარტს, "ლიონი"-"რომას" განმეორებით მერვედფინალში მან **კრისტიან კივუს** იდაყვი უთავაზა. არბიტრმა ეს ეპიზოდი ვერ დაინახა. სამაგიეროდ, სადისციპლინო კომისიას სიმართლის დადგენაში ვიდეოჩანაწერი დაეხმარა. მოგეხსენებათ, "ლიონი" ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა. ეს ფრედის დანაშაულს ოდნავადაც ვერ ამსუბუქებს. ბრაზილიელი ლეგიონერი გამოტოვებს ნებისმიერ სამ შეხვედრას, რომელსაც ის ევროპულ სარბიელზე ჩაატარებს. 23 წლის თავდამსხმელს დისკვალიფიკაციის გასაჩივრება სამი დღის განმავლობაში შეუძლია.

### კორადი სიტის წინააღმდეგ

"მანჩესტერ სიტი" **ბერნარდო კორადის** ტრანსფერზე დააყენებს. იტალიელმა პრემიერლიგაში ვერაფრით გამოიჩინა თავი. ის გასულ ზაფხულს, "ვალენსიიდან" 2 მილიონ გირვანქად შეიძინეს. კორადიმ მხოლოდ სამი გოლი გაიტანა. ბერნარდოს თანაგუნდელებსა და მწვრთნელებთანაც გაუჭირდა ურთიერთობის დამყარება ორიოდე დღის წინათ ფორვარდმა გუნდის თავკაცი **სტიუარტ პირსი** და კაპიტანი **რიჩარდ დანი** საჯაროდ გააკრიტიკა: *"პირსი ნამდვილი ინგლისელი მწვრთნელია. მან არასოდეს იცის, როგორ ითამაშებს მოწინააღმდეგე, რადგან არასოდეს სწავლობს მის თამაშს. ინგლისელები კი ყველაფერს უცხოელ ფეხბურთელებს აბრალებენ. თასის მეოთხედფინალის წინა დღეს გაზეთში წავიკითხე, როგორ აკრიტიკებდა დანი ლეგიონერებს."*

### ჰეიტინგა 6 მილიონად

"ფიორენტინა" "აიაქსს" **ჯონი ჰეიტინგას** სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. ფლორენციელებს 23 წლის მცველის შეძენა იანვრის ტრანსფერების დროსაც სურდათ. მაშინდელი ფანჯარა ისე დაიხურა, რომ შეთანხმება ვერ მოესწრო. "იებს" უკან არ დაუხევიათ. მათი გენერალური მენეჯერი **პანტალეო კორვინო** ამ უქმეებზეც ამსტერდამში იმყოფება და ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავდა. ჰეიტინგას აგენტი ამბობს, რომ საკითხს ნათელი უახლოეს დღეებში მოეფინება.

### ვილა ხარჯს არ მოერიდება

"ასტონ ვილა" საზაფხულო ტრანსფერებში 30 მილიონ გირვანქას დახარჯავს. ამერიკელი მეპატრონე **რენდი ლერნერი** მთავარ მწვრთნელ **მარტინ ონილს** სრულ მხარდაჭერას უცხადებს და სოლიდურ ფინანსურ რესურსებს ჰპირდება. ონილის უმთავრესი სამიზნეა უელსელი თავდამსხმელი **კრეიგ ბელამი**. ირლანდიელი მწვრთნელი კიდევ ორ ფეხბურთელს აკვირდება - რედინგელ ნახევარმცველ **სტივ სიდველსა** და პრესტონელ ფორვარდ **დევიდ ნაჯენტს**, რომელიც, სხვათა შორის, ქვედა დივიზიონში ყოფნის მიუხედავად, ინგლისის ნაკრების კანდიდატად ითვლება.

## ინგლისი

### I ლიგა

LIX ტური

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-ტრანმერი | 2:0 |
| ბრედფორდი-ბლეკპული | 1:3 |
| ბრაიტონი-ჰადერსფილდი | 0:0 |
| კარლაილი-ჯილინგემი | 5:0 |
| ქრიუ-როტერემი | 1:0 |
| დონკასტერი-ბრისტოლი | 0:1 |
| ლეიტონი-სკანთორპი | 2:2 |
| ნოტინგემი-ჩელტენემი | 3:0 |
| პორტ ვეილი-მილუოლი | 2:0 |
| სუონსი-ნორთჰემპტონი | 2:1 |
| იეოვილი-ჩესტერფილდი | 1:0 |
| ბრენტფორდი-ოლდჰემი | 2:2 |

### II ლიგა

LIX ტური

| | |
|---|---|
| მენსფილდი-მაკლსფილდი | 1:2 |
| უიკომბი-ბოსტონი | 0:0 |
| აკრინგტონი-ჰერეფორდი | 2:0 |
| როვერსი-რექსემი | 0:1 |
| ბური-ნოტსი | 0:1 |
| ჩესტერი-ბარნეტი | 2:0 |
| გრიმსბი-პიტერბორო | 0:2 |
| შრუსბერი-ტორკი | 1:0 |
| სტოკპორტი-როჩდეილი | 2:7 |
| დარლინგტონი-ჰარტლპული | 0:3 |
| ლინკოლნი-სვინდონი | 2:3 |
| მილტონი-უოლსოლი | 1:1 |

### კონფერენცია

LIX ტური

| | |
|---|---|
| გრეივსენდი-ოლდერშოტი | 1:1 |
| რაშდენი-ქროული | 1:1 |
| ბარტონი-მორეკამბი | 2:1 |
| ექსეტერი-იორკი | 1:1 |
| სტ. ალბანსი-კიდერმინსტერი | 1:1 |
| სტეფორდი-გრეისი | 4:2 |
| სტივენეიჯი-ალტრინჩემი | 0:1 |
| უეიმაუთი-ტამუორთი | 3:1 |
| უოკინგი-საუთპორტი | 1:1 |
| ნორთვიჩი-კემბრიჯი | 0:4 |
| ოქსფორდი-დაგენჰემი | დღეს |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ვუპერტალი-ერფურტი | 3:1 |
| ვილჰელმსჰავენი-ჰამბურგი II | 3:3 |
| დორტმუნდი II-ფორტუნა | 1:0 |
| მაგდებურგი-დინამო (დ) | 1:0 |
| ლევერკუზენი II-სტ.პაული | 2:1 |
| ვერდერი II-ალენი | 0:2 |
| ლიუბეკი-ოსნაბრიუკი | 2:0 |
| ჰერტა II-გლადბახი II | 0:2 |
| უნიონი-კილი | გადაიდო |

### რეგიონალლიგა (სამ)

XXV ტური

| | |
|---|---|
| შტუტგარტი II-ჰოფენჰაიმი | 0:3 |
| კაიზერი II-ელვერსბერგი | 1:4 |
| ზიგენი-პირმაზენსი | 1:1 |
| ინგოლშტადტი-კასელი | 2:0 |
| ბაიერნი II-როიტლინგენი | 3:0 |
| დარმშტადტი-მიუნხენი II | 1:0 |
| ზაარბრიუკენი-შტ.კიკერსი | 3:3 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| პარტიკი-ეირდრი | 0:1 |
| ქუინი-კლაიდი | 0:0 |
| სტ. ჯონსტონი-დანდი | 2:0 |

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ფორფარი-მორტონი | 0:4 |
| სტრანრარი-კოუდენბიტი | 1:6 |

### III დივიზიონი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ელჯინი-არბროტი | 0:1 |
| დამბარტონი-ისტ ფაიფი | 0:2 |
| მონროუზი-ბერვიკი | 1:2 |

## მექსიკა

XII ტური

| | |
|---|---|
| კერეტარო-ტეკოსი | 2:2 |
| მონტერეი-სან ლუისი | 3:2 |
| ატლანტე-პუმასი | 1:1 |
| ნეკაქსა-ამერიკა | 1:2 |
| პაჩუკა-ატლასი | 4:2 |
| ტოლუკა-ხაგუარესი | გვ. დასრულდა |

## აფრიკის თასი

### შესარჩევი

| | |
|---|---|
| სენეგალი-ტანზანია | 4:0 |
| სეიშელი-ტუნისი | 0:3 |
| კამერუნი-ლიბერია | 3:1 |
| ჩადი-ს. აფრიკა | 0:3 |
| ტოგო-ს. ლეონე | 3:1 |
| გამბია-გვინეა | 0:2 |
| ნიგერია-უგანდა | 1:0 |
| ბურკინა ფასო-მოზამბიკი | 1:1 |
| ალჟირი-კაბო ვერდე | 2:0 |
| ბოტსვანა-ბურუნდი | 1:0 |
| კონგო-ზამბია | 0:0 |
| მავრიტანია-სუდანი | 1:2 |
| მადაგასკარი-კოტ დივუარი | 0:3 |
| ზიმბაბვე-მაროკო | 1:1 |
| კენია-სვაზილენდი | 2:0 |
| ლესოტო-ნიგერი | 3:1 |
| კდრ-ეთიოპია | გადაიდო |
| ლიბია-ნამიბია | 2:1 |

## იტალია

### სერია B

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-რიმინი | 0:0 |
| ჩეზენა-მანტოვა | 1:1 |
| კროტონე-ჯენოა | 0:3 |
| ლეჩე-არეცო | 1:0 |
| სპეცია-ბარი | 1:2 |
| ვერონა-ვიჩენცა | 2:1 |
| ბოლონია-ფროზინონე | 1:0 |
| პიაჩენცა-მოდენა | დღეს |

### სერია C1/A

XXVII ტური

| | |
|---|---|
| პრო სესტო-ივრეა | 3:1 |
| ჩიტადელა-პიზა | 0:1 |
| კრემონეზე-პავია | 1:1 |
| ლუკეზე-პადოვა | 0:1 |
| ნოვარა-ვენეცია | 1:1 |
| პისტოიეზე-მონცა | 0:0 |
| პრო პატრია-მასეზე | 2:1 |
| სანჯოვანეზე-პიციგეტონე | 3:0 |
| სასუოლო-გროსეტო | შეწყდა |

### სერია C1/B

XXVII ტური

| | |
|---|---|
| რავენა-ტერნანა | 1:0 |
| გალიპოლი-ანკონა | 0:2 |
| ჯულიანოვა-ტარანტო | 0:2 |
| მანფრედონია-ფოჯა | 1:1 |
| მარტინა-ლანჩანო | 0:0 |
| პერუჯა-იუვე სტაბია | 0:0 |
| სალერნიტანა-აველინო | 1:1 |
| სამბენედეტეზე-ტერამო | 2:0 |
| სან მარინო-კავეზე | 2:0 |

## ესპანეთი

### II დივიზიონი

XXX ტური

| | |
|---|---|
| ტენერიფე-ლას პალმასი | 3:1 |
| ერკულესი-სალამანკა | 2:0 |
| მურსია-სპორტინგი | 3:1 |
| კადისი-ალბასეტე | 1:2 |
| მალაგა-ხერესი | 1:0 |
| ალმერია-ნუმანსია | 3:0 |
| კასტელონი-ალავესი | 2:0 |
| პონფერადინა-ლორკა | 2:1 |
| რეალი B-ეხიდო | 4:1 |
| ვესინდარიო-სიუდადი | 0:1 |
| ელჩე-ვალიადოლიდი | 0:1 |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ცვოლე-კამბური | 2:0 |

## ბელგია

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| რასინგი-დესელი | 3:0 |
| ვიგორი-დენდერი | 3:2 |

## პორტუგალიის თასი

| | |
|---|---|
| ბრაგა-ვარზიმი | 2:0 |

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა

XXII ტური

| | |
|---|---|
| ბოლმსი-ვინტერტური | 0:4 |
| ქიასოსი-ლუგანო | 2:0 |

## პოლონეთი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ლეჩნა-კორონა | 3:4 |
| ვიძევი-კრაკოვია | 1:0 |
| გროცლინი-ლეხი | 2:1 |
| პოგონი-არკა | გადაიდო |

## არგენტინა

VII ტური

| | |
|---|---|
| ნუევა ჩიკაგო-ბელგრანო | 2:0 |
| რასინგი-არსენალი | 2:2 |
| ესტუდიანტესი-როსარიო | 3:0 |
| ველესი-კოლონი | 1:1 |
| ხიმნასია (ლ)-ბანფილდი | 0:1 |
| ლანუსი-არგ. ხუნიორსი | 2:1 |
| ნიუელსი-კილმესი | 2:2 |
| რივერი-ხიმნასია (ხ) | 0:1 |
| სან ლორენსო-ინდეპენდიენტე | 4:3 |
| გოდოი-ბოკა | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| რივერ პლეიტი-დეფენსორი | 2:3 |
| რენტისტასი-უონდერერსი | 1:4 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| სალვადორი-ჰონდურასი | 0:2 |
| კოსტა რიკა-ახ.ზელანდია | 4:0 |
| ჩინეთი-ავსტრალია | 0:2 |
| ტაივანი-უზბეკეთი | 0:1 |
| იაპონია-პერუ | 2:0 |
| კორეა-ურუგვაი | 0:2 |
| ვენესუელა-კუბა | 3:1 |
| ბრაზილია-ჩილე | 4:0 |
| კატარი-ირანი | 0:1 |
| მონტენეგრო-უნგრეთი | 2:1 |
| ავსტრია-განა | 1:1 |
| ჰაიტი-პანამა | 3:0 |
| ამერიკა-ეკვადორი | 3:1 |
| კოლუმბია-შვეიცარია | 3:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 15 რუსისთვის 8 ქართველიც კმარა



ზურაბ მჭედლიშვილი (ბურთით) დერეფანში

**ევროპის ერთა თასი**

24 მარტი, ბორის პაიჭაძე

**საქართველო-რუსეთი 31:12**

საქართველო: (15-9) ჯიმშელაძე, შკინინი, ურჯუკაშვილი, ი. გიორგაძე, ხამაშურიძე (ელიზბარაშვილი 67), კვირიკაშვილი (დ. კაჭარავა 58), აბუსერიძე (სამხარაძე 58); (1-8) ხინჩაგიშვილი, დადუნაშვილი (ბელქანია 67), კოპალიანი (გასვიანი 65), დათუნაშვილი (დიდებულიძე 24), მჭედლიშვილი, ჩხაიძე, ლაბაძე, უდესიანი (ი.მაისურაძე 62) - 4ლ *(ჩხაიძე, საჯარიმო, მჭედლიშვილი, ლაბაძე); 4გ,ს (ჯიმშელაძე)*

რუსეთი: (15-9) კლუჩნიკოვი (ოსტროუშკო 77), კუზინი, ბელოუსოვი, გალინოვსკი, გვოზდოვსკი, ი. კუშნარევი, შაკიროვი (იანუშკინი 74); (1-8) ხროკინი (სბ 63), მარჩენკო (ნაუმენკო 41), პრიშეპენკო (პოპოვი 41, გრესევი 76), ფატახოვი, გარბუზოვი, კ.კუშნარევი, გრაჩევი, პანასენკო - 4ს *(ი. კუშნარევი)*

მსაჯი: ფრანკ მასიელო (საფრანგეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +66 | 4 |
| 2. საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | +8 | 4 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +6 | 2 |
| 4. პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | +3 | 2 |
| 5. ესპანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | -50 | 2 |
| 6. ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -33 | 0 |

7 აპრილი. საქართველო-ჩეხეთი

*პირველი გვერდიდან*

სტუმართა გუნდი, შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გადახალისებული შემადგენლობით თამაშობდა. ამას, თავისი მიზეზი აქვს - რუსეთის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობაში მოსკოველების მოსვლით, სარაგბო ცენტრმა კრასნოიარსკიდან დედაქალაქში გადაინაცვლა, რაც ნაკრების შემადგენლობასაც ნათლად დაეტყო. 22 მორაგბიდან 12 მოსკოვის ოლქის, მონინოს ვვას მოთამაშეა.

რუსებმა სწორედ ამ შემადგენლობით სტუმრად სძლიეს ესპანეთის ნაკრებს, რომელმაც ჩვენს სათადარიგო გუნდს კუდით ქვა ასროლინა. ამით, ცხადია ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს, ბოლოს და ბოლოს საქართველოს ნაკრების ძლევის იმედიც მიეცათ. რის საფუძვლიანობასაც, ბორჯღალოსანთა ავანჩავანის ზედმიწევნით მცოდნის, **კლოდ სორელის** ნაკრების მწვრთნელად დანიშვნაც ამტკიცებდა.

ძნელი სათქმელია, ამიტომ იყო თუ არა, მაგრამ თამაში რუსებმა საკმაოდ აქტიურად დაიწყეს. საქართველოს ნაკრები კი პირველ და მეორე ხაზში ფაქტობრივად სათადარიგოებით თამაშობდა. ამიტომ, დანარჩენებთან შეთამაშებასა და ერთ გუნდად შეკვრისთვის დრო დაგვჭირდა. ამასობაში კი რუსების უკანახაზელებმა ხაზი ორჯერ გაგვიჭრეს და ანგარიშშიც დაწინაურდნენ.

პირველი საგანგაშო სიგნალი მე-6 წუთზე გაისმა. მეტოქემ ბურთი მოედნის ცენტრთან ჯერ მარცხნივ ჩაათამაშა, მერე მარჯვნივ - ამით ჩვენი გუნდის დაცვა გაწელეს და შეტევაში ჩართეს ფულბეკი **იგორ კლუჩნიკოვი**, რომელიც **მალხაზ ურჯუკაშვილს** გაექცა და შუამარბ **სერგეი ბელოუსოვს** გადააწოდა. საქართველოს ნაკრები ლელოსგან **გიორგი შკინინმა** იხსნა, თუმცა, ანგარიში მაინც რუსებმა გახსნეს. სამ წუთში ჩვენი კარის პირდაპირ ოფსაიდში ჩავრჩით და **იური კუშნარევმა** საჯარიმო ზუსტად დაარტყა - 3:0.

ბორჯღალოსნებმა ანგარიში სამ წუთში გაქვითეს. ამჯერად მოწინააღმდეგის ხაზი **მალხაზ ურჯუკაშვილმა** გაჭრა. ის მოწინააღმდეგემ შებოჭა და რაკში თამაშისას დაჯარიმდა. კაპიტანმა **პალიკო ჯიმშელაძემ** კარში დარტყმა ამჯობინა, 25 მეტრიდან ზუსტად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა - 3:3. სხვა რამ, აღწერის ღირსი, საქართველოს ნაკრებს ტაიმის ბოლომდე აღარ გაუკეთებია.

რუსეთის შერკინება, როგორც შეეძლო, წინააღმდეგობას გვიწევდა. დერეფანშიც არ გვიდებდა ტოლს, უკანა ხაზი კი ისევ საგრძნობლად აქტიურობდა. ამ უპირატესობის შედეგად, 23-ე და 35-ე წუთებზე კუშნარევმა კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა - 9:3, შუალედში, კი მოედნის კიდედან ერთიც არაზუსტად დაარტყა.

საქართველოს ნაკრებმა თამაშს მხოლოდ ამის შემდეგ უმატა. ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე, მარჯვენა ფრთაზე ჯარიმის დარტყმის უფლება მოვიპოვეთ. ამჯერად ბურთი აუტში გადავიტანეთ, მერე დერეფანი **გია ლაბაძემ** სუფთად მოიგო და მოლს მაინცდამაინც დიდი გარჯა არ დასჭირვებია ლელოში შესაღწევად. ლელოში ბურთით **გიორგი ჩხაიძე** შევიდა, პალიკომ ზუსტად გარდასახა და პირველად დავწინაურდით - 10:9.

ტაიმის დასასრულმაც შეტევაში მოგვისწრო. იმავე ფრთაზე შერკინებით ვუტევდით, რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ ბურთი ბრძოლისას რაკიდან გამოგორდა და ლაბაძე იძულებული გახდა, ფეხით აუტში დაერტყა. ტაიმიც აქ დასრულდა.

მეორე ნახევარში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. დასაწყისშივე აშკარად გამოჩნდა, რომ რუსების შერკინება ველარ გვიძლებდა. არადა, შესვენებაზე სორელმა ორი ახალი პირველხაზელი ჩართო თამაშში. ნელ-ნელა სტუმრების შერკინება მთლიანად დაიშალა, რაც უკანახაზელების თამაშსაც დაეტყო. მოპოვებული უპირატესობა ბორჯღალოსნებმა მალე ქულებშიც ასახეს.

47-ე წუთზე მარჯვენა ფრთაზე რუსებმა შეტევა წესის დარღვევით შეაჩერეს. **მერაბ კვირიკაშვილმა** ბურთი აუტში გადაიტანა. დერეფანი სუფთად მოვიგეთ და ისევ მოლით მივაწექით. რუსებმა ყველაფერი ილონეს ლელოსგან თავი რომ დაეხსნათ. მოლში თამაშგარიდან შესვლასაც არ თაკილობდნენ, რაც, ცხადია, არბიტრს არ გამოპარვია და რუსები კიდევ ერთხელ დააჯარიმა. ბორჯღალოსნებმა ლელოდან ხუთ მეტრში შერკინება მოითხოვეს. მიაწვნენ, შერკინებას რამდენიმე მეტრით უკან დაახევინეს. ის იყო, **ბესიკ უდესიანს** ბურთი ლელოში უნდა გადაედო, რომ თამაშგარიდან შებოჭეს. არბიტრმა საჯარიმო ლელო ჩაგვითვალა. ჯიმშელაძეს გარდასახვის გატანა არ გასჭირვებია - 17:9.

შვიდ წუთში კუშნარევმა საჯარიმოდან ანგარიშის შემცირება შეძლო 12:17. ცხადია, დაკარგული ჯერ არაფერი იყო. მაგრამ ათი წუთის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა რუსებს წარმატების მიღწევის ყოველგვარი შანსი გადაუწურა.

ჩვენებმა ხუთმეტრიანი ჯარიმის ნაცვლად შერკინება მოითხოვეს, მეტოქემ კი წინააღმდეგობა რომ ვერ გასწია, შერკინება რამდენჯერმე ჩააქცია. ამისათვის არბიტრმა ბურჯი **ალექსანდ ხროკინი** გააძევა ათი წუთით. რუსებს სათადარიგო პირველხაზელი აღარ ჰყავდათ და წესისამებრ, სიმბოლური შერკინება მოითხოვეს, სადაც მიწოლა აკრძალულია.

მაგრამ ჩვენებმა ჭკუით აჯობეს. 8 ნომერმა **ბესო უდესიანმა** შერკინებიდან ბურთი მყისვე გამოიტანა და იქვე თავისიანებს მოლი შეაკვრევინა. მოლმა მიმართულება რამდენჯერმე იცვალა. ბოლო მომენტში კი მეორეხაზელმა **ზურაბ მჭედლიშვილმა** იყოჩაღა ბურთი დაამიწა. ჯიმშელაძემ ისევ გარდასახა - 24:12.

თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე 12 ქულიანი უპირატესობა დიდი ძალა იყო. მით უფრო, რომ მოწინააღმდეგე კაცნაკლული თამაშობდა. ეს საქართველოს ნაკრებმა კარგად გამოიყენა და 69-ე წუთზე მორიგი ლელო გაიტანა. სიმბოლური შერკინება ამჯერად ცენტრთან ახლოს დაინიშნა. რვა ნომრის პოზიციაზე უკვე გიორგი ჩხაიძე იდგა. ჩხაიძემ სწრაფად გამოიტანა ბურთი, წინააღმდეგობის გარეშე თითქმის 20 მეტრი ირბინა და გადააწოდა მარცხნიდან მიმყოლ **გია ლაბაძეს**, რომელსაც ვერავინ დაეწია - ჯიმშელაძე ამჯერადაც ზუსტი იყო 31:12.

ანგარიში აღარ შეცვლილა, თუმცა ამის შესაძლებლობა ორივე გუნდს ჰქონდა. 74-ე წუთზე **ბიძინა სამხარაძემ** მეტოქის ხაზი გაჭრა და მარცხნივ გარემარბ **გიორგი შკინინს** გადააწოდა. შკინინს შეტევის გაგრძელების ორი ვარიანტი ჰქონდა, ან დაუცველი მარცხენა ფლანგისკენ უნდა განეგრძო, ანაც თანაგუნდელთან ჯვარედინი კომბინაცია გაეთამაშებინა. შკინინმა მესამე გზა არჩია - თვითონვე შეუტია და ორი მოწინააღმდეგის მარწუხებში მოექცა. შედეგად, მეტოქემ ბურთი ხელიდან გამოგლიჯა და საპასუხო კონტრშეტევა წამოიწყო საკუთარი ოცდაორიდან. ჩვენი გუნდის მარჯვენა ფრთა მთლიანად მოშიშვლებული იყო. რუსმა უკანახაზელებმა ორი გადაცემით ბურთი ყველაზე შორს, კიდესთან ახლოს მყოფ მეორეხაზელ **ანდრეი გარბუზოვს** გადააწოდეს, რომელმაც თითქმის 50 მეტრი ირბინა. ლელოსგან ამჯერად შეცვლაზე შემოსულმა **გიორგი ელიზბარაშვილმა** გვიხსნა, რომელმაც მიზნიდან სამ მეტრში წამოეწია მეტოქეს და კიდეზე გადაათრია.

თამაშის ბოლომდე აღარაფერი შეცვლილა. ასე და ამგვარად, რუსები კიდევ ერთხელ, მეცხრედ დავამარცხეთ!



კლოდ სორელი დავით დადუნაშვილს ულოცავს

მატჩის შემდეგ

## კატასტროფა მადრიდში, კატასტროფა თბილისში

**კლოდ სორელი, რუსეთი**

გულახდილად რომ ვთქვა, რუსეთის ნაკრებს სერიოზული პრობლემები აქვს. ძალიან მოიკოჭლებს მოთამაშეების ფიზიკური მომზადება, თამაშის ხარისხიც შესაბამისი დონისაა. ძალიან ბევრი სამუშაო მექნება. მთელი რუსეთის ტერიტორიაზე უნდა მოვიძიოთ ისეთი ბიჭები, რომლებიც სარაგბო სტანდარტებს დააკმაყოფილებენ. ჩვენ გაისადაც მოგვიწევს შეხვედრა და ვფიქრობ, სულ სხვა რუსეთის ნაკრებს ნახავთ. რუსული პრობლემები განსხვავდება იმ სიძნელეებისგან, რაც საქართველოში ჩემი ჩამოსვლისას იყო. აქ რაღაც ბაზა უკვე შექმნილი დამხვდა და ადგილობრივ მწვრთნელებთან დისკუსიის შემდეგ განვითარების ერთი გზა ავირჩიეთ. საქართველოს ნაკრები ახლა ისე კარგად თამაშობს, გარწმუნებთ, გული არაფერზე მწყდება.

**მალხაზ ჭეიშვილი, საქართველო**

ასეთი თავდადებული და მოტივირებული რუსეთის ნაკრები, როგორიც ის პირველ ტაიმში იყო, არასდროს მინახავს. ეს ალბათ მათი ახალი მწვრთნელის დამსახურებაა. ვფიქრობ, ის შეძლებს კიდევ უფრო გააუმჯობესოს მათი თამაშის ხარისხი.

მიუხედავად იმისა, რომ მოვიგეთ, ბევრი ხარვეზი გვქონდა, თუმცა, ხარისხი გაცილებით უკეთესი იყო ვიდრე ესპანეთში. მადრიდში კატასტროფა იყო. უკვე მეორე წელია, ვერაფერი მოვუხერხეთ ჩვენი უკანა ხაზის თამაშს. მართალი გითხრათ, ვერ ვხედავ გზას, როგორ შეიძლება ამ პრობლემას ეშველოს. ამ კონკრეტულ თამაშში კი მთავარი მოგება იყო და ტრადიცია არ დავარღვიეთ.

მსოფლიო თასი. რეპეშაჟი

## მივულოცოთ პორტუგალიას!

**24 მარტი. მონტევიდეო**

**ურუგვაი-პორტუგალია 18:12**

პირველი მატჩი 5:12

პორტუგალიის ნაკრებმა, ორი მატჩის ჯამში, მინიმალური სხვაობით შეძლო ურუგვაის ეროვნული ნაკრების დამარცხება და მსოფლიო თასის საგზური მოიპოვა. პირველი შეხვედრა ლისაბონში პორტუგალიამ 7 ქულის სხვაობით მოიგო და საპასუხო მატჩში დადებითი სხვაობა შეინარჩუნა. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ - 6:0, თუმცა ტაიმი ფრედ 6:6 დასრულდა, 50-ე წუთისთვის კი პირტუგალია დაწინაურდა - 12:11. ოთხივე საჯარიმო **დუარტე პინტუს** ანგარიშზეა. ურუგვაიმ 64-ე წუთზე ლელო გაიტანა და 18:12 დაწინაურდა. დარჩენილ 16 წუთში პორტუგალიელებმა თავგანწირვით იბრძოლეს და სასურველი სხვაობის შენარჩუნება შეძლეს. აღსანიშნავია, რომ ურუგვაი თითქმის მთელი თამაში 14 კაცით იყო - უკვე მეორე წუთზე მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა მეორეხაზელ **ხუან-კარლოს ბადოს**.

ამრიგად, მსოფლიო თასის 20-ვე მონაწილე ცნობილია, პორტუგალია კი 24-ე ქვეყანაა, რომელსაც მსოფლიო თასზე ოდესმე უთამაშია.

**A ჯგუფი: ინგლისი, სამხრეთი აფრიკა, სამოა, აშშ, ტონგა; B ჯგუფი: ავსტრალია, უელსი, ფიჯი, კანადა, იაპონია; C ჯგუფი: ზელანდია, შოტლანდია, იტალია, რუმინეთი, პორტუგალია; D ჯგუფი: საფრანგეთი, ირლანდია, არგენტინა, საქართველო, ნამიბია.**



პორტუგალია მსოფლიო თასზე ითამაშებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს XVI ჩემპიონატი. XVIII ტური

# შიო, ლექსო, ჯორდანი...

**25 მარტი. ვერა**

**ავიამშენი-სტუ 112:87**

26:21, 25:25, 26:25, 35:16

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (11 ქ. 6 პ), ბაბიაშვილი (31 ქ. 12 მ), ხოშტარია (14 ქ. : მ. 5 პ), ნიკოლაძე (12 ქ. 3 პ), ი. ბერიშვილი (15 ქ. 6 პ. 5 ჩ), ლოსაბერიძე (12 ქ), ნინიაშვილი (5 ქ), კეიდია (5 ქ), როდუმტა (3 ქ. 8 მ), სუხიშვილი (4 ქ), მოსეშვილი

სტუ: ბერაია (17 ქ. 5 მ. 3 პ), კოხრეიძე (14 ქ. 8 მ. 4 პ. 6 შ), მაისურაძე (16 ქ. 3 პ), დევიძე (3 ქ), ახალკაცი (14 ქ. 6 მ. 5 ფ), ბარბაქაძე (23 ქ. 4 პ), ეძგვერაძე

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**თსუ-დინამო 90:72**

26:21, 23:13, 18:19, 23:19

თსუ: არწივიძე (5 ქ), ბ. ბერიშვილი (5 პ), ფანჩულიძე (6 ქ), ლეჟავა (8 ქ. 4 პ), მარხვაშვილი (6 ქ), ვეფხვაძე (5 ქ. 5 მ), შანიძე (7 ქ. 5 მ), მათიაშვილი (14 ქ. 16 მ), ხეცურიანი (17 ქ. 5 პ), იმნაძე (18 ქ), ტყეშელაშვილი (4 ქ), სოხაძე

დინამო: გულისაბედაშვილი (21 ქ. 5 პ), ბადრიძე, ლაფანაშვილი (10 ქ. 5 მ), სიგუა (2 ქ. 6 მ), მურჯიკნელი (1 ქ), გვიმრაძე (26 ქ. 10 მ. 3 პ), ფაიქრიძე, ნ. ნოზაძე (12 ქ. 4 პ. 3 ჩ), კოლუაშვილი

მსაჯები: ხ. გაბედავა, დ. ბერეკაშვილი

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 18 | 17 | 1 | 35 |
| 2. ავიამშენი | 18 | 14 | 4 | 32 |
| 3. თსუ | 18 | 12 | 6 | 30 |
| 4. დინამო | 18 | 5 | 13 | 23 |
| 5. მაკაბი | 18 | 3 | 15 | 21 |
| 6. სტუ | 18 | 3 | 15 | 21 |

მომდევნო ტური. 30 მარტი: აზოტი-თბილავიამშენი; 31 მარტი: დინამო-სტუ, მაკაბი-თსუ

**შაბათი დღე მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენებით იყო დატვირთული - ჯერ ჩვენმა მორაგბეებმა რუსებს აჯობეს, შემდეგ ფეხბურთელებმა შოტლანდიასთან დათმეს. ჰოდა, ასეთი ამბების გამო კალათბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა გადაწყვიტა მე-18 ტურის შაბათიდან კვირას გადაიტანა. სწორადაც მოიქცა და მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენები ერთმანეთს აღარ დაემთხვა.**

ტურის პირველ მატჩში "აზოტმა" "მაკაბი" რომ გაანადგურა, უკვე იცით. დღეს ლიდერ-აუტსაიდერთა კიდევ ორ დაპირისპირებაზე შევჩერდებით. შეხვედრაში ქულათა სხვაობის მიხედვით შედარებით საინტერესო "ავიამშენი"-სტუ-ს დაპირისპირება იყო.

**ლევან მოსეშვილმა** სასტარტო ხუთეულში სერიოზული ცვლილებები შეიტანა - მოედანზე სათადარიგოები **ლაშა ლოსაბერიძე** და **თორნიკე ნინიაშვილი** გამოიყვანა. მათ **ხოშტარია-ბაბიაშვილი-ბერიშვილის** დახმარებით სტუ-ს თავიდანვე თავ-გზა აუბნიეს - 22:7 დაწინაურდნენ. ახალგაზრდა ტექნიკოსების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაშინ, როცა "ავიამ" "თავი ქუდში" დაიგულა, მათ ძალა მოიკრიბეს და მესამე პერიოდის სირენამდე 7 წუთით ადრე ტაბლო ლამაზად ანათებდა 77:77. ამ შემთხვევაში გასაგები იყო, რომ ერთი 77 სტუ-ს ეკუთვნოდა, ხოლო მეორე - "ავიამშენს". ხოლო, როცა ერთმა მათგანმა 18:0 სპურტი მოაწყო და 99:79 დაწინაურდა, ტაბლოს მიხედვით გუნდების ვინაობის გაგება შეუძლებელი იყო, რადგან დასახელებების ადგილები ჩამქრალი იყო და მხოლოდ ანგარიში ჩანდა.

ჩვენი მკითხველი კი მიხვდებოდა, რომ ბოლო პერიოდში წინ "ავიამშენი" გაიჭრებოდა, რადგან მასში ბევრი გამოცდილი კალათბურთელი თამაშობს. მათგან საუკეთესო ზვიად ბაბიაშვილი იყო, რომელმაც 31 ქულა, 12 მოხსნა, 2-2 პასი-ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

"ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ გაიწიე, გადაღებაში ხელს მიშლი!" - "დინამო"-თსუ-ს მატჩისას ერთ-ერთმა ფოტორეპორტიორმა არბიტრ **ხათუნა გაბედავას** სთხოვა.

რადგან ხელის შეშლა ვახსენეთ, დავძენთ, რომ დინამოელებმა სტუდენტებს ფარქვეშ ხელი ვერაფერში შეუშალეს: თსუ-მ 26 ორქულიანი ჩააგდო ("დინამომ" - 15), სხვაობა მოხსნებშიც სოლიდურია - 50:31 თსუ-ს სასარგებლოდ.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თსუ-დინამო. მიხეილ ფანჩულიძის შედეგიანი შეტევა

მატჩის ბედი მეორე პერიოდში გადაწყდა, როცა "დინამო" 23-ზე "გაიყინა", ხოლო სტუდენტთაგან ჯერ **არწივიძემ** ჩააგდო სამქულიანი, რასაც **მათიაშვილმა** და **ფანჩულიძემ** ჩატენვები მიაყოლეს - 41:23.

სწორედ ამ დროს დაასკვნა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა - "დინამო" 23-ზე ისე "გაიჭედა", რომ 23 ნომრით მაიკლ ჯორდანის გამოსვლის მეტი ველარაფერი უშველისო. გუშინ მფრინავი მაიკლი ვერის ბაღში არ მისულა, შესაბამისად "დინამომაც" 72:90 წააგო.

**ტურის მოთამაშე შიო ხეცურიანი** გახდა, რომელმაც ერთი ხმით გადაასწრო წინა შეხვედრის საუკეთესო ზვიად ბაბიაშვილს. შიოს სრული სტატისტიკა ასე გამოიყურება: 27 წუთი, 17 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი, 3 ფოლი, 3 შეცდომა.

**ტურის ფრაზა** "ავია"-სტუ-ს მატჩში მოვისმინეთ: შეგირდებზე გაბრაზებულმა ლევან მოსეშვილმა უიმედოდ ჩაილაპარაკა: *"ბაბიაშვილს ხომ სძინავს და სძინავს, კეიდია კი მოედანზე ლექსებს წერს"...*

**ვაჟა სიმონიშვილი**

## რევიშვილიც ჩაერთო

**ცურვა.** მელბურნში საწყლოსნო სახეობებში მსოფლიოს მე-12 ჩემპიონატზე წყალმხტომელებმა ასპარეზობა დაასრულეს. ცურვის ტურნირში უკვე ჩაება **ირაკლი რევიშვილი**, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის **ზაზა რევიშვილის** ვაჟი. მან 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის კვალიფიკაციაში იასპარეზა. ირაკლიმ დისტანცია 4 წუთსა და 05:14 წამში დაფარა და 76 მონაწილეს შორის 48-ე ადგილი დაიკავა (გამარჯვებულს 19 წამით ჩამორჩა).

## ნახევარფინალი იმყოფინა

**ჩოგბურთი.** 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი), ეგვიპტის ქალაქ სუეცში ნახევარფინალურ ეტაპზე დაასრულა. ქართველმა ჩოგბურთელმა ზედიზედ შვიდი მატჩის მოგების შემდეგ, მე-5 ნომრად განთესილ ჰოლანდიელ **მიშელ ხერარდსთან** (525) წააგო - 3:6, 1:6. ურეიტინგო სპორტსმენისთვის ჯერჯერობით ესეც მიღწევაა, მით უფრო, რომ ოქსანა დიდების ტურნირებში, ფაქტობრივად, ახალბედაა. **ლაზარე კუხალაშვილმა** ახალგაზრდულ ასპარეზზე, A კატეგორიის ტურნირში "კოპა ჟერდაუზე" წყვილთა თანრიგის (ბელარუს **ვლადიმირ იგნატიჩთან** დუეტში) მეოთხედფინალში წააგო.

## თავართქილაძე ლიდერობს

**ავტოსპორტი.** კვირას, რუსთავის ავტოდრომზე წრიულ რბოლაში საქართველოს ჩემპიონატის I ეტაპი გაიმართა. ორი 6-წრიანი შეჯიბრის შემდეგ საუკეთესო ექვსეული ასეთია:

1. **ოთარ თავართქილაძე** (ჰონდა სივიკი), 2. **მამუკა მელაძე** (სიტროენ საქსო), 3. **დავით ნიკლაური** (ჰონდა სივიკი), 4. **დავით ქაჯაია** (ჰონდა CRX), 5. **გიორგი ოგბაიძე** (ჰონდა სივიკი), 6. **ლადო კუხიანიძე** (ჰონდა სივიკი)

სამთო-ჩქაროსნული ორი ეტაპისა და ერთი წრიული რბოლის გათვალისწინებით, აბსოლუტურ ჩათვლაში ლიდერობს ოთარ თავართქილაძე (ჰონდა სივიკი). წრიული რბოლის მე-2 ეტაპი გაიმართება 22 აპრილს, რუსთავის ავტოდრომზე.

ქართველები NBA-ში

# გმირობა როის დაუთმო

"ჰოქსი"-"პორტლენდის" მატჩში საინტერესო იყო ძირითადი დროის უკანასკნელი წამები. სირენამდე 22 წამით ადრე ატლანტელმა **ჯოშ სმიტმა** სამქულიანით თანაგუნდელები დააწინაურა (88:85).

*"დარჩენილ დროში საჭირო იყო დაცვაში მჭიდროდ თამაში, გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით, რეზერვში კიდევ ერთი ფოლი გვქონდა, მაგრამ გამოუცდელობის გამო ეს უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ - სირენამდე 17 წამით ადრე ბრენდონ როის სამქულიანის ჩაგდების უფლება მივეცით".* - იხსენებს "ატლანტის მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი**.

17 წამში "ჰოქსის" კალათბურთელებმა კომბინაცია დაატრიალეს და სასროლ პოზიციაზე **ზაზა ფაჩულია** დატოვეს. მატჩის დასრულებამდე წამით ადრე ჩვენიანს შეხვედრის გმირად გახდომის საშუალება მიეცა, მაგრამ საშუალო დისტანციიდან ნატყორცნმა მიზანს ვერ მიაღწია და მატჩი ოვერტაიმში გადავიდა.

დამატებით დროში ქართველმა ცენტრმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და შეხვედრა 11 ქულით დაასრულა. არადა, მეორე ჯარიმაც რომ ჩაეგდო, გუნდურ რეკორდს დაამყარებდა - მანამდე ატლანტელებს ჩვიდმეტივე საჯარიმო ზუსტად ჰქონდათ ნატყორცნი. ბოლო სიტყვა ოვერტაიმში როიმ თქვა: 1+1 და 102:100 "პორტლენდის" სასარგებლოდ.

**ატლანტა-პორტლენდი 100:102 ო.ტ.**

20:15, 27:25, 17:26, 21:19, 15:17

**ატლანტა:** ჩილდრესი (53 წთ. 22 ქ. 12 მ. 6 პ. 5 ჩ), ჯოშ სმიტი (43 წთ. 17 ქ. 11 მ. 5 პ. 5 დ), **ზაზა ფაჩულია (32 წუთი, 11 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 4 შეცდომა, 5 ფოლი)**, ე. ჯონსონი (44 წთ. 7 ქ. 10 პ. 4 მ), მ. უილიამსი (17 წთ. 2 ქ. 2 მ. 1 პ) - ს. სტაუდმაიერი (33 წთ. 37 ქ. 2 მ), ლიუ (13 წთ. 2 ქ. 1 პ), აივი (4 წთ. 2 ქ. 2 პ. 1 მ), ს. ჯოუნსი (4 წთ. უქულოდ, 4 მ. 1 პ. 5 დ), შ. უილიამსი (5 წთ. უქულოდ, 2 მ).

**პორტლენდი:** ლ. ოლდრიჯი (48 წთ. 27 ქ. 14 მ. 3 დ. 2 ჩ), როი (39 წთ. 23 ქ. 9 მ. 5 პ. 2 ჩ), ჯეკი (39 წთ. 18 ქ. 7 პ. 4 მ), მაგლოირი (39 წთ. 9 ქ. 16 მ. 3 დ. 1 პ. 1 ჩ), უდოკა (25 წთ. 2 ქ. 4 მ. 2 პ) – უებსტერი (29 წთ. 8 ქ. 4 მ. 2 პ. 2 ჩ), დიკაუ (5 წთ. 7 ქ. 1 პ), ტ. აუთლოუ (18 წთ. 6 ქ. 1 მ), ფ. ჯოუნსი (14 წთ. 2 ქ. 1 პ), ს. როდრიგესი (6 წთ. უქულოდ, 1 მ. 1 პ).

**I მეოთხედი**

11:27 ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (2:0)
09:58 ორქულიანი: მაგლოირმა დაუფარა
08:15 ჩაჭრა: 1 (მაგლოირს ჩაუჭრა)
06:43 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
05:20 მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1)
04:26 მოხსნა: 2 (შეტ: 0, დაც: 2)
04:26 ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა

**II მეოთხედი**

09:43 ფაჩულიამ ს. ჯოუნსი შეცვალა
09:13 ფოლი: 1 (მაგლოირზე დაჯარიმდა)
08:45 ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (33:19)
08:13 შეცდომა: 1 (3 წამის წესი დაარღვია)
07:16 ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (35:23)
06:32 ორქულიანი ტყორცნა: 8 ქ (37:25)
06:09 ფოლი: 2 (შეტევაში)
06:09 შეცდომა: 2 (ფოლი შეტევაში)
05:47 ფაჩულია მ. უილიამსმა შეცვალა

**III მეოთხედი**

12:00 ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა
10:21 მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2)
10:14 ფოლი: 3 (როიზე დაჯარიმდა)
09:35 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
09:04 ორქულიანი ტყორცნა: 10 ქ (51:42)
07:24 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
07:00 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
06:26 ორქულიანი: მაგლოირმა დაუფარა
05:37 შეცდომა: 3 (3 წამის წესი დაარღვია)
04:22 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
04:22 მოხსნა: 4 (შეტ: 2, დაც: 2)
04:19 ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა

**IV მეოთხედი**

08:19 ფაჩულიამ მ. უილიამსი შეცვალა
07:50 ფოლი: 4 (როიზე დაჯარიმდა)
06:45 პასი: 1 (ს. სტაუდმაიერი, 2 ქ. 76:75)
06:05 შეცდომა: 4 (როიმ ჩაუჭრა)
00:01 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი

**ოვერტაიმი**

01:55 ფაჩულიაზე ოლდრიჯი დაჯარიმდა
01:55 საჯარიმოები: 2/1 (11 ქ. 92:94)
00:31 მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3)
00:07 ფოლი: 5 (ჯეკზე დაჯარიმდა)

# მორიგი ორმაგი დუბლი

წუხელ ზაზა ფაჩულიამ მორიგი ორმაგი დუბლი შეასრულა, თანაც ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტ "დალასთან" მატჩში. მატჩი ჯორჯიის დედაქალაქში მასპინძელთათვის კატასტროფულად დაიწყო - "დალასმა" პირველი მეოთხედი 20 ქულის სხვაობით მოიგო. თუმცა ამის შემდეგ ქართველი ცენტრის, **ჯოშ სმიტისა** და **ჯოშ ჩილდრესის** მონდომებამ შედეგი გამოიღო და "ატლანტამ" მეტოქეს თამაში გაუთანაბრა. საბოლოოდ სტუმრებმა მაინც შეძლეს გამარჯვება - 104:97. ზაზა ფაჩულიამ 30 წუთში 14 ქულა, 13 მოხსნა, ერთი პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა.



ზაზა ფაჩულია პორტლენდთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი

# ბრავო, ბაადურ!



საქართველოს ჩემპიონი ბაადურ ჯობავა — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**საქართველოს 66-ე ჩემპიონატი დასრულდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმო ბაადურ ჯობავამ, თუმცა შაბათს, ბოლოსწინა ტურში, მოვლენები ისე განვითარდა, ინტრიგამ ერთი-ათად იმატა.**

ჯობავა თეთრებით ხვდებოდა უახლოეს მდევარ **დავით არუთინიანს** - მათ შორის განსხვავება ქულანახევარი იყო და ყაიმიც კი ჯობავასთვის ჩემპიონობის განაღდებას ნიშნავდა. ნებისმიერი დიდოსტატი მსგავს სიტუაციაში ფრთხილ თამაშს არჩევდა, ზედმეტად არ გარისკავდა და თეთრი ფერის უპირატესობას იმისათვის გამოიყენებდა, სასურველი შედეგი მიეღო. ბაადური კი ასე არ მოიქცა და თითქოს უკანდასახევი გზა არ ჰქონოდა, ჯიქურ მიუხტა არუთინიანს. თავის მხრივ, ყაიმი ალბათ არუთინიანსაც აწყობდა - ბოლო ტურის წინ მეორე ადგილზე გასვლის შესანიშნავი შანსი უჩნდებოდა.

აღმოჩნდა, რომ ბაადურმა მოუმზადებლად ცადა შეტევა და უარესი პოზიცია მიიღო. ცოტა ხანში ფიგურაც დაკარგა და, ფაქტობრივად, პარტიის გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდა. ენდშპილში ჯობავას ლაზიერი და სამი პაიკი დარჩა, არუთინიანს კი ეტლი, მხედარი, კუ და სამი პაიკი. მატერიალურად შავები სჯობდნენ თეთრებს და სწრაფად უნდა მოეგოთ, მაგრამ დავითს მცირე ნერვიულობა დაეტყო და მთლად ზუსტი სვლები ვერ გააკეთა, რითაც ისარგებლა მეტოქემ და ყაიმის შანსები გაიჩინა. ჯობავას სწორედ აქ უმტყუნა ნერვებმა - წაგებული პარტიის გადარჩენის შანსი რომ მიიღო, ანერვიულდა, ემოციები ვერ მოთოკა და შეცდომა დაუშვა. საბოლოოდ მარცხი და არუთინიანი ნახევარ ქულამდე მიუახლოვდა ჯობავას.

ამის შემდეგ ყველაზე საინტერესო ფაქტი **პარმენ გელაზონია-მერაბ გაგუნაშვილის** პარტიაში მოხდა. გელაზონიას აქამდე ყველა პარტია წაეგო და ალბათ, ბევრი ერთ-ერთ ფავორიტთანაც მარცხსაც უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა და პარმენმა ანგარიში "გახსნა". სხვათა შორის, მისმა ნახევარმა ქულამ ყველაზე მეტად **გაიოზ ნიგალიძე** გაახარა - ვინმეს უქულოდ რომ დაესრულებინა ჩემპიონატი, ნიგალიძეს საერთაშორისო ოსტატის ნორმა არ ჩაეთვლებოდა...

ბოლო ტურმა საჩემპიონო ინტრიგა ძალიან მალე დააცხრო. მიზეზი ბაადურ ჯობავას გამარჯვება გახდა - მან შავებით გაგუნაშვილს აჯობა და უპირობოდ გახდა ჩემპიონი. **არუთინიან-მჭედლიშვილის** შეხვედრაში ძალიან მწვავე პოზიცია მივიღეთ, სადაც ორივე მხარეს ჰქონდა შანსები, მაგრამ მათ აღარ გარისკეს და მშვიდად გაყრა ამჯობინეს. ყაიმმა არუთინიანი მდევართაგან მიუწვდომელი გახადა და მეორე ადგილზე გავიდა.

გასარკვევი მხოლოდ მესამე ადგილის მფლობელი - **ლევან ფანცულაიას** 7 ქულა მოეგროვებინა და გიორგაძე-გელაზონიას პარტის დასრულებას ელოდა, - თუკი **გია გიორგაძე** იმარჯვებდა, ფანცულაიას ქულებით უთანაბრდებოდა და მათ შორის დამატებითი მატჩი უნდა შემდგარიყო.

შეხვედრამ დიდხანს გასტანა და, მართალია, გელაზონიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია გიორგაძეს, მაგრამ მაინც დამარცხდა. დამატებითი მატჩი დღეს გაიმართება. მეტოქენი ორჯერ შეხვდებიანნ 25 წუთიან პარტიებში, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით. თუკი ფრე დაფიქსირდა, დაინიშნება ორი ბლიც-პარტია, ყოველ სვლაზე 2 წამის დამატებით. თუკი გამარჯვებული ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა, მაშინ მატჩის ბედი ერთ კონკრეტულ პარტიაში გადაწყდება, სადაც თეთრებით მოთამაშეს 6 წუთი მიეცემა, შავებით მოთამაშეს კი - 5. ყაიმის შემთხვევაში მოგება შავებს მიენიჭებათ.

**ზვიად შათირიშვილი**

**მეათე ტური:** ლევან ფანცულაია (2611) - გაიოზ ნიგალიძე (2224) 1:0; შოთა აზალაძე (2332) - თამაზ გელაშვილი (2612) 0:1; ლევან აროშიძე (2531) - გია გიორგაძე (2610) 0,5:0,5; პარმენ გელაზონია (2268) - მერაბ გაგუნაშვილი (2611) 0,5:0,5; ბაადურ ჯობავა (2650) - დავით არუთინიანი (2552) 0:1; მიხეილ მჭედლიშვილი (2583) - გიორგი ყაჭეიშვილი (2587) 1:0

**ბოლო ტური:** გიორგი ყაჭეიშვილი (2587) - ლევან ფანცულაია (2611) 0,5:0,5; გაიოზ ნიგალიძე (2224) - შოთა აზალაძე (2332) 0,5:0,5; თამაზ გელაშვილი (2612) - ლევან აროშიძე (2531) 1:0; გია გიორგაძე (26100 - პარმენ გელაზონია (2268) 1:0; მერაბ გაგუნაშვილი (2611) - ბაადურ ჯობავა (2650) 0:1; დავით არუთინიანი (2552) - მიხეილ მჭედლიშვილი (2583) 0,5:0,5

| | |
|---|---|
| 1. ბაადურ ჯობავა | - 8.5 |
| 2. დავით არუთინიანი | - 7.5 |
| 3-4. გია გიორგაძე | - 7.0 |
| 3-4. ლევან ფანცულაია | - 7.0 |
| 5-6. მიხეილ მჭედლიშვილი | - 6.5 |
| 5-6. თამაზ გელაშვილი | - 6.5 |
| 7. მერაბ გაგუნაშვილი | - 6.0 |
| 8. გაიოზ ნიგალიძე | - 5.0 |
| 9-10. გიორგი ყაჭეიშვილი | - 4.5 |
| 9-10. ლევან აროშიძე | - 4.0 |
| 11. შოთა აზალაძე | - 2.5 |
| 12. პარმენ გელაზონია | - 0.5 |



ვიცე-ჩემპიონი დავით არუთინიანი

## ფიგურული ციგურაობა

მსოფლიო ჩემპიონატი

# დაივიწყეთ ეს სეზონი!



რაც უფრო მალე დაივიწყებს **ელენე გედევანიშვილი** პოლიტიკური ვითარების გამო ჩაგდებულ სეზონს, უკეთესი იქნება. 17 წლის ქართველმა მოციგურავემ იაპონიაში მსოფლიო ჩემპიონატზე მეჩვიდმეტე ადგილით დაასრულა ასპარეზობა. მოკლე პროგრამაზე ჩავარდნის შემდეგ (რაც უმთავრესად წაქცევის ბრალია) ელენემ თავისუფალ პროგრამაში უარესად იასპარეზა, დავარდნით კი შაბათსაც დავარდა. გედევანიშვილმა თავისუფალში 90,43 ქულა მოიპოვა, რაც მეჩვიდმეტე შედეგი იყო. ჯამში ქართველს 144,40 ბალი დაუგროვდა (ასევე მე-17 შედეგი). შეგახსენებთ, რომ მისი საუკეთესო მაჩვენებელი თავისუფალ პროგრამაში 93,56 ბალია, ზუსტად ამდენი ქულა მიიღო მან ტურინის ოლიმპიადაზე. შდეგების მიხედვით რეგრესი აწკარაა - შარშან ევროპის ჩემპიონატზე ელენე მეხუთე იყო (წლეულს - მერვე), მსოფლიოზე კი - მეთოთხმეტე.

ტოკიოში ქალთა შეჯიბრება მასპინძელთა ტრიუმფით დასრულდა - 195 ქულით იმარჯვა 19 წლის **მიკი ანდომ**, რომელიც ტურინის ოლიმპიადაზე ელენეს ბევრად ჩამორჩა (მე-15 იყო). ფიგურული ციგურაობის ევროპულმა სკოლამ კი სრული კრახი განიცადა, კონტინენტის ჩემპიონი **კაროლინა კოსტნერი** მხოლოდ მეექვსე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | |
|---|---|
| 1. მიკი ანდო (იაპონია) | 195,09 |
| 2. მაო ასადა (იაპონია) | 194,45 |
| 3. იუ-ნა კიმი (კორეა) | 186,14 |
| 4. კიმი მაისნერი (აშშ) | 180,23 |
| 5. იუკარი ნაკანო (იაპონია) | 168,92 |
| 6. კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 168,92 |
| 7. სარა მაიერი (შვეიცარია) | 160,80 |
| 8. სუსანა პოიკიო (ფინეთი) | 160,12 |
| 9. ემილი ჰიუზი (აშშ) | 159,06 |
| 10. ჟანი როშე (კანადა) | 158,98 |
| 11. ვალენტინა მარკეი (იტალია) | 153,60 |
| 12. იულია შებეშტიენი (უნგრეთი) | 153,50 |
| 13. ელენა სოკოლოვა (რუსეთი) | 149,77 |
| 14. კიირა კორპი (ფინეთი) | 149,47 |
| 15. ალისა შჩისნი (აშშ) | 147,74 |
| 16. არინა მარტინოვა (რუსეთი) | 145,28 |
| **17. ელენე გედევანიშვილი (საქარ.)** | **144,40** |
| 18. ელენა გლებოვა (ესტონეთი) | 131,18 |
| 19. ანასტ. გიმაზეტდინოვა (უზბ.) | 130,44 |
| 20. ჯოან კარტერი (ავსტრალია) | 127,17 |

## სუმო

# რეკორდი გაიმეორა

**ლევან ცაგურიამ (კოკაი)** მესამედ შეძლო ბაშოზე 10 მოგების დაგროვება. პირველად მან ეს 2004 წლის მაისში შეძლო, შემდეგ კი - 2006 წლის ივლისში. ასე რომ, 25 აპრილს ახალ რეიტინგში აღმოსავლეთის მეშვიდე მაეგაშირა კოკაი გაცილებით წინ წავა. ბოლოსწინა დღეს კოკაიმ პირადი რეკორდი (10-5) **კაკურიუს** წინააღმდეგ, ოშიდაშით გაიმეორა, თუმცა ბოლო დღეს გამოცდილ **ვაკანოსატოსთან** წააგო.

ბაშო კი სენსაციურად დასრულდა, იმპერატორის თასი 22 წლის მონღოლმა **ჰაკუჰომ** მოიგო, მან და ასაშორიუმ 13-13 მოგება დააგროვეს, მონღოლთა ფლეი-ოფში კი ჰაკუჰომ იმარჯვა. **ჰომაშომ, ტოჩიოძანმა** და **ვაკანოსატომ** 11 მოგება დააგროვეს, კოკაიმ, კოტომიცუკიმ და **ტამანოშიმამ** - 10-10. მაკუშიტას დივიზიონი რანგით **35-ე გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** 3-4 ბალანსით დაასრულა ბაშო, რანგით 41-ე ტოჩინოშინმა **(ლევან გორგაძე)** კი - 5-2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
11-25 მარტი, ოსაკა (იაპონია)

XIV დღე: კოკაი - კაკურიუ 1:0 (ოშიდაში, 2,6 წამი), ასაშორიუ - ჰაკუჰო 1:0, კაიო - ტაკეკაძე 1:0, კოტოოშუ - ჩიოტაიკაი 1:0, კოტოშოგიკუ - ტამაკასუგა 1:0, კოტომიცუკი - ტოჩიოძანი 1:0, კისენოსატო - ტოკიტენკუ 1:0, ჰომაშო - ამა 1:0, კაკიძოე - ტოიონოშიმა 1:0, დეჯიმა - ასასეკირიუ 1:0, კასუგანიშიკი - კიოკუტენჰო 1:0, ფუტენო - კასუგაო 1:0, ვაკანოსატო - ტაკამისაკარი 1:0, ტამანოშიმა - როჰო 1:0, ტოკიცუუმი - ტოჩინონადა 1:0.

XV დღე: კოკაი - ვაკანოსატო 0:1 (ჰატაკიკომი, 2,5 წამი), ასაშორიუ - ჩიოტაიკაი 1:0, ჰაკუჰო - კოტოოშუ 1:0, კაიო - ამა 1:0, კოტომიცუკი - კისენოსატო 1:0, კოტოშოგიკუ - დეჯიმა 1:0, ჰომაშო - ტოკიტენკუ 1:0, ტოიონოშიმა - როჰო 1:0, კიოკუტენჰო - ფუტენო 1:0, ტაკეკაძე - ასასეკირიუ 1:0, კასუგაო - უშიომარუ 1:0, ტოჩიოძანი - ტაკამისაკარი 1:0, შიმოტორი - კაკიძოე 1:0, ამინიშიკი - ტამანოშიმა 1:0.

ფლეი-ოფი: ჰაკუჰო - ასაშორიუ 1:0 (ჰატაკიკომი)

**საბოლოო მდგომარეობა**

13-2: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (ოძეკი).
11-4: ჰომაშო (მაეგაშირა 5), ტოჩიოძანი (მ 14), ვაკანოსატო (მ 16).
10-5: კოტომიცუკი (სეკივაკე), კოკაი (მ 7), ტამანოშიმა (მ 8).
9-6: ამინიშიკი (მ 9), კაკურიუ (მ 11), შიმოტორი (მ 15).
8-7: კოტოოშუ (ოძეკი), კაიო (ოძეკი), ტოჩიაძუმა (ოძეკი), ამა (კომუსუბი), ტოიონოშიმა (მ 1), კაკიძოე (მ 6), ტოკიცუუმი (მ 10), ტოჩინოჰანა (მ 15).

იმპერატორის თასი: ჰაკუჰო (მეორედ)
ბრწყინვალე ასპარეზობა: არავის
მებრძოლი სული: ტოჩიოძანი (პირველად)
ტექნიკური რიკიში: ჰომაშო (მეორედ)
ძურიოს ჩემპიონი: სატოიამა (პირველად)

## თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიო თასი

# კეტოევი ქეთიშვილია

სამწუხაროდ, ვერ ვივარგეთ კრასნოიარსკში გუშინ დამთავრებულ მსოფლიო თასზე, სადაც საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა.

როგორც შაბათს ვწერდით, წილისყრამ არ გაგვიმართლა და ჯგუფში მეტოქეებად უკრაინელები და ტურნირის უმთავრესი ფავორიტი მასპინძლები გვარგუნა. ამით ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ბრინჯაოსთვის თუ ვიბრძოლებდით, თორემ რუსები შინ არავის არაფერს დაუთმობდნენ. ჩვენდა სამწუხაროდ, რუსეთის ნაკრებმა 7:0 გაგვანადგურა - **გოჩა კირკიტაძე** (55) ჯამალ ოთარსულთანოვთან დამარცხდა, **ლევან ჩაბრაძე** (60) - მევლატ ბატიროვთან, **ოთარ თუშიშვილი** (66) - შამილ ბატიროვთან, **დავით ახალმოსულიშვილი** (74) - დენის ცარგუშთან, **რევაზ მინდორაშვილი** (84) - გიორგი კეტოევთან, **ლუკა კურტანიძე** (96) - ჰაჯიმურატ გაცალოვთან, **დავით მოძმანაშვილი** (მძიმე) - ალექსეი შემაროვთან.

მოგვიანებით რუსებმა უკრაინელებსაც ასევე 7:0 სძლიეს და ფინალში გავიდნენ, მანამ კი უკრაინელებს ჩვენებმა მოუგეს - 4:3. თავიდან ამ შეხვედრასაც ვაგებდით - 2:3, მაგრამ კურტანიძემ და მოძმანაშვილმა ბოლო ორი შეხვედრა მოიგეს. ამით ჩვენებ ჯგუფში მეორეზე გავიდნენ და მესამე ადგილისთავს უზბეკებს დაეჭიდნენ.

სამწუხაროდ, ამ ბრძოლაზე დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით, თუმცა რუსული წყაროების მიხედვით ის კი დავადგინეთ, რომ თავიდან 1:3 ვაგებდით, მერე მინდორაშვილმა და კურტანიძემ ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ ამჯერად მოძმანაშვილმა ვერ ივარგა და ჩვენები 3:4 დამარცხდნენ. არადა, უზბეკებმა მძიმეში მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ არტურ ტაიმაზოვის ნაცვლად ვინმე ოლეგ კალაგოვი აჭიდავეს.

მეორე ჯგუფში ირანელებმა იყოჩაღეს - ჯერ პოლიტიკურად შეფერილ შეხვედრაში აშშ-ს 6:1 მოუგეს, მერე უზბეკებს 5:2 სძლიეს და ფინალში გავიდნენ. ცხადია, გადამწყვეტი შეხვედრა რუსებმა მოიგეს - 5:2 და 1992 წლის შემდეგ პირველად მოიპოვეს მსოფლიო თასი.

რუსი ჟურნალისტები ტურნირის შემდეგ ლუკა კურტანიძეს გაესაუბრნენ. მან აღნიშნა, რომ მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად 14 კილოგრამი დაიკლო, რამაც მის სპორტულ ფორმაზე უარყოფითად იმოქმედა და ფორმაში არაა. აქედან გამომდინარე, კმაყოფილია უკრაინელთან გამარჯვებით, გაცალოვთთან მარცხს კი ტრაგედიად არ მიიჩნევს. მით უფრო, ფიცხელ ბრძოლაში წააგო.

იქვე კურტანიძემ ის ამბავიც გაამხილა, რომელიც მხოლოდ ეჭვად ვიცით, რადგან ნაკრების თავკაცი **ზაზა თურმანიძე** ამაზე ღიად არ საუბრობს: *„ჩვენ გადავწყვიტეთ, მსოფლიო თასზე მე მეჭიდავა, ხოლო გიორგი გოგშელიძე სოფიაში, ევროპის ჩემპიონატზე გამოსულიყო"*. - განაცხადა კურტანიძემ. ანუ, გადაწვეტილია, რომ ევროპას გოგშელიძე იჭიდავებს. კურტანიძემ გორელ ფალვანთან კონკურენციაზეც საინტერესო მოსაზრება გამოთქვა: **„გოგშელიძესთან ტაშკენტში, „ოქროს დიდ პრიზზე წავაგე, მაგრამ ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, ვინაა უძლიერესი ჩვენ შორის. მსოფლიომდე კიდევ ერთ ტურნირში გამოვალთ და იქ გაირკვევა, ვინ დაიცავს საქართველოს ღირსებას მსოფლიო ჩემპიონატზე"**.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ რუსეთის ნაკრების წევრი **გიორგი კეტოევი** (84) დაასახელეს. სინამდვილეში კეტოევი ქეთიშვილია და რუსეთში რამდენიმე წლის წინ გადავიდა. მისი ძმა, **ლერი ქეთიშვილი** საქართველოს წლევანდელი ჩემპიონია იმავე წონაში.

**ირაკლი თავაძე**

## თარიღი

**25 მარტი, 1962 - დაიბადა ემზარ გელაშვილი. ველოსპორტი, სპრინტი. მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1982), მსოფლიო უნივერსიადისა (1983) და ევროპის თასის გათამაშების (1982) მეორე პრიზიორი, სსრკ ჩემპიონი (1980), ოთხგზის მეორე და ოთხგზის მესამე პრიზიორი (1979-84), მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი იუნიორებში (1980), სსრკ ორგზის ჩემპიონი იუნიორებში (1979, 80). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.**



ტაე ჰვან პარკი ცურვაში მეორე აზიელი მსოფლიო ჩემპიონია

მსოფლიოს ჩემპიონატი

# კორეული სენსაცია

მელბურნში მიმდინარე, სპორტის საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატი ყველაზე საინტერესო ფაზაში შევიდა - საქმეში აუზის მოცურავეები ჩაერთვნენ, რომლებიც მელბურნის საჩოგბურთო კომპლექსის **როდ ლეივერის** სახელობის არენაზე მოწყობილი აუზი მასპინძლობს.

აუზის პირველ დღეს მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა. მოულოდნელი შედეგით დასრულდა კაცების 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა, რომელშიც ფავორიტი, ავსტრალიელი **გრანტ ჰეკეტი** მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა, გამარჯვება კი კორეელმა **ტაე ჰვან პარკმა** მოიპოვა.

ჩემპიონატის დაწყებამდე, 17 წლის პარკი თავადვე ამბობდა, არა მგონია, მსოფლიოს პირველი კორეელი ჩემპიონი მე გავხდეო. არ ეგონა, მაგრამ გახდა. ეგ კი არა, ის სულ მეორე აზიელი მოცურავეა, ვინც ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. შეგახსენებთ, რომ პირველი იაპონელი **კოსუკე კიტაჟიმაა** (მან ოთხი წლის წინათ, ბარსელონაში, ოქროს მედლები 100 და 200 მეტრზე ბრასში მოიპოვა).

*"არ მეგონა, თუ აქ ოქროს მედლის მოპოვებას შევძლებდი. ტაბლოს რომ გავხედე, თვალებს არ დავუჯერე. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს მირაჟი არ იყო. ეს ნამდვილი სასწაულია, მე პირველი კორეელი ვარ, ვინც მსოფლიოს ჩემპიონი ცურვაში გახდა"*, - განაცხადა პარკმა, ვინც ბავშვობაში ცურვაზე ვარჯიში მას შემდეგ დაიწყო, რაც ექიმმა ასთმის დიაგნოზი დაუსვა და სწორედ ცურვაზე სიარული ურჩია.

პარკი საერთაშორისო არენაზე შარშან გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც კანადაში ჩატარებულ წყნარი ოკეანეთის (პანპასიფიკი) ჩემპიონატზე ოქროს ორი მედალი მოიპოვა, შემდეგ კი, აზიის თამაშებზე შვიდი მედალი აიღო.

პარკმა დისტანციის დიდი ნაწილი (350 მეტრი) თავისი ტიტულოვანი მეტოქის, ავსტრალიელი **გრანტ ჰეკეტისა** და ტუნისელი **უსამა მელულის** უკან დაფარა. მაგრამ ბოლო მონაკვეთზე ისეთი მალალი ტემპი განავითარა, ორივე უკან მოიტოვა და ფინიშის დაფასაც პირველი შეეხო. ამგვარად, პატარა ბიჭმა წერტილი დაუსვა ამ დისტანციაზე ოზი მოცურავეების 13-წლიან ჰეგემონიას.

პარკმა განაცხადა, რომ ის საშუალო და გრძელ დისტანციებზე ის უფრო მეტის მიღწევას ეცდება. კერძოდ, ჰეკეტს მეტოქეობას გაუწევს 1500 მეტრზე და იასპარეზებს 200 მეტრზე თავისუფალ სტილში. უფრო მეტიც, კორეელი იმედოვნებს, რომ მელბურნში მიღწეულს მერმის პეკინის ოლიმპიადაზეც გაიმეორებს.

იმავე დისტანციაზე, ქალების ფინალში ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, ფრანგ **ლორ მანოდუს**. ოცი წლის მოცურავემ სტარტიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგით შეინარჩუნა ორი წლის წინათ, მონრეალში მოპოვებული ტიტული.

*"აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ ტიტული შემენარჩუნებინა. ამ დისტანციაზე გამარჯვება ძალიან ძნელია, რადგან თითქმის ყველა მეტოქე ძალიან სწრაფად ცურავს. ჩემთვის ადვილია, როცა სტარტზევე წინ გავდივარ და მერე დანარჩენებს ჩემი დევნა უწევთ. ძალიან მინდოდა, ფინალი მსოფლიო რეკორდით მომეგო, მაგრამ ამჯერად არ გამომივიდა. ეგ არაფერი, ამას პეკინშიც ვეცდები და ვიმედოვნებ, რომ მიზანს მივაღწევ"*, - განაცხადა მანოდუმ, ვინც შარშან, ბუდაპეშტში, ევროპის ჩემპიონატზე დაამყარა მსოფლიოს რეკორდი (4 წუთი და 02.13 წამი), ახლა კი იმაზე ოცნებობს, რომ დისტანცია ოთხ წუთზე ნაკლებში გაცუროს.

სხვათა შორის, დისტანციის პირველი 300 მეტრი მანოდუმ რეკორდზე უკეთესი გრაფიკით გაცურა, მაგრამ ბოლო ას მეტრზე ძალა გამოელია და რეკორდს ველარ შესწვდა. თუმცაღა, იმდენი კი შეძლო, რომ ახლოს არ გაიკარა მეორეზე გასული პოლონელი **ოტილია იედრჟეიჩაკი** (ოლიმპიური ჩემპიონი 200 მეტრზე ბატერფლაიში) და იაპონელი **აი შიბატა**.

სხვათა შორის, მანოდუმ ჩემპიონატზე განაცხადი 9 დისციპლინაზე შეიტანა, მაგრამ პირველივე დღეს უარი თქვა 200 მეტრზე ინდივიდუალური, შერეული სტილით ცურვის ჰიტებში მონაწილეობაზე, რათა ძალა მთავარი ფინალისთვის შემოენახა.

კაცების 4x100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტა ამერიკის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდიც დაამყარეს. ამერიკელებს ოდენ 0.26 წამი დააკლდათ მათ მიერვე შარშან, კანადაში დამყარებულ მსოფლიო რეკორდამდე. თავისი გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა **მაიკლ ფელპსმა**, ვინც მელბურნში რვა ოქროსთვის აპირებს ბრძოლას. ამერიკელთაგან წყალში პირველი სწორედ ფელპსი ჩახტა, რომელმაც თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ბევრად განაპირობა თავისი კვარტეტის ტრიუმფი.

ქალების ანალოგიურ ესტაფეტაში კი ყველაზე სწრაფები ავსტრალიელები იყვენ. არადა, ბოლო მუხლის წინ, ლიდერობა ამერიკელების ხელში იყო. მერე **ამანდა უეირმა** ესტაფეტა **კარალინ ჯონსს** გადასცა, რომელსაც ფინიშამდე ათი მეტრით ადრე, ავსტრალიელთა მელუზე **ჯოდი ჰენრიმ** გაასწრო. ამერიკელებისა არ იყოს, ავსტრალიელებსაც სულ 0.26 წამი დააკლდათ მსოფლიო რეკორდამდე, რომელიც შარშან, ევროპის ჩემპიონატზე გერმანელებმა დაამყარეს.

გერმანიის კვარტეტი უმთავრეს ფავორიტად იყო მიჩნეული. მათმა ლიდერმა, მსოფლიო რეკორდსმენმა **ბრიტა შტეფენმა** ბოლო მუხლზე შესანიშნავი შედეგი (52.65 წამი) დააფიქსირა, მაგრამ ამის მიუხედაად, გერმანია მაინც კვარცხლბეკს მიღმა დარჩა.

ღია წყალში ორი რბოლა ჩატარდა 25-კილომეტრიან დისტანციაზე. კაცებში ყველაზე სწრაფი რუსი **იური კუდინოვი** იყო, რომელმაც თითქმის ორი წუთით აჯობა მეორეზე გასულ იტალიელ **მარკო ფორმენტინის**, ქალებში კი ბადალი არ ჰყავდა გერმანელ **ბრიტა კამრაუ-კორეშტაინს**, ვინც ორ წუთზე მეტით აჯობა უახლოეს მდევარს ამერიკიდან, **კეილინ კელერს**.

სინქრონულ ცურვაში რუსებმა მეექვსე ოქრო მოიპოვეს. ამჯერად მათ გუნდური თავისუფალი პროგრამა მოიგეს. გარდა ამისა, რუსებმა კიდევ ერთი ოქრო აიღეს წყალში ხტომებში, სადაც მანამდე ყველა ოქროს ჩინელები ისაკუთრებდნენ. თავი გამოიჩინა **გლებ გალპერინმა**, ვისაც ბადალი არ ჰყავდათ ათმეტრიანი კოშკიდან ხტომაში.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მელბურნი (ავსტრალია). როდ ლეივერის არენა

**კაცები**

400 მეტრი თავისუფალით

**1. ტაე ჰვან პარკი (კორეა) 3:44.30; 2. უსამა მელული (ტუნისი) 3:45.12; 3. გრანტ ჰეკეტი (ავსტრალია) 3:45.43...**

4X100 მეტრზე ესტაფეტა თავისუფალით

**1. აშშ (ნილ უოკერი, კალენ ჯონსი, ჯეისონ ლეჟაკი და მაიკლ ფელპსი) 3:12.72 ჩემპიონატების რეკორდი; 2. იტალია 3:14.04; 3. საფრანგეთი 3:14.68...**

**ქალები**

400 მეტრი თავისუფალით

**1. ლორ მანოდუ (საფრანგეთი) 4.02.61; 2. ოტილია იედრჟეიჩაკი (პოლონეთი) 4.04.23; 3. აი შიბატა (იაპონია) 4.04.23...**

4X100 მეტრზე ესტაფეტა თავისუფალით

**1. ავსტრალია (ლიბი ლენტონი, იელანი შლანგერი, შეინი რიზი და ჯოდი ჰენრი) 3.35.48; 2. აშშ 3.35.68; 3. ჰოლანდია 3.36.81; 4. გერმანია 3.36.94...**

ღია წყალი

**კაცები 25 კმ**

1. იური კუდინოვი (რუსეთი) 5:16:45.55; 2. მარკო ფორმენტინი (იტალია) 5:18:36.80; 3. მოჰამედ ზანატი (ეგვიპტე) 5:19:23.23...

**ქალები 25 კმ**

1. ბრიტა კამრაუ-კორეშტაინი (გერმანია) 5:37:11.66; 2. კეილინ კელერი (აშშ) 5:39:39.62; 3. კსენია პოპოვა (რუსეთი) 5:39:51.51...

## ჩოგბურთი

### ტურნირები

**ATP**

**სონი ერიქსონის ღია**

მაიამი (აშშ). 19 მარტი-1 აპრილი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 3 450 000 დოლარი

**I წრე**

**არნო კლემანი (საფ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:4, 6:1; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-ანდრეას სეპი (იტა) 7:5, 7:5; **გასტონ გაუდიო (არგ)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 7:5, 1:6, 6:3; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-სერხიო როიტმანი (არგ) 4:6, 6:3, 6:1; **ფაბრის სანტორო (საფ)**-კრისტოფ როხუსი (ბელ) 5:7, 7:5, 6:2; **ფილიპო ვოლანდრი (იტა)**-ნიკოლას მაუ (საფ) 6:3 მაუს უარი.

**II წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-რიკარდო მელო (ბრა) 7:6 (7), 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 3)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:3, 6:2; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 5)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 7:5, 6:3; **ფლორან სერა (საფ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 8) 7:6 (8), 2:6, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 10)**-დანიელე ბრაჩიალი (იტა) 7:6 (4), 6:4; **ენდი მარეი (ბრიტ, 12)**-პოლ გოლდსტეინი (აშშ) 6:2, 7:6 (4); **დავიდ ფერერი (ესპ, 13)**-ხუან მონაკო (არგ) 6:2, 6:2; **მიხაილ იუჟნი (რუს, 16)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 3:6, 6:3, 6:3; **ხუან მანუელ დელ პოტრო (არგ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 17) 6:2, 5:7, 6:0; **სიმონე ბოლელი (იტა)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 21) 6:7 (0), 6:3, 6:4; **მიკაელ ლოდრა (საფ)**-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ, 22) 6:3, 6:2; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-მარატ საფინი (რუს, 25) 7:5, 7:6 (2); **პოლ-ანრი მატიო (საფ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 26) 6:0, 7:5; **ოლივიე როხუსი (ბელ, 30)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 6:3, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ, 32)**-ლუის ორნა (პერ) 6:3, 7:6 (4); **რობერტ კენდრიკი (აშშ)**-რაიმონ სლუიტერი (ჰოლ) 6:4, 6:4; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 7)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:3, 6:2; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-ტომი ჰაასი (გერ, 9) 6:4, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 11)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:3, 6:4; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 14)**-არნო კლემანი (საფ) 6:4, 6:1; **რიშარ გასკე (საფ, 15)**-სებასტიან გროსჟანი (საფ) 6:4, 0:6, 6:2; **იარკო ნიემინენი (ფინ, 20)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:0, 6:0; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 23)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:2, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-სემ კერი (აშშ) 6:4, 6:3; **გილერმო კანიასი (არგ)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 19) 6:7 (5), 6:3, 7:5; დანარჩენი მატჩები წვიმის გამო გადაიდო.

**WTA**

**სონი ერიქსონის ღია**

მაიამი (აშშ). 21 მარტი-1 აპრილი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 3 450 000 დოლარი

**I წრე**

**კატალინა კასტანიო (კოლ)**-იარმილა გაიდოშოვა (სერ) 6:3, 7:5; **ვერა დუშევინა (რუს)**-ნიკოლ პრატი (ავსტრია) 6:3, 3:6, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:0, 6:4; **იულია ვაკულენკო (უკრ)**-ელენი დანილიდუ (საბ) 6:4, 6:3.

**II წრე**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 2)**-ვანია კინგი (აშშ) 6:4, 6:1; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 4)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 4:6, 6:0, 6:0; **ნადია პეტროვა (რუს, 6)**-ნატალი დეში (საფ) 6:4, 3:6, 7:6 (2); **ელენა იანკოვიჩი (სერ, 7)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:2, 6:4; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 9)**-ვასილისა ბარდინა (რუს) 6:1, 6:0; **დინარა საფინა (რუს, 10)**-ლაურა გრენვილი (აშშ) 6:1, 6:1; **ნა ლი (ჩინ, 15)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:2, 6:0; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 16)**-მიშელ ლარშერ დე ბრიტუ (პორ) 7:5, 6:0; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 17)**-ტატიანა პუჩეკი (ავსტრია) 6:1, 7:6 (8); **ვერა ზვონარევა (რუს, 18)**-მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 6:2; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 20)**-ალინა ჟიდკოვა (რუს) 6:4, 6:3; **აი სუგიამა (იაპ, 22)**-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 6:4, 6:0; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 25)**-ოლგა პუჩკოვა (რუს) 6:2, 6:2; **ეკატერინა ბიჩკოვა (რუს)**-სევერინ ბრემონი (30, საფ) 6:4, 7:5; **ვირჟინ რაზანო (საფ)**-მარტინა მიულერი (გერ, 31) 6:4, 7:6 (2); **მარა სატანჯელო (იტა, 32)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3, 6:1; **მარია შარაპოვა (რუს, 1)**-იუნ-იან ჩანი (ტაივ) 6:3, 6:2; **მარტინა ჰინგისი (შვეიც, 5)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:3, 6:2; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 8)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 4:6, 7:5, 6:2; **კაია კანეპი (ესტ)**-პატი შნიდერი (შვეიც, 11) 6:1, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ, 13)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:3, 6:3; **შაარ პეერი (ისრ, 14)**-კატალინა კასტანიო (კოლ) 6:2, 6:1; **იულია ვაკულენკო (უკრ)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 19) 3:6, 7:6 (0), 6:4; **ვერა დუშევინა (რუს)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 21) 7:6 (5), 2:6, 6:4; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 23)**-ემილი ლუა (საფ) 6:0, 7:5; **ტატიანა გარბინი (იტა, 24)**-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:3, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 26) 6:4, 7:5; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-ჟიე ჟენგი (ჩინ, 27) 6:3, 6:4; **ელენა კოსტანიჩ ტოშიჩი (ხორ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 28) 6:3, 7:5; **ვინუს უილიამსი (აშშ)**-მარია კირილენკო (რუს, 29) 6:3, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 7:6, 6:7, 6:3

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**23 მარტი**

**ედმონტონი-კოლორადო 4:3 (ბ)**

0:1, 2:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 რიჩარდსონი-12 (ლაპერიერი-20, არნასონი-29), 0:2 საკიკი-32 (ჰეიდუკი-31, ბრუნეტი-49), 1:2 ჰემსკი-10 (ტორესენი-12, ჯ. სმიტი-8), 2:2 სიკორა-21 (ჰორკოფი-32, როლოსონი-2), 2:3 სვატოსი-15 (არნასონი-30, მაკლინი-18), 3:3 ლუპული-16 (გილბერტი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** რისონერი (ედმონტონი).

**ანაჰაიმი-დალასი 3:2 (ო)**

1:1, 0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 კუნიტცი-24 (ე. მაკდონალდი-48, პერი-23), 1:1 ზუბოვი-11, 1:2 მოდანო-19 (მიეტინენი-11, ნადი-39), 2:2 კუნიტცი-25 (პერი-24, ს. ნიდერმაიერი-51), 3:2 ს. ნიდერმაიერი-13 (ბოშემენი-13, გეტცლაფი-28).

**ჩიკაგო-ლოს ანჯელესი 1:2**

0:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ო'სალივანი-5 (კამალერი-41), 1:1 შარპი-18, 1:2 ვივერი-3 (ფროლოვი-35, ო'სალივანი-12).

**ბაფალო-ტორონტო 5:4**

1:1, 0:1, 4:2

**გოლები:** 1:0 ვანეკი-36 (კალინინი-19, პომინვილი-29), 1:1 მაკეიბი-12 (ტ. კაბერლე-41, სუნდინი-41), 1:2 სტაიანი-10 (სტინი-19, კოლაიაკოვო-8), 1:3 დევერო-5 (სტაიანი-26), 1:4 დევერო-6, 2:4 ვანეკი-37 (დ. რუა-38, პომინვილი-30), 3:4 ბრიერი-31 (ბ. კემპბელი-41, დრური-27), 4:4 პომინვილი-32 (ბრიერი-58, ჰეხტი-34), 5:4 სტეფორდი-12 (ვანეკი-37, დ. რუა-39).

**24 მარტი**

**ბოსტონი-რეინჯერსი 1:2 (ბ)**

0:0, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 სავარი-22 (დონოვანი-10), 1:1 პოკი-2 (იაგრი-61, ნიულანდერი-52).

**ბულიტები გაიტანეს:** ნიულანდერი (რეინჯერსი), პ. ბერჟერონი (ბოსტონი), იაგრი (რეინჯერსი).

**ფილადელფია-აილენდერსი 3:4**

1:1, 2:2, 0:1

**გოლები:** 0:1 პარკი-7 (ვიქ. კოზლოვი-25), 1:1 ჯ. კარტერი-11 (განიე-20, აპშოლი-6), 2:1 რ. ჯონსი-4 (განიე-21, ჯ. კარტერი-21), 2:2 რ. რობიტაილი-11 (იაშინი-28, დიპიეტრო-2), 3:2 იგერი-4 (ჯ. კარტერი-22, გოტიე-4), 3:3 ჯ. ბლეიკი-37 (ვიქ. კოზლოვი-26, რ. სმიტი-31), 3:4 ჰილბერტი-8 (მ-ა. ბერჟერონი-28).

**პიტსბურგი-ატლანტა 2:1**

1:0, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ულეტი-17 (გ. რობერტსი-20, მალკინი-48), 1:1 მელანბი-12 (დე ვრისი-21), 2:1 ჯ. სტაალი-29 (მელოუნი-13, მელიხარი-10).

**დეტროიტი-სენტ ლუისი 2:3 (ბ)**

0:2, 1:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 მოიზისი-1 (მაკლემანი-23, ბეკსი-10), 0:2 ბოიესი-17 (სტემპნიაკი-23, ბრიუერი-22), 1:2 ჰუდლერი-15 (სამუელსონი-15, კლირი-17), 2:2 ფილპულა-10 (შნაიდერი-39).

**ბულიტები გაიტანეს:** უეიტი (სტ. ლუისი).

**ტორონტო-ბაფალო 4:1**

1:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ტაკერი-23 (უელვუდი-25, მაკეიბი-40), 1:1 ჰეხტი-17 (მაკარტური-4, მეირი-8), 2:1 ტაკერი-24 (უელვუდი-26, ანტროპოვი-13), 3:1 კოლაიაკოვო-6 (დევერო-9, სტაიანი-27), 4:1 ანტროპოვი-17 (მაკეიბი-41, პონიკაროვსკი-23).

**მონრეალი-ვაშინგტონი 4:1**

1:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 კ. კლარკი-29 (სიომინ-33, პოტიე-24), 1:1 კოვალიოვი-15 (ლაპიერი-5), 2:1 კოვალიოვი-16 (ს. კოივუ-44, სურეი-36), 3:1 პლეკანეცი-19 (კასტსიცინი-9, ბუიონი-10), 4:1 რაიდერი-25 (დანდენო-6).

**მინესოტა-ლოს ანჯელესი 4:1**

2:0, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ბერნსი-6 (ვეილო-10, მ. კოივუ-32), 2:0 როლსტონი-31 (ფოსტერი-18, გაბორიკი-22), 2:1 დ. ბრაუნი-15 (კოპტარი-39, კამალერი-42), 3:1 ბუშარი-19 (უაიტი-29), 4:1 მ. კოივუ-19 (როლსტონი-31, უაიტი-30).

**კაროლინა-სან ხოსე 6:4**

3:0, 1:1, 2:3

**გოლები:** 1:0 რეი უიტნი-29, 2:0 ე. კოული-27 (ტანაბე-12, ფ. კაბერლე-4), 3:0 ლედი-10 (უესლი-12, ს. უოკერი-27), 3:1 გერინი-35 (მარლო-41, მ. კარლი-29), 4:1 ე. სტაალი-28 (კომოდორი-21, სტილმანი-18), 4:2 ჩიჩუ-31 (რივე-14, ჯ. ტორნტონი-83), 4:3 ბერნიე-14 (გრირი-13), 5:3 ლედი-11 (ს. უოკერი-28, ვაშიჩეკი-16), 5:4 ჯ. ტორნტონი-21 (მარლო-42, რივე-15), 6:4 სტილმანი-5 (ს. უოკერი-29).

**ტამპა ბეი-ოტავა 2:7**

1:2, 1:2, 0:3

**გოლები:** 0:1 კორვო-8 (კ. კელი-23, კ. ნილი-15), 1:1 ბოილი-17 (პროსპალი-39, ლეკავალიე-50), 1:2 ალფრედსონი-27 (ჰიტლი-51, სპეცა-48), 2:2 ბოილი-18 (ლეკავალიე-51, სენტ ლუისი-56), 2:3 ჰიტლი-44 (კორვო-25, პრისინგი-30), 2:4 შუბერტი-7 (ივსი-18, მაკამონდი-15), 2:5 ივსი-13 (შუბერტი-14, პრისინგი-31), 2:6 მაკამონდი-13 (შუბერტი-15, კორვო-26), 2:7 ჰიტლი-45 (ალფრედსონი-54, სპეცა-49).

**ფლორიდა-ნიუ ჯერსი 3:4 (ბ)**

1:0, 1:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ო. იოკინენი-36 (ვან რინი-21), 2:0 უეისი-19, 2:1 კლერკსონი-2 (რაფალსკი-40, გომესი-46), 2:2 დაუდი-2 (პარიზე-27, ზაიაცი-22), 3:2 პელტონენი-16 (გრეტონი-20, ვან რინი-22), 3:3 დაუდი-3 (რაფალსკი-41, ბროდო-1).

**ბულიტები გაიტანეს:** პელტონენი (ფლორიდა), პარიზე (ნიუ ჯერსი), ზაიაცი (ნიუ ჯერსი).

**ედმონტონი-ნეშვილი 0:4**

0:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 რადულოვი-15 (ფორსბერგი-38, ფიდლერი-12), 0:2 შ. უებერი-16 (ფორსბერგი-39, კ.ტიმონენი-41), 0:3 სატერი-8 (ლეგვანდი-35, სმიტსონი-7), 0:4 ფიდლერი-11 (ჟიდლიცკი-26, რადულოვი-18).

**ფინიქსი-დალასი 3:4 (ბ)**

1:0, 2:0, 0:3, 0:0

**გოლები:** 1:0 კარჩილო-3 (რაინპრეხტი-20, ბალარდი-18), 2:0 ტიარნკვისტი-6 (მ. ჯონსი-5), 3:0 ზიგომანისი-13 (კ. ადამსი-9, დ. მოირსი-15), 3:1 მოროუ-12 (რიბეირო-35, ლ. ერიქსონი-11), 3:2 მიეტინენი-11 (მოროუ-12, რიბეირო-36), 3:3 ლ. ერიქსონი-5 (რიბეირო-37, მოროუ-13).

**ბულიტები გაიტანეს:** ი. ლეჰინენი (დალასი).

# კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 23 მარტი

**ს. ანტონიო-დეტროიტი 90:89**

27:16, 18:31, 26:14, 19:28

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (22 ქ. 7 პ. 2 ჩ), დანკანი (17 ქ. 14 მ), ბ. ბერი (16 ქ. 2 ჩ), ჯინობილი (10 ქ. 4 მ), ელსონი (9 ქ. 10 მ).

**დეტროიტი:** რ. უოლასი (21 ქ. 7 მ. 2 დ), მაკდაიესი (18 ქ. 11 მ. 3 დ), რ. ჰამილტონი (16 ქ), ბილაპსი (13 ქ), პრინსი (12 ქ. 9 მ).

**ტორონტო-დენვერი 121:94**

36:15, 36:28, 23:21, 26:30

**ტორონტო:** პიტერსონი (23 ქ), გარბახოსა (22 ქ. 9 მ), ბოში (14 ქ. 5 მ. 4 პ. 2 დ), ტი. ჯეი. ფორდი (14 ქ. 14 პ), დიქსონი (11 ქ. 5 მ).

**დენვერი:** კლეიზა (20 ქ. 7 მ), ჯეი. არ. სმითი (20 ქ. 6 პ. 5 მ), ს. ბლეიკი (15 ქ. 4 პ), აივერსონი (14 ქ. 3 პ), ენტონი (10 ქ. 2 ჩ), კემბი (2 ქ. 15 მ).

**კლიპერსი-იუტა 104:72**

24:16, 31:22, 26:15, 23:19

**კლიპერსი:** ბრენდი (20 ქ. 11 მ. 4 პ. 3 დ), მაგეტი (19 ქ. 6 პ. 5 მ), მობლი (15 ქ), კამანი (10 ქ. 14 მ).

**იუტა:** ბუზერი (13 ქ. 9 მ. 3 პ. 2 ჩ), კირილენკო (12 ქ. 2 დ), მილსეპი (9 ქ. 7 მ. 5 ჩ).

**სიეტლი-მინესოტა 85:82**

12:19, 20:20, 22:22, 31:21

**სიეტლი:** რ. ლიუისი (22 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ), უილკოქსი (16 ქ. 14 მ), უოტსონი (14 ქ. 7 პ), უილკინსი (12 ქ. 4 ჩ),.

**მინესოტა:** კ. სმიტი (19 ქ. 7 მ), რ. დევისი (13 ქ. 8 პ. 5 მ), მ. ჯეიმსი (13 ქ), მ. ბლაუნტი (12 ქ. 9 მ), ჰასელი (11 ქ. 5 პ), გარნეტი (10 ქ. 22 მ. 4 პ. 3 დ).

**გ.სტეიტი-ვაშინგტონი 135:128**

35:37, 29:36, 38:21, 34:33

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (34 ქ. 15 პ. 9 მ. 4 ჩ), ბიედრინსი (24 ქ. 12 მ. 5 პ. 2 ჩ), მ. ელისი (24 ქ. 8 მ. 4 პ. 3 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (23 ქ. 6 მ. 2 ჩ), მ. პიეტრუსი (13 ქ. 4 მ).

**ვაშინგტონი:** არენასი (29 ქ. 13 პ. 7 ჩ), ჯეიმისონი (20 ქ. 11 მ. 4 პ), სომგაილა (17 ქ. 6 მ. 5 პ), ჯ. ჰეიესი (14 ქ. 3 პ), ჰეივუდი (11 ქ. 4 მ), ა. დენიელსი (11 ქ), ბლატჩე (10 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**ინდიანა-მაიამი 95:70**

33:9, 19:23, 20:17, 23:21

**ინდიანა:** დ. გრეინჯერი (22 ქ. 5 მ), მ. დანლივი-უმცროსი (20 ქ. 2 ჩ), ჯ. ონილი (15 ქ. 12 მ. 4 პ), მერფი (11 ქ).

**მაიამი:** შ. ონილი (13 ქ. 3 მ), დულიკი (7 ქ. 9 მ).

**ფილადელფია-შარლოტი 106:97**

37:23, 32:25, 17:26, 20:23

**ფილადელფია:** ა. მილერი (19 ქ. 9 პ. 6 მ. 2 ჩ), უ. გრინი (18 ქ. 6 მ), კორვერი (13 ქ), ს. ჰანტერი (12 ქ. 9 მ), ჯო სმიტი (11 ქ. 6 მ. 3 პ), კარნი (11 ქ. 2 ჩ), დალემბერი (10 ქ. 8 მ.).

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (21 ქ. 7 პ. 4 დ), ერმანი (17 ქ. 4 მ), ბ. ნაითი (11 ქ. 6 პ), ფელტონი (11 ქ. 5 პ), მორისონი (10 ქ. 5 მ).

**ორლანდო-ნიუ ჯერსი 90:82**

21:21, 16:20, 22:18, 31:23

**ორლანდო:** ნელსონი (22 ქ. 6 მ), გ. ჰილი (12 ქ. 4 მ. 3 პ. 3 ჩ), თურქოღლუ (11 ქ. 7 მ), დ. ჰოვარდი (10 ქ. 16 მ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (27 ქ. 7 მ. 5 პ), რ. ჯეფერსონი (19 ქ. 4 მ. 4 პ), მური (12 ქ. 5 მ), კიდი (8 ქ. 9 პ. 8 მ. 2 ჩ).

**კლივლენდი-ნიუ იორკი 90:68**

25:17, 21:21, 24:18, 20:12

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (21 ქ. 10 პ. 2 ჩ), ჰიუზი (16 ქ. 5 მ), ილგაუსკასი (16 ქ. 4 მ), დ. მარშალი (10 ქ).

**ნიუ იორკი:** კარი (27 ქ. 9 მ), ბალკმენი (12 ქ. 2 ჩ).

**ატლანტა-პორტლენ. 100:102 (ო)**

20:15, 27:25, 17:26, 21:19, 15:17

**ატლანტა:** ს. სტაუდმაიერი (37 ქ), ჩილდრესი (22 ქ. 12 მ. 6 პ. 5 ჩ), ჯოშ სმიტი (17 ქ. 11 მ. 5 პ. 5 დ), **ზაზა ფაჩულია (11 ქ. 5 მ. 1 პ. 1 ჩ)**, ე. ჯონსონი (7 ქ. 10 პ. 4 მ).

**პორტლენდი:** ლ. ოლდრიჯი (27 ქ. 14 მ. 3 დ. 2 ჩ), როი (23 ქ. 9 მ. 5 პ. 2 ჩ), ჯეკი (18 ქ. 7 პ. 4 მ), მაგლოირი (9 ქ. 16 მ. 3 დ).

**ბოსტონი-დალასი 95:109**

16:33, 35:23, 20:34, 24:19

**ბოსტონი:** პირსი (30 ქ), ჯ. გრინი (19 ქ), რეი (13 ქ), ელ ჯეფერსონი (4 ქ. 11 მ. 2 ჩ).

**დალასი:** ტერი (29 ქ. 6 პ), ნოვიცკი (20 ქ. 3 პ), ჯოშ ჰოვარდი (19 ქ. 11 მ. 3 პ), დ. ჰარისი (18 ქ. 6 პ), დიოპი (4 ქ. 11 მ. 5 დ).

**ნ.ორლეანი-ლეიკერსი 105:111**

31:29, 26:27, 18:31, 30:24

**ნიუ ორლეანი:** პოლი (28 ქ. 12 პ. 6 მ. 4 ჩ), ჩენდლერი (22 ქ. 22 მ. 3 პ. 2 დ), დევინ ბრაუნი (14 ქ. 5 მ), რ. ბატლერი (12 ქ), მეისონი (10 ქ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (50 ქ. 7 მ) ოდომი (15 ქ. 10 მ. 6 პ), კ. ბრაუნი (10 ქ. 2 ჩ).

### 24 მარტი

**კლიპერსი-ვაშინგტონი 111:105**

21:25, 26:23, 32:22, 32:35

**კლიპერსი:** მაგეტი (29 ქ. 5 პ. 4 მ), ბრენდი (18 ქ. 14 მ. 4 პ), კამანი (17 ქ. 9 მ. 3 ტიმ ტომასი (13 ქ. 5 მობლი (12 ქ. 8 მ. 2 ჩ).

**ვაშინგტონი:** არენასი (30 ქ. 8 პ. 5 მ. 2 ჩ), ჯეიმისონი (23 ქ. 10 მ. 2 დ), ჯ. ჰეიესი (14 ქ. 2 ჩ), სონგაილა (8 ქ. 7 მ. 4 პ).

**შარლოტი-ნ. ჯერსი 107:113 (ო)**

25:19, 20:29, 21:21, 30:27, 11:17

**შარლოტი:** კეროლი (27 ქ. 3 ჩ), ერმანი (20 ქ. 7 მ), ნაითი (15 ქ. 8 პ. 2 ჩ), ვოსკული (14 ქ. 6 მ), ა. ანდერსონი (12 ქ. 4 პ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (40 ქ. 5 მ. 4 პ), ბუნი (21 ქ. 6 მ), რ. ჯეფერსონი (16 ქ. 4 პ), ნახბარი (10 ქ), კიდი (5 ქ. 15 პ. 10 მ).

**მაიამი-ფილადელფია 85:93**

30:13, 19:21, 18:27, 18:32

**მაიამი:** ჯეისონ უილიამსი (21 ქ. 6 პ), შ. ონილი (18 ქ. 6 მ), ჰასლემი (11 ქ. 14 მ), ა. უოკერი (11 ქ. 4 მ), ე. ჯოუნსი (10 ქ. 6 მ), პოუსი (8 ქ. 10 მ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (19 ქ. 8 მ. 6 პ), კორვერი (17 ქ. 5 მ. 2 ჩ), უ. გრინი (13 ქ), ჯო სმიტი (12 ქ. 13 მ. 2 ჩ), დალემბერი (12 ქ. 2 ჩ).

**იუტა-მემფისი 118:108**

32:28, 35:17, 28:33, 23:30

**იუტა:** ბუზერი (28 ქ. 15 მ. 2 ჩ), ჰარპრინგი (24 ქ. 4 მ. 4 პ), დერონ უილიამსი (21 ქ. 13 პ), კირილენკო (12 ქ. 4 პ. 4 დ), მილსეპი (11 ქ. 14 მ. 2 დ).

**მემფისი:** დ. ჯოუნსი (26 ქ. 4 მ. 2 ჩ), გასოლი (25 ქ. 10 მ. 3 პ. 3 დ), კინსი (20 ქ).

# TV სპორტი

### 26 მარტი. ორშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. გოდოიბოკა ხუნიორსი.
**14:10** ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საბერძნეთი-თურქეთი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-საქართველო.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ინდეპენდიენტე.
**19:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:10** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-პორტუ.
**22:10** ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-რუმინეთი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:05** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. ნორვეგია-ბოსნია.
**08:50** კრივი. რინგ-საიდი.
**09:50** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
**12:25** რეტრო-ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 1991 წელი. ბარსელონა-რეალი.
**14:10** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**14:40** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. კოტბუსი. გერმანია.
**17:30** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. ისრაელი-ინგლისი.
**19:15** სპორტის სახეები.
**19:45** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან კაეტანოსან პაულუ.
**21:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**22:00** სპორტკლუბი.
**23:00** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**23:35** პროფესიული კრივის საღამო.
**02:10** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**02:45** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**03:30** რეტრო-ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 1991 წელი. ბარსელონა-რეალი.
**05:05** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. კოტბუსი. გერმანია.

**EUROSPORT**

**09:30** მულტისპორტი.
**10:00** საწყლოსნო სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია (LIVE).
**11:30** საწყლოსნო სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია.
**12:00** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავსტრალია (LIVE).
**14:00** სნუკერი. ჩინეთის ღია ჩემპიონატი. პეკინი (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. ევრო 2008.
**17:45** მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
**19:30** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავსტრალია.
**20:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. მაიამი. აშშ.
**21:45** ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გალა წარმოდგენა. ტოკიო. იაპონია.
**23:45** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
**01:30** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფლეი ოფი.
**02:00** მულტისპორტი.
**02:30** ფეხბურთი. ევრო 2008.
**02:45** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**03:00** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნი. ავსტრალია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**09:15** ცურვა. პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი.
**09:30** ახალი ამბები.
**11:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-საფრანგეთი.
**12:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. I მატჩი. პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
**13:00** ახალი ამბები.
**15:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. ჰოლანდია-რუმინეთი.
**16:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. საბერძნეთი-თურქეთი.
**16:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/4 ფინალი. II მატჩი. ლარვიკი (ნორვეგია)-დიორი (უნგრეთი).
**17:30** ლაკროსი. ჩრდილოამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. პორტლენდი. სან ხოსე.
**19:00** ახალი ამბები.
**19:45** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**20:00** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**20:30** ახალი ამბები.
**21:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხირონა-ტაუგრესი.
**22:30** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**23:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
**00:00** ახალი ამბები.
**00:15** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
**01:15** ახალი ამბები.
**02:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-დალასი (LIVE).

# ფიგურული ციგურაობა

მსოფლიო ჩემპიონატი

## რუსები მედლების გარეშე

ტოკიოში დასრულდა ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელზეც მედლების ბოლო კომპლექტი ქალებს შორის გათამაშდა. ჩემპიონატი ისე მიილია, რუსებმა ერთი მედლის ალებაც ვერ მოახერხეს, ბოლო კომპლექტიდან კი ყველა აზიელი მოციგურავეების ნადავლი შეიქნა - კვარცხლბეკზე პირველი ორი ადგილი იაპონელებმა დაიკავეს, ბრინჯაო კი კორეელ მოციგურავეს ერგო.

სამხრეთ კორეელი **კიმ იუ-ნა**, ვინც შარშან იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ასპარეზობას მოკლე პროგრამის შემდეგ დიდი უპირატესობით ლიდერობდა, მაგრამ თავისუფალი პროგრამის შესრულებისას, ის ორჯერ დაეცა და ოქროს ნაცვლად, შინ ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

სამაგიეროდ, თავისუფალ პროგრამაში შესანიშნავად იასპარეზეს იაპონელებმა - **მაო ასადამ და მიკი ანდომ**. თავისუფალი ვარჯიში ასადამ შესანიშნავად შეასრულა და ყველაზე მაღალი ქულებიც დაიმსახურა, მაგრამ იმის გამო, რომ მოკლე პროგრამის შემდეგ, თანაგუნდელთან თითქმის 5 ქულას აგებდა, საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა.

რაც შეეხება ანდოს, ყინულზე რომ მოთელვას ასრულებდა, მან რამდენჯერმე ოთხმაგი ნახტომი შეასრულა, მაგრამ თავისუფალი პროგრამის დროს, ამ სარისკო ილეთის შესრულებაზე უარი თქვა და ალბათ, სწორადაც მოიქცა. შვიდი სამმაგი ხტომისა და ბევრი სხვა რთული ილეთის წყალობით, მან საერთო ჯამში, ქულაზე ნაკლებით აჯობა თავის 16 წლის თანაგუნდელს და ოქროს მედალსაც დაეუფლა. მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა შარშანდელი ჩემპიონი, ამერიკელი **კიმი მაისნერი**.

*"კვარცხლბეკზე თუ ავიდოდი, ესეც არ მეგონა. მერე კი, როცა გავიგე, რომ ჩემპიონი გავხდი, სიხარულით მეშვიდე ცას ვეწიე. ეს ნამდვილი სასწაული იყო"*, - განაცხადა ანდომ, ვინც საერთო ჯამში 195.09 ქულას მოუყარა თავი.

ალსანიშნავია, რომ თავისუფალი პროგრამის წინ, კიმის მტკივან წელზე აკუპუნქტურის გაკეთება მოუხდა. ის სამნახტომიანი კომბინაციის პირველსავე ილეთზე დაეცა და როცა მომდევნო ახტომების შესრულება სცადა, კიდევ ერთხელ დაეცა ყინულზე. საბოლოოდ კი მას 186.14 ქულა დაუგროვდა. 194.45 ქულით დაასრულა ასპარეზობა ასადამ, სხვათა შორის, კიმი და ასადა თანატოლები, 16 წლისანი არიან.



მიკი ანდო

*"თავისუფალი პროგრამის შესრულებისას, წელში ტკივილს არ ვგრძნობდი, მაგრამ ფეხები დამძიმებული მქონდა, რის გამოც უხეიროდ ვიასპარეზე. თანაც, ნახტომების შესრულებისას, თავდაჯერებაც მაკლდა"*, - განაცხადა კიმმა, ვინც დიდი პრიზების სერიის ფინალში ასადაც და ანდოც უკან მოიტოვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ფორმულა 1

## სტამბოლის ავტოდრომს არენდით გასცემენ

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, სტამბოლის ავტოდრომ Istanbulpark-ს არენდის ფორმულა 1-ის გენერალურ პრომოუტერ **ბერნი ეკლსტოუნს** გადასცემენ. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი - თურქეთის გრან-პრი ფინანსურად დიდ ნაგებას ტოვებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილებას 15 დღეში მიიღებენ - ამბობს სტამბოლის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე **მურათ იალჩინთაში**.

### ცურვა

## შანხაიმ დოჰას აჯობა

ამ დღეებში, ავსტრალიის ქალაქ მელბურნში საწყლოსნო სპორტის სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. აქვე გაიმართა ცურვის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, სადაც გაირკვა, რომ 2011 წელს, პლანეტის პირველობას ჩინეთის ქალაქი შანხაი უმასპინძლებს. მსგავსი სპორტული ფორუმი ჩინეთში პირველად ჩატარდება.

შანხაიმ ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაში კატარის დედაქალაქი დოჰა დაამარცხა.

# ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| ატლანტა-დალასი | 97:104 |
| ინდიანა-ჩიკაგო | 90:92 |
| მილუოკი-დეტროიტი | 95:121 |
| მინესოტა-პორტლენდი | 94:93 |
| საკრამენტო-ფინიქსი | 107:100 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| აეკ-პანიონიოსი | 55:67 |
| პანათინაიკოსი-რეთიმნო | 87:48 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| კ. სან ფერნანდო-პამესა | 85:74 |
| ხირონა-ტაუგრესი | 77:83 |
| ბილბაო-გრანადა | 77:69 |
| ბრუესა-ბარსელონა | 68:76 |
| ალიკანტე-ვალიადოლიდი | 61:73 |
| მენორკა-გრან კანარია | ო.ტ. 91:97 |
| მურსია-ესტუდიანტესი | 83:85 |
| რეალი-ფუენლაბრადა | 99:79 |
| ხუვენტუდი-მალაგა | 88:74 |

| იტალია | |
|---|---|
| რეჯო ემილია-აველინო | 80:83 |
| კლიმამიო-მილანი | 77:79 |
| ბენეტონი-პირტესი | 89:65 |
| ბიელა-სნაიდერო | 93:73 |
| კანტუ-მონტეგრანარო | 98:86 |
| ლივორნო-მონტეპასკი | 83:111 |
| საპუტი-დ'ორლანდო | 92:63 |
| ტერამო-ვარეზე | 85:83 |
| რომა-ნაპოლი | 71:54 |

| საფრანგეთის თასი | |
|---|---|
| პო ორტეზი-ორლეანეზი | 95:71 |

**ჰოკეი**

| NHL | |
|---|---|
| აილენდერსი-რეინჯერსი | ო.ტ. 1:2 |
| პიტსბურგი-ბოსტონი | 5:0 |

| რუსეთი | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ავანგარდი | 3:3 |
| ხიმკი-აკ ბარსი | 1:1 |
| ცსკა-ს. იულაევი | 1:0 |

| გერმანია | |
|---|---|
| დიუსელდორფი-ჰამბურგი | 6:1 |
| ინგოლშტადტი-კიოლნი | 6:4 |
| მანჰაიმი-ფრანკფურტი | 3:2 |
| ნიურნბერგი-ჰანოვერი | ო.ტ. 3:2 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ტრენჩინი-კოშიცე | 4:2 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სპარტა-ლიბერეცი | 5:2 |
| ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 3:0 |

| შვედეთი | |
|---|---|
| მოდო-ჰ371 | 1:2 |
| ლინჩოპინგსი-ფერიესტადი | 5:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. მაიამი | |
|---|---|
| აკასუსო-**დელიჩი** | 0:6, 3:6 |
| **რობრედო**-კიმი | 6:2, 6:4 |
| **მარეი**-კენდრიკი | 6:3, 6:1 |
| სერა-**ლოპესი** | 6:7, 3:6 |
| მოია-**სანტორო** | 6:7, 2:6 |
| **სტეპანეკი**-გაუდიო | 6:3, 6:2 |
| **ჯოკოვიჩი**-ლოდრა | 6:4, 6:1 |

| WTA. მაიამი | |
|---|---|
| **ნა ლი**-სრებოტნიკი | 6:0, 6:1 |
| **საფინა**-სუგიამა | 6:4, 3:6, 6:1 |
| **კლაისტერსი**-სტოსური | 6:4, 6:2 |
| **პეტროვა**-ბიჩკოვა | 6:1, 6:1 |
| ჰინგისი-**რადვანსკა** | 6:4, 3:6, 2:6 |
| **ჩაკვეტაძე**-გოლოვინი | 6:1, 6:3 |
| იანკოვიჩი-**სანტანჯელო** | 6:2, 6:7, 4:6 |
| **დუშევინა**-კანეპი | 6:1, 6:1 |
| **ანენი**-რაზანო | 6:2, 2:6, 7:6 |
| **პეერი**-ვაკულენკო | 7:6, 7:5 |
| ჰანტუხოვა-**ზვონარევა** | 2:6, 4:6 |

კალათბურთი

## კობის მორიგი 50-იანი

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** კიდევ ერთი გმირობა ჩაიდინა - შაბათს, "ნიუ ორლეან ჰორნეტსთან" მატჩში მან 50 ქულა გააკეთა, რითაც ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში შეძლო ამ ზღვარის გადალახვა.

ამ მაჩვენებლით კობიმ უკვე გადაასწრო წარსულის ლეგენდებს - **ელჯინ ბეილორსა** და **მაიკლ ჯორდანს** და ახლა, მხოლოდ **უილტ ჩემბერლენს** ჩამორჩება, რომელმაც 1961-62 წლების სეზონში, ზედიზედ შვიდ მატჩში მოახერხა 50 და მეტი ქულის მოპოვება.

კობი ბრაიანტმა კარიერაში მეთვრამეტედ შეძლო 50 ქულის დაგროვება. ბოლო ოთხ მატჩში მისი მონაგარი 225 ქულას შეადგენს. 65, 50, 60 და 50 ქულა - ასეთია "ლეიკერსის" მცველის რეკორდის ქრონოლოგია.

## სემ კასელმაც ტრავმა მიიღო

"ლოს ანჯელეს კლიპერსმა" შესაძლოა სეზონის ბოლომდე დაკარგოს მცველი **სემ კასელი**. ამ კალათბურთელმა ზურგის ტრავმა "იუტასთან" შეხვედრაში მიიღო, რის გამოც რეგულარულის დარჩენილი მატჩების გამოტოვების საფრთხე დაემუქრა.

საბოლოო დიაგნოზი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

## ბენეტონს 12 ქულა მოაკლეს

იტალიის საკალათბურთო ლიგის ხელმძღვანელობამ ტრევიზოს "ბენეტონს მკაცრი სასჯელი გამოუტანა - ამ კლუბს 12 ქულა ჩამოაკლდა. ამგვარი სანქციის მიზეზი გახდა ის, რომ იტალიის თასის "ოთხთა ფინალში", "ბენეტონის" განაცხადში ზედმეტი კალათბურთელი - სლოვენიელი **ერაზმ ლორბეკი** იყო შეყვანილი.

*"ჯერ ადრეა ამის გამო ტრაგედიის შექმნა. ლიგაში აპელაციას შევიტანთ და იმედი გვაქვს, სასჯელს შეგვიმსუბუქებენ. გვჯერა, რომ სამართალიანობა გაიმარჯვებს"*, - ამბობს "ბენეტონის" მთავარი მწვრთნელი **დევიდ ბლატი**, რომელიც შეთავსებით რუსეთის ნაკრების დამრიგებელიცაა.

თუ სასჯელის შემსუბუქება არ მოხდა, მაშინ "ბენეტონს" ძალიან გაუჭირდება იტალიის ჩემპიონატის ფლეი ოფში მოხვედრა. 12 ქულის ჩამოკლებით, ტრევიზოს გუნდი სატურნირო ცხრილში მე-14 ადგილამდე ჩამოქვეითდა.

ჭადრაკი

## კასპაროვს სიკვდილის ეშინია

**გარი კასპაროვი** სერიოზულად არის შეშფოთებული საკუთარი უსაფრთხოების გამო. ამის შესახებ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა და რუსეთის გაერთიანებული სამოქალაქო ფრონტის ლიდერმა ბრიტანულ ჟურნალ Times Magasine-ს უამბო.

კასპაროვის თქმით, მისი სატელეფონო საუბრები ისმინება, ის ხშირად ამჩნევს, რომ უთვალთვალებენ და ყველგან თან დაყვებიან. ამიტომაც, მოჭადრაკე იძულებულია რუსეთში გადაადგილებისას შეიარაღებული დაცვა იყოლიოს თან.

რუსი მოჭადრაკის ინფორმაციით, მან უარი თქვა სახელმწიფო ავიაკომპანია - "აეროფლოტის" თვითმფრინავებით სარგებლობაზე. ოპოზიციონერი შიშობს, რომ ის შეიძლება მოწამლონ - და ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ კასპაროვი მკაცრად აკრიტიკებს რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინსა** და მის პოლიტიკას.

ინგლისური ჟურნალი ამატებს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში, რუსეთის სახელმწიფო ტელეარხი კასპაროვს ამერიკის ფედერალური საგამომძიებლო განყოფილების აგენტს უწოდებდა.

ლაურეატები

## კანადელთა რჩეულები

შაბათს, კანადის დედაქალაქ ოტავაში ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, 2006 წლის სპორტული შედეგების მიხედვით, ქალებს შორის წლის სპორსტმენად, ციგურებით სირბილში 1500 მეტრ დისტანციაზე ტურინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი - **სინდი კლასენი** დასახელდა, რომელმაც ამ ოქროს გარდა, ოლიმპიადაზე ორი ვერცხლი და ორი ბრინჯაოც მიიღო.

მამაკაცებს შორის აღიარება სკელეტონისტ **დაფ გიბსონს** ხვდა წილად, რომელმაც ასევე ოლიმპიურ თამაშებზე გამოიჩინა თავი, სადაც ოქროს მედალი მიიღო.

ჩოგბურთი

## მორესმო წლის ჩოგბურთელია

2006 წლის სეზონში, ავსტრალიის ღია პირველობისა და უიმბლდონის ჩემპიონი **ამელი მორესმო** წლის საუკეთესო ჩოგბურთელად დასახელდა. 27 წლის ფრანგმა ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში დაიკავა პირველი ადგილი.

აქვე შეგახსენებთ, რომ წელს მორესმოს ნაკლებად უმართლებს - მან ამ დღეებში აპენდიციტის ოპერაცია გაიკეთა და ამის გამო გამოტოვა ინდიან უელსისა და მაიამის სუპერტურნირები.

"წლის დაბრუნების" პრიზი წილად ხვდა შვეიცარიელ **მარტინა ჰინგისს**. მან სამი წელი გამოტოვა და შარშან დაბრუნდა პროფესიულ ტურში.

"წლის პროგრესის" ნომინაციაში ყველას აჯობა სერბმა **ელენა იანკოვიჩმა**, ხოლო ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა**, რომლისთვისაც ეს სეზონი უკანასკნელი იქნება კარიერაში, სპორტული ოსტატობის პრიზი მიიღო.

## ნავრატილოვა აკადემიას დააარსებს

ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **მარტინა ნავრატილოვა** ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში საჩოგბურთო აკადემიის დაარსებას აპირებს.

ტიტულოვანი ჩოგბურთელის თქმით, მას არ მოსწონს ჩოგბურთის სწავლების ის მეთოდები, რომელიც მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ამერიკაშია აპრობირებული. კერძოდ, ნავრატილოვა წინააღმდეგია, რომ სწავლებისას აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გაკეთდეს.

*"ჩემს აკადემიაში უფრო მეტი ყურადღება სპორტსმენების მრავალმხრივ განათლებას მიექცევა. აქ გამოზრდილმა ჩოგბურთელებმა მარტინა ჰინგისის, ჟუსტინ ანენისა და როჯერ ფედერერის სტილში უნდა ითამაშონ"*, - ამბობს მსოფლიო ჩოგბურთის ლეგენდა.

## მისკინა წასვლას არ აპირებს

რუსული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის ღია პირველობის ყოფილმა ჩემპიონმა **ანასტასია მისკინამ** განაცხადა, რომ არ აპირებს აქტიური სპორტული კარიერის დასრულებას. ეს ჭორები მას შემდეგ აგორდა, რაც რუსი ჩოგბურთელი ტელეარხ НТВ-ზე საფეხბურთო პროგრამის წამყვანი გახდა.

*"პროფესიის შეცვლა გასული წლის ბოლოს, ოპერაციის შემდეგ მომინდა. სწორედ მაშინ დავფიქრდი პირველად სატელევიზიო კარიერაზე. რაც შეეხება ჩოგბურთიდან წასვლას, ამაზე არც კი მიფიქრია. პირიქით, ამ კვირას ვარჯიშებს განვაახლებ და პროფესიულ ტურში დავბრუნდები"*, - ამბობს მისკინა.

შეგახსენებთ, რომ ეს ჩოგბურთელი ტრავმის გამო, სექტემბრის შემდეგ, პრაქტიკულად, არ გამოჩენილა კორტზე.

ველოსპორტი



ოსკარ ფრეირე გამარჯვებას ზეიმობს

პრო ტური

# ფრეირეს მეორე პრიმავერა

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ესპანელი **ოსკარ ფრეირეს** გამარჯვებით დასრულდა პრო ტურის მესამე ეტაპი - მილანი-სან რემოს 98-ე კლასიკური რბოლა. 294-კილომეტრიანი რბოლის ბოლო კილომეტრზე, 31 წლის ფრეირემ დაძაბულ პაექრობაში აჯობა "მილრამის" სპრინტერულ "მატარებელს", რომელშიც პირველობისთვის იბრძოდნენ ისეთი აღიარებული სპრინტერები, როგორებიც არიან გერმანელი **ერიკ ცაბელი** და იტალიელი **ალესანდრო პეტაკი**.

პელოტონის მოწინავეები რომ ბოლო კილომეტრს შეუდგნენ, ფრეირე პეტაკის ედგა კვალში. როგორც ყოველთვის, იტალიელი თავის გადამწყვეტ სპურტს ბოლო ორას კილომეტრზე გეგმავდა. მაგრამ, სანამ ის ფეხს აუჩქარებდა, ესპანელმა დაასწრო. თითქმის იმავდროულად, შეტევა დაიწყეს ბელგიელმა **ტომ ბოონენმა** და ავსტრალიელებმა - **რობი მაკიუენმა და ალან დევისმაც**. პეტაკი სწორედ ამათ "სენდვიჩში" მოყვა და თავისი შესაძლებლობათა გამოვლენა ველარ მოახერხა. საბოლოოდ, ფრეირემ ყველა უკან მოიტოვა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი, რითაც მეორედ გახდა მილანი-სან რემოს პრესტიჟული რბოლის ჩემპიონი.

ფრეირემ პირველად მილანი-სან რემო, რომელსაც ხშირად "პრიმავერასაც" უწოდებენ, 2004 წელს მოიგო. მაშინაც მან სპრინტერულ პაექრობაში მიაღწია გამარჯვებას, ოღონდ მაშინ ცაბელი და ავსტრალიელი **სტიუარტ ო'გრეიდი** დაამარცხა.

*"სტარტზევე ვგრძნობდი, რომ მოგება შემეძლო. გადავწყვიტე, ბოლო კილომეტრზე პეტაკის უკან დამეკავებინა ადგილი, რადგან ვიცოდი, რომ მას თანაგუნდელები კარგ პოზიციაზე გაიყვანდნენ. ამგვარად, ეს საუკეთესო პოზიცია უნდა ყოფილიყო შეტევისთვის. ამის შემდეგ კი ყველაფერი ჩემს მოხერხებასა და ფეხებზე იყო დამოკიდებული"*, - განაცხადა ფრეირემ, ვისაც შარშანდელ სეზონში ხშირი ტრავმები არ აძლევდა თავის გამოჩენის საშუალებას.

ეს გამარჯვება ფრეირეს ათწლიან პროფესიულ კარიერაში 53-ეა. თავად სპორტსმენი მიიჩნევს, რომ მის მიერ მოგებულ რბოლათაგან ყველაზე გამორჩეულს 1999 წელს მიაღწია, რომლის წყალობითაც პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

*"დღევანდელი გამარჯვება დიდებული იყო, მაგრამ მას ვერ შევადარებ 1999 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებულ გამარჯვებას. ტურ დე ფრანსიც რომ მომეიგო, მე მაინც ასე ვიტყოდი, რადგან იმ პირველმა ტიტულმა ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. მაშინ ტრავმები ხშირად მქონდა და ის გამარჯვება სულ მეორე იყო ჩემს პროფესიულ კარიერაში. სწორედ იმ ტრიუმფის შემდეგ ვირწმუნე ჩემი შესაძლებლობანი"*, - განაცხადა ფრეირემ, ვინც მომდევნო ორი ტიტული 2001 და 2004 წლებში მოიპოვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მილანი-სან რემოს
98-ე კლასიკური (იტალია, 294 კმ)

**1. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი) 6:43.59 (43.665 კმ/სთ); 2. ალან დევისი (ავსტრალია, დისქავერი ჩენელი) იგივე დროში; 3. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 4. რობი მაკიუენი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო); 5. სტიუარტ ო'გრეიდი (ავსტრალია, CSC); 6. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 7. გაბრიელე ბალდუჩი (იტალია, აკვა ე საპონე); 8. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი) ყველა იგივე დროში...**

პრო ტურის
კლასიფიკაცია 3 ეტაპის შემდეგ

**1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 56; 2. ანდრეას კლიოდენი (გერმანია, ასტანა) 53; 3. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი) 52; 4. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 42; 5. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, T-მობილი) 41; 6. ალან დევისი (ავსტრალია, დისქავერი ჩენელი) 40; 7. ალექსანდრე ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 38; 8. ლუის სანჩესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 38; 9. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 37; 10. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 35...**

კრივი

ზესაშუალო წონა

# კესლერმა ტიტული შეინარჩუნა

კოპენჰაგენის "პარკენ არენაზე", დანიელმა **მიკელ კესლერმა** ქულებით მოუგო მანამდე წაუგებელ მექსიკელ პრეტენდენტ **ლიბრადო ანდრადეს** და შეინარჩუნა ზესაშუალო წონაში კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონის სარტყელი.

თავისი მოკრივის ბრძოლის სანახავად მისული 25 000 მაყურებელი კესლერისგან ნოკაუტს ელოდა, მაგრამ ჩემპიონმა, ვინც ასევე კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) ტიტულსაც ფლობს, მაგრამ ის სასწორზე არ დაუდევს, ქულებით გამარჯვება იმყოფინა.

კესლერმა (39-0, 29 ნოკაუტი), ვინც თავისი ბოლო 11 ბრძოლიდან შინ მეათე ჩაატარა, ყველა რაუნდი მოიგო და სამივე მსაჯის ბარათზე ერთნაირი ანგარიშით (120-108) მოიპოვა გამარჯვება. აღსანიშნავია, რომ დანიაში ტიტულისთვის ჩატარებულ ბრძოლამდე, ანდრადეს 24-ვე მეტოქე ძლეული ჰყავდა, მათგან კი 18-ს მან ნოკაუტით აჯობა.

მის ხელთ არსებული ორი სარტყელიდან, კესლერმა პირველად WBA-ისა მოიპოვა. ეს 2004 წლის ნოემბერში მას შემდეგ მოხდა, რაც ტექნიკური ნოკაუტით მოუგო პუერტორიკოელ **მანი შიაკას**. თითქმის ერთი წლის შემდეგ, ის WBC-ს ტიტულსაც დაეუფლა. ეს კი გერმანელ **მარკუს ბეიერთან** ბრძოლის მესამე რაუნდში, ნოკაუტით მოგებით შეძლო.

ბრძოლა საინტერესო გამოდგა. კესლერმა რამდენიმე მძიმე დარტყმა განახორციელა, რის პასუხადაც, მექსიკელის მუშტმა ცხვირი გაუტეხა და ბევრი სისხლი ადინა. ანდრადე მედგრად იბრძოდა, მაგრამ რამდენჯერაც მისი მუშტი მიზანს მისწვდა, იმაზე მეტჯერ უფრო ძლიერი დარტყმები პასუხად მიიღო. ბოლოსწინა რაუნდში პრეტენდენტმა, ვინც იცოდა, რომ ნოკაუტის გარეშე მომგები არ იყო, გადამწყვეტი შეტევები განახორციელა, მაგრამ ჩემპიონმა ყველა მათგანი მოიგერია და თავად მომხდურს უფრო მეტი დარტყმა აგემა.


**სპორტული გაზეთი**

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი



მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru



ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**